პროლეტარებო ქვეყანაყველანისა, შეერთდითო!

ნელიწადი მესამე

№ 33 | ქვირა, 24 იანვარი, 1926 წელი. | № 33

„ინგლისის კონსერვატიულ პარტიაში განხეთქილებაა. ბალდვინი და ჩემბერლენი ვერ თანხმდებიან მრავალ საკითხებში".
გაზეთებიდან.

დღეს არა ბვალე მოკვდება ეს ბებრუხანა ლომია;
მაგრამ ბრიყვებს კი ამ ლომზე ჯერ გაუმართავ ომია.

ბალდვინსა ყური უჭირავს და ჩემბერლენს კი კუდია...
ვერ ხედვენ, რომ ინ წინლისგან დღე დაადგებათ ცუდია.

„აბრამი“ და „აბრამის ბატკანი“

ჩვენ რომ არ ვეხმარებოდეთ, ევროპის სახლმწიფოები დამშივდებოდენ, და ეს კი გამოიწვევდა რევოლიუციებს.
ამერიკის პრეზიდენტ კულიჯის სიტყვიდან.

როგორ შია საწყალს,
თანაც როგორ სცივა;
მასთან მივა, ვისაც
აქვს საჭმელი თივა.

ვაჭმევ ცოტას მშიერს,
არის დიდი მადლი,
თანც გვაკნაჭავ და
მე დამრჩება ბატკანი.

ამით ღმერთთან გავსდგამ
სამოთხეში კიბეს;
აქ კი ამოვივსებ
დოლარებით ჯიბეს.

„ორი სპამი“

ზოგიერთ დაწესებულებებში ადგილკომების მთელი მოღვაწეობა ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა შორის უსარგებლო ქანაობაში გამოიხატება.
(დაკვირვებიდან)

ერთხელ დილას, როცა ქუჩებს
მოდებოდა ნისლის კომლი,
მთავარ ქუჩის ერთ ბოლოში
შეეხვდით მე და ექსმუშკომი.
რაღაც სევდა შორეოდა,
ჩამოეშვა გრძელი ცხვირი,
და უამრავ ფიქრებისგან
გამხდარიყო როგორც ჩხირი.
მთავარ ქუჩას მარტოდ მარტო
მივყვებოდი როგორც მთვრალი.
და შეჩერდა გაკვირვებით
როცა ნაცნობს მომკრა თვალი.
დილა იყო ადრიანი
ათეთრებდა ჰაერს ნისლი,
და გულს ცეცხლად მომეკიდა
წამება და დარდი სხვისი.



ორი სკამი: ერთი რბილი
და მეორე კი მაგარი...
ბევრს ცუდს რამეს აგაცილებს,
ძმაო, ხერხი შენ ამგვარი,

გაღელოდა გულის ღილი,
უბერავდა შიგნით ქარი...
თვალებს ხუქდა სირცხვილისგან
ვიღაც მორცხვი გულის ქალი.
აყოლოდა სადღაც ლეკვი
ძაღლის საჭერ ყუთში ყმუილს;
ვიღაც ვაჟი ყელწვრილ ქალთან
ასაღებდა ხალასს ტყუილს.
და მივედი მე ნაცნობთან
თანაგრძნობით სავსე გულით,
მისი ასეთ მწარე ტანჯვით
დამწვარი და დაგული.
მივედი და შევეკითხე:
— მინდა გთხოვო ერთი რჩევა,
(რა კარგია როცა კაცი
ოქროს ტყუილს შეეჩვევა)
ამას წინად არჩევნებზე
გასჭრა ჩემმა მჭრელმა ენამ
და მუშკომის თავმჯდომარეთ
ამირჩიეს ერთხმად ყველამ.
მაგრამ, იცი, გამოუცდელს
საქმის ძოლა მიჭირს ძლიერ,
სულ იმისი დარდი მახრჩობს,
ვის მივემხრო სუსტს თუ ძლიერს?!.
შენ ძველი ხარ, გამოცდილი,
მუშკომებში საკონკურსო,
მირჩიე და დამარიგე
დავიჭირო საით კურსი!..
რომ წვადი არ გამიფუჭდეს,
არც შამფურსაც ვავნო რამე,
თანაც იყოს მადლიერი
ყველა ჩემი დღე და ღამე.
(საცა სწორი სიტყვა არ სჭრის,
იქ მივმართე მარტივ იგავს)
და მე ჩემმა მეგობარმა
ამნაირად დამარიგა:
— გეტყვი ნათლად და აშკარად
დაგმართია საქმე ავი...
იცოდე, რომ მუშკომობას
უდიდესი უნდა თავი!..
დამარცხდები ბრძოლის ველზე,
ვერ გაუძლებ... ვხედავ ცხადათ...
შენისთანა ადგილკომებს
აქვს ამ ქვეყნად მოკლე ვადა...
და თუ ბოლოს შენი ეს გზა
არ გადასჭრა შავმა კატამ,
მაშინ, ძმაო, თვით ლონდონში
გამოდგები დიპლომატათ.
ახალგაზრდა ყმაწვილი ხარ,
რომ დამარცხდე—არის ცოდვა—
უნაკლულოთ გიზიარებ
ჩემს პრაქტიკას და ჩემს ცოდნას:
მოითხოვე ცალკე ბინა,
(არ გაბრიყვდე ხათრით ხამი),
და ოთახში მაგიდასთან
იქონიე ორი სკამი.
ორი სკამი: ერთი რბილი
და მეორე კი მაგარი...
ბევრს ცუდ რამეს აგაცილებს,
ძმაო, ხერხი შენ ამგვარი,
მოიდევი ორივ გვერდში,
აქეთ ეს და იქით რბილი,
საჭირო დროს არ დაგჭირდეს
მათი ძებნა და სირბილი.
ეხლა, ვთქვათ, რომ შენს ოთახში
ფეხს შემოდგამს ვინმე მუშა...
მაშინ სკამი შენ მაგარი
საჯდომიდან არ გაუშვა...
თორემ შენზე ცუდი ხმები
მოედება მთელ უწყებას,
და სიცოცხლეს გაგიმწარებს
დაულეველ ჭირთა წყება
მხოლოდ, როგორც კი შენიშნო

ეხლა, ვსთქვათ, რომ შენს ოთახში
ფეხს შემოდგამს ვინმე მუშა...
მაშინ სკამი შენ მაგარი
საჯდომიდან არ გაუშვა...

უფროსების თუნდაც კუდი,
როგორც რწყილი, როგორც „ზერო“
მსწრაფლ რბილ სკამზე გადასკუპდი!..
თორემ ბრალიც რომ არ გქონდეს,
სახეიროს ნახავ ვერას;
დრო მოვა და ადგილკომის
ვერ იხილავ კვალად კერას!..
აი მცნება უმთავრესი,
და ის მუდამ გქონდეს თავში,
თუ არ გინდა შერცხვენილი
მსწრაფლ ჩაეფლა წელზე ლაფში...
—და დაჩუმდა მეგობარი,
გასცქეროდა გამზირს მკაცრათ...
სადღაც შორს... შორს... მილიციელს
ჩაეფარა ვიღაც კაცმა...
მაგრამ რაში გვეკითხოდა
ვის უძღოდა მათში ბრალი,
და განვაგრძე მე ნაცნობის
შეწყვეტილი საუბარი.
— ყველა კარგი... მე ვენდობი
გამოგონილს შენგან სკამებს,
მაგრამ საქმის გასარკვევად
მინდა გკითხო ერთი რამე.
ვთქვათ, რომ მუშის ჩემთან მოსვლას
უფროსებიც ზედ დაერთო...

მაშინ რომელ სკამზე დავჯდე,
მაშინ რა ვქნა, რა ვაკეთო!?
გაეცინა ჩემს მეგობარს:
— ვერ ყოფილხარ მარდი ხერხზე,
მაშინ, კაცო, სკამებს შუა
მამაცურად დადექ ფეხზე!..
აქეთ ეს თქვი, იქით ეს თქვი,
სიტყვა ჭერზე, სიტყვა ბანზე...
და რომ გკითხონ რამ ისეთი



მხოლოდ, როგორც კი შენიშნო
უფროსების თუნდაც კუდი,
როგორც რწყილი, როგორც „ზერო“
მსწრაფლ რბილ სკამზე გადასკუპდი!..

ჩამოაგდე სიტყვა ბალზე.
და არც წვადი დაგეწვება,
არც შამფურსაც ავნებ რამეს...
შენგან თქმულის გამოცნობას
მიალევენ თეთრად ღამეს!..
— ესეც კარგი... ჭეშმარიტად
წამალია სიტყვა შენი...
მაგრამ, თუ არ შეგაწუხე,
ერთი რამეც ამიხსენი.
ვთქვათ, მომიხდა უცბად წერა,
არ დამენდვენ ზეპირ აზრზე,
მაშინ რა ვქნა, როგორ ვწერო,
რომ არ დავჯდე არც ერთ სკამზე?..
მაშინ, კაცო, დაღლილივით
წარმოთქვი, რომ დასწერ მერე...
და მერე კი, როგორც გინდა,
და რაც გინდა ის დასწერე.
სწერე მარტო, სწერე ენებით,
გაიკარო არვინ ახლოს...
ეცადე რომ წვრილფეხობამ
უფროსებთან ძვირად გნახოს!..
— ესეც კარგი!.. ხერხს უკეთესს
ვერ მონახავს ჭკუა ათი...
მაგრამ კიდევ ერთი რამე
უნდა გკითხო, თუ გაქვს ხათრი...
ვთქვათ, რომ ერთ დღეს ჩვენ უფროსმა
გუნებაზე როს არ იყოს,
მოისურვოს და შეკვეცოს,
ვთქვათ, ქეთინო, ან და ნიკო,
და მერე კი რეტდასმული
შემოვაოდეს ჩემთან ქეთო,
და ითხოვდეს დახმარებას,
მაშინ რა ვქნა... რა ვაკეთო?..
— მაშინ, ძმაო, ხმა ჩაიგდე,
შენს კუთხეში გაინაბე,
თორემ შემდეგ დასასრული
არ ექნება ხმებს და ამბებს!..
— ესეც კარგი... მაგრამ, ვთქვათ რომ
არ მოხერხდა გაჩუმება,
მაშინ რა ვქნა... რა ვაკეთო...

მე ღმერთგამწყლარს რაღა მრჩება?..
როს იმედი არსაიდან
აღარ არის ერთი ციდის?..
— მაშინ... მაშინ... ძმაო ჩემო,
ამ დილას რას ჩამაციედი!..
რა გირჩიო, როცა თავში...
ერთი აზრიც აღარ მოდის...
მაგდენი რომ მცოდნებოდა
ძველ ადგილზე ვიქნებოდი!..



გაეცინა ჩემს მეგობარს:
—ვერ ყოფილხარ მარდი ხერხზე,
მაშინ, კაცო, სკამებს შუა
მამაცურად დადექ ფეხზე!

თუმცა... გული ნუ მოგივა...
მოვიგონე ერთი რამე...
მაშინ, ძმაო, შენც ჩემსავით
არჩევნებზე პანღურს გკრავენ!..—
ესა სთქვა და გზას გაუდგა,
ჩაიმარხა გულში სევდა...
სადღაც შორს... შორს... ვილაც კაცი
მილიციელს მიათრევდა...

სინემატო.

დაუსჯელი დანაშაულება

მოქალაქენო დამნაშავენო!

თქვენ დაარღვიეთ კანონი და პასუხი უნდა აგოთ კანონის წინაშე. მე მესმის თქვენი გულისთქმა: არაა ადასიამოვნო, როდესაც მოგაყრიან სისხლის სამართლის კოდექსის რამოდენიმე მუხლებს.

ვნანობ, მე, როგორც ფელეტონისტი, მუდამ ზარალს ვაძლევდი ხოლმე სისხლის სამართლის დამნაშავეებს. ერთხელ მაინც უნდა დაგეხმაროთ.

თქვენ, ცხადია, გსურთ თავი დაასწიოთ სასამართლოს. და ასეთი შესაძლებლობაც არის.

ყური მიგდეთ და დაიხსომეთ მისამართი. თავისუფლათ არსებობის შესაძლებლობას თქვენ გაგიხსნის:

რიშელიეს ქუჩა, ქალაქ კრასნოდარში, საუცხოო ქუჩაა... საბჭოთა კავშირის ქალაქთა დამნაშავეენო! მთელი ქვეყნის ქალაქთა ბოროტმოქმედნო! თუ თქვენ სასამართლოს პასუხი გემუქრებათ რაიმე ბოროტმოქმედების ჩადენისათვის—იჩქარეთ ქალაქ კრასნოდარში— რიშელიეს ქუჩაზე და თქვენ თავისუფალი ხართ.

რიშელიეს ქუჩაზე თქვენ მოსვენებით შეგიძლიათ იცხოვროთ, და სრული დარწმუნებული იყავით იმაში, რომ ვერავითარი სასამართლო თქვენამდე ვერ მოახწევს.

სხვათა შორის, ეს უნდა იცოდეს გამფლანგველებმაც. გამფლანგველები ისე ბლომათაა პროფესიონალურ, კოპერატიულ და საბჭოთა ორგანოებში, რომ იმათ თამამათ შეეძლოთ საკუთარი გაზეთის გამოცემა და საკუთარი ფელეტონისტის ყოლა, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენ არა გვაქვთ პრესის თავისუფლება... დამნაშავეთათვის. უნდა

გაიცნო



მიდიან ერთად დედა და შვილი
და უკან მისდევს მათ ვაუი კენტი.
თუ გნებავთ, კიდეც დავასახელებთ,—
სახელი არის მისი ლავრენტი.
„კიდეც მიყვარხარ, კიდეც მომწონხარ,
„შენმა სიტურფემ დამასხა რეტი.

„მინდა: გაგიცნო, დაგიახლოვდე,
„აწ მოთმინება არა მაქვს მეტი“.
მართლაც გაიცნო ჩვენმა ლავრენტიმ,
მაგრამ გაიცნო ელენეს ნაცვლად,—
ორთაჭალისა ციხე—გამსახლი...
ოცნება ექცა ლავრენტის ნაცრად.

ვისარგებლოთ სხვისი გაზეთებით და ვაცნობოთ ყველას, ვის მოელის სასამართლო.

იჩქარეთ რიშელიეს ქუჩაზე, ქალაქ კრასნოდარში.

ქვეყანაზე არსებული, არც ერთი სასამართლო არ ეხება ამ ქუჩის მცხოვრებლებს.

— იყო ყუბანის ოლქის, პლასტუნთა უბნის მომხმარებელი საზოგადოების პასუხისმგებელი ნოქარი, მოქალაქე ბორზენკო.

რატომ იწოდება ნოქარი პასუხისმგებლათ? ცხადია, რატომ: მიცემულია პასუხისგებაში. ნოქარი ეს ძალზე წუნარი და თავდაჭერილი კაცია.

გაფლანგა სულ 940 მანეთი და 21 კაპეიკი. არ იფიქროთ ისეთი სულელი იყოს, რომ მეტის „ჩაიმასქნებას“ ვერ შესძლებდა. უბრალო სიწყნარემ და პასუხსაგებ გაფლანგვის დროს შემთხვევით სტუმრათ მოსულ სარევიზიო კომისიამ შეუშალა ხელი.

მოხდება ხოლმე ხანდისხან: სარევიზიო კომისია გამოაშკარავებს დამნაშავეს და:

— მიაბრძანებს მოქალაქე ბორზენკოს სასამართლოსკენ.

თუმცა მოქალაქე ბორზენკოს აქვს მოსაზრებანი, რის ძალით ის არ ითვლის თავის თავს დამნაშაკეთ.

მართლაც, ჩვენი კოოპერატივები, ხანდისხან მეტის გატაკებით ყიდიან ღვინოს და არაყს.

კითხულობ ხანდისხან აბრას:

„კოოპერატივი მშრომელთა განთავისუფლება“. და კოოპერატივში კი უმთავრესად იყიდება არაყი და ღვინო.

გამოდის, რომ არის: „განთავისუფლება მშრომელების ფულისაგან და ჯანმრთელობისაგან“.

ნოქარი ბორზენკო ებრძოდა ამ ბოროტებას. თითონ ის თავისი მეგობრების დახმარებით სვამდა კოოპერატივის არაყსა და ღვინოს.

გარდა ღვინისა და არაყის ბორზენკოს არაფერი მოუპარავს კოოპერატივში.

ჰო, მართლა,—ხარჯავდა აგრეთვე თავისთვის და მეგობრებისათვის პაპიროსებს; მაგრამ ვის არ გაუგონია თუთუნის მავნებლობის შესახებ? ჰო და, თუ ადამიანი საკუთარი თავის და ჯანმრთელობის საზარალო საქმეს სჩადის —ვის შეუძლია იმას ბრალი დასდოს რაიმე ბოროტმოქმედებაში?!

მაგრამ, რადგან ბორზენკოს წინააღმდეგ იყო აშკარა ფაქტები, რაც გაფლანგვის საქმეში იშვიათია—ის მისცეს სამართალში. მაშინ იყო მხიარული და საამური მაისის თვე. საქმე შევიდა კრასნადორის ოლქის სახალხო სასამართლოს მეცხრე უბნის მოსამართლესთან.

ოას შვრება ამ დროს მოქალაქე ბორზენკო, რომელსაც ემუქრება კანონის მკაცრი და მრისხანე მუხლები? მოქალაქე ბორზენკომ იცის როგორ მოიქცეს: ის შვრება იმას, რასაც მე ვურჩევ ყველა ქვეყნის ბოროტმოქმედთ.

ის გადადის ქალაქ კრასნოდარში, რიშელიეს ქუჩაზე. დაიქირავა ერთი ოთახი, დაბინავდა, ცხოვრობს და უსტვენს; დარწმუნებულია, რომ აქედან სატუსაღოში აღარ წავა.

სახალხო სასამართლო რაღას შვრება?

მეცხრე უბნის სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში ის მოსაზრება, რომ გამფლანგველებს ეხლა სასტიკათ ჰკიდებენ ხელს და საქმესაც აჩქარებენ, მაისში დაწყებული საქმის შესახებ ოქტომბერში შეატყობინა პლასტუნთა უბნის მომხმარებელ საზოგადოებას, რომ მოქალაქე ბორზენკოს გასამართლება მას არ შეუძლია, ვინაიდან ის, დამნაშავე, მოქალაქე სცხოვრობს რიშელიეს ქუჩაზე და ეს ქუჩა არ შედის სასამართლოს მეცხრე უბანში.

აქ იწყება ყველაზე საყურადღებო ამბავი: მომხმარებელმა საზოგადოებამ მიმართა მილიციას შეკითხვით: რომელი უბნის სასამართლოზეა მიწერილი რიშელიეს ქუჩა; და აღმოჩნდა, რომ ეს ქუჩა თავისუფალია სასამართლოსაგან: ის სასამართლოს არც ერთ უბანზე არაა მიწერილი. დიახ! ეს ფაქტია!

და მართლაც, ჯერაც, ბორზენკოს წინააღმდეგ საქმეს არა აქვს მსვლელობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რიშელიეს ქუჩაზე სცხოვრობს.

ეხლა თქვენთვის ცხადია, მოქალაქენო ბოროტმოქმედნო, რა უნდა აკეთოთ. რიშელიეს ქუჩის პატიოსანი მცხოვრებნი შეაცდინეთ ფულით და გადაასახლეთ სხვა ქუჩაზე. ამ ქუჩაზე ააგეთ ამერიკული 200 და მეტ სართულიანი სასახლე. საჭიროა საცხოვრებელი ბინები მოეწყოს მიწის ქვეშაც.

და აქ უნდა იცხოვროთ თქვენ მოქალაქენო, მანამდის, სანამ სასამართლო არ მოსპობს თქვენ წინააღმდეგ აღძრულ საქმეს, როგორც ეს მოხდა პასუხისმგებელ დამნაშავის, მოქალაქე ბორზენკოს შესახებ.

მ. დოლინი. *)

*) ეს პატარა ფელეტონი დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ „კოოპერაციის გზა“-ში (№ 285). გადმოვთარგმნეთ იმიტომ, რომ იქნებ ჩვენშიაც ვინმეს ენიშნოს ასეთი საგულისხმო ამბავი.

რედაქცია.

ლევარსი ოხოლოხაქ

„... რა ცხენი ჰყავდა არსენას, ქვით უკეთესი, ძამია.
„აღვირი ვერ იმაგრებდა და ვერცა ბიჭი სამია.
„ხის ძირზე შეატაფებდა ვინც შეჯდებოდა ხამია
„ოზურგეთამდი ჩასვლასა უნდოდა ორი წამია“.

—რაო, რას ამბობთ, ბაღნებო?.. მერე რა გასაკვირია?
ჩემს ცხენთან ცხენი არსენას შესადარისად ვირია.
რომ მოვიყვანე და წახეს ქვეყანა გადაირია.
იძახდენ: ლევარსისთანა ჩვენ არ გვინახავს გმირია—

„ლევარსი, შენ სად იშოვე ასეთი ბედაურია?!
—გიმბობ, რაკი თქვენ გინდათ... ყველამ დამიგდეთ ყურია.
ცხოვრობდა ერთი მდიდარი თავადი-აზნაურია.
მე მის ოჯახში ვიყავი ნაცნობი, შინაურია.

მომწონდა მისი მეუღლე... ხა-ხა-ხა რა სათქმელია...
სულო ცოდვილო ერთ-ორჯერ მოვუფათურე ხელია;
მაშინ ვიყავი ლამაზი, ქალების ჩამხრაკველია...
ჰო-და, რაც იყო ჩვენს შორის აქანე რა სათქმელია...

ჰო-და, რომ მოვალ ყანიდან, მხედარს მოვკარი თვალია
და ისე სწრაფად გაფრინდა, ზეცაში ვით მერცხალია.
გამოვედევნე ფეხდაფეხ, მივაგენ მისი კვალია
და დევეწენ წყლის პირად, როდესაც წყალი დალია.

შესდექ—შევყვირე. შემხედა და მკითხა:—საქმე რაშია?
ვუთხარი: ძირსა გადმოხტდი, მე მინდა შენი რაშია.
თუ კი ვარს მეტყვი, იცოდე, აქედან გისვრი ზღვაშია,
ანდა ვით ბურდღლა ქათმისას აგაფრენ მაღლა ცაშია.

გადმომკრა მაგრად მათრახი, ზურგზე გამაძრო ტყავია,
ისე დაბნელდა თვალებში, მზე მიჩნდა როგორც შავია,
უფრო გავბრაზდი და უფრო გავხდი ბოროტი, ავია;
თუ არ განანო ვიღაც ხარ მოკიკვდეს ჩემი თავია.

კვლავ დავედევნე კვალდაკვალ (გზას აჩნდა კარგად კვალია)
გზის მაჩვენებლად მე მყავდა ცხენის ოთხივე ნალია.
ცხენის ნაბიჯის ოდენას ნაბიჯს ესდგამ მისებრ მალია.
გამოჩნდა მთების გადაღმა: ოდა, ბეღელი, ნალია.

ლეღვათ პირდაპირ წავედი, გრძელი გზა გადავსჭერია.
მივადექ მაღალ გალავანს, ცაში რომ სწვდება წვერია...
(ვინაც ააგო ისეთი დაიქცეს მისი კერია).
გადავიხედე და ვნახე: ცხენს წინ ეყარა ქერია.

ჭიშკარში შევიჭრიტინე... რას ნახავს კაცის თვალია:
მურა-ძაღლებსა თვალთაგან მოსცვივათ ცეცხლის ალია.
მათ აბოროტებს კვლავ უფრო ეს გალავანი, გალია...
თუ ვინმეს ფეხი ჩაუცვდა,—ვაი იმისი ბრა ლია.

გაყიდვით ხომ არ გაყიდის?!.. როგორ ავიღო ხელია?
შეჯე-და თუ გინდ მომყიდოს—მითხარი რა სახელია!
ასეთ ფიქრებში დაღამდა და ღამე დადგა ბნელია...
რა მექნა აღარ ვიცოდი;—ცხენის მოპარვა ძნელია.

დავკარი ფეხი, წამოველ ხელსაწყოს საშოვნელადა.
გოდორი, ხორცი, ბაწარი სანახავია ძნელათა.
შუა გზაზე როცა გამოველ კაცი შემომხვდა ველადა,—
და რაც მინდოდა მას ჰქონდა, ვიშოვნე ასე ხელადა.

ისევ გავბრუნდი მივედი... ყველას ეძინა ტკბილადა.
გოდორს ბაწარი მოვაბი, ავედი ხეზე ფრთხილადა.
ხორცი ჩავდეევი გოდორში მიბმული არდაჭრილათა
და გადაუშვი ეზოში ტოტიდან სულადვილადა

(„ხერხი სჯობია ღონესო“ ანდაზა ეს მართალია).
დამპალი იყო ხორცი-და ჰქონდა მას სუნი მყრალია.
ძაღლებმა ძებნა დაუწყეს, ყველგან ეპირათ თვალია.
ნახეს და შიგ გადაეშვენ, მიბმული იყო ძვალია.

ავსწიე მაღლა გოდორი, ძაღლები მაღლა ცაშია.
(აქ ამ სიტყვებზე ლევარსის ყველამ დაუკრა ტაშია)

ეხლა კი ვიცი აშკარად ხელში მყავს იგი რაშია...
დილით გაიგოს პატრონმა და ხელი იცეს თმაშია.

ხიდან ეზოში ჩამოველ, გავაღე თავლის კარია...
გამოვიყვანე, რაში და—მოვკურცხლე, როგორც ქარია.
გზაზე ნალები უკუღმა ცხენს ფეხზე დაუკარია,
რათა ჩემი გზა ვერ ნახონ და ვერცა მონაპარია.

ადგენ დილით და იპოვეს ძაღლები მაღლა ცაშია.
ერთმანეთს ეკითხებიან: „ნეტავი საქმე რაშია?“
როცა შევიდენ თავლაში—შიგ აღარ ება რაშია
და მაშინ მართლაც სუყველამ ხელი იტაცეს თმაშია.

ზმუკი.

ნიკო დიაკვანი

(ოკრიბა. სოჩხეთი)

— შე დალოცვილო ღმერთო, ათი წელიწადიჯ დიაკვნად ვარ; ენას მახოლი გაუჩნდა მუდამ შენი სახელის ლაპარაკით; თუ რამ შეგიძლია, ეხლა მჭირია შენი ძლიერება, თუ არ შეგიძლია-და, ან მე რას მატყუილებ, ანდა სხვებს?! ხომ ხედავ ღვდლები ცხვრებსავით იკრიჭებიან; აღარავის უნდებნარ; მომეხმარე, შემეწეე და მღვდლად მაკურთხე!!..

ასე ებაასებოდა ღმერთს ნიკო დიაკვანი.

მართლაც, ამდენი ხანია ღვდლის ხარისხი უნდა მიეღოს და არ დაადგა საშველი.

როცა ეკლესიები ჩამოართვეს ღვთისპირიდან გადავარდნილ „კომსომოლებს“, ნიკომ სიხარულით ცას მოავლო ხელი. ფიქრობდა:

— ღვდლები გაიკრიჭენ, აღარავინ დარჩენილა, ეკლესიები კი გახსნეს. დრო დამიდგა...

და ნიკო შეუდგა მზადებას. მორწმუნეებიდან დაპირება მიიღო, რომ იმ სოფელში იქნებოდა მღვდლად.

წამოვიდა ქუთაისში და მიადგა იმ შენობას, სადაც უწინ სამღვდელო სემინარია იყო. (ნიკოს აქ უნდა დაეჭირა გამოცდები). მაგრამ ეხლა იმ შენობაში, თურმე „ჩეკა“ ყოფილა მოთავსებული.

იცოცხლე, ნიკომ ნახტომი გააკეთა და აღარ მოუხედია უკან.

კერძოდ მოემზადა.

გავიდა გამოცდებზე.. მაგრამ ვერ დაიჭირა.

ამაოდ დახარჯა ასი მანეთი; ამაოდ იყიდა ერთ გაკრეჭილ მღვდლისაგან ანაფორა.

ეხლა იმ ანაფორას ჰყიდის, მაგრამ მუშტარი არავინ არის.

როცა ნიკო გაივლის, თუ იგი სოფლის პატარა მოწაფეებმა დაინახეს, დაუწყებენ ხელებას:

ნიკო, ნიკო პოლკოვნიკო,
შენი საქმე, როგორ იყო?
ნათესავმა შენმა მღვდელმა
ასე მტრობა რატომ გიყო.
დიაკონის გამოცდები
ასე მკაცრი როდის იყო?
ბლაღოჩინობას ელოდი
მღვდლობაზეც კი ვარი გიყო!!!

„არ-მოდვა“.

ხულო და დალაქი

ა- იყო,—და თმა და წვერი
ხუცებსავით გვეზრდებოდა



არის,—შაგრამ რომ არ იყოს
უკეთესი იძნებოდა.

„ქალ-ვაჟიანი“

გამოცხადდა ვაჟი ქალთან და სთხოვა ხელი.

ქალმა მიუგო:—სამი დღის განმავლობაში გეტყვი გამოცანებს, თუ გმოიცნობ—ჩემი ხელიც შენი იქნება და გულიც, ხოლო თუ ვერ გამოიცნობ თავს ძოგკვეთაო.

ვაჟი დათანხმდა ქალის პირობას და დაიწყეს.

აქა დასაწყისი პირველი დღისა

ქალმა ჰკითხა ვაჟს:—ის რომელი ცხოველია, რომელსაც ეუბნებიან:

„აკაკაჩია, ბაკაკაჩია,
გისვამს, გიჭამია გზა. გაგაჩნია“—
ის კი ფეხსაც არ იცვლისო.

ვაჟმა მიუგო:—ეგ ალბათ საფრანგეთი იქნება, რომელმაც გერმანიის დოვლათი სჭამა, სისხლი სვა და რურიდან მაინც ფეხს არ იცვლისო.

ქალმა ჰკითხა:—ის რომელი ცხოველია:

„თუ შორსაა—იღრინება,
თუ მოუშვი—იკბინება,
მისი ყეფა და მუქარა
გზაზე ზღვაში იძირება?“.

ვაჟმა მიუგო:—ეგ უსათუოდ ჩემბერლენია, რომელიც შორიდან გვიღრენს, ახლო რომ იყოს—გვიკბენს, მაგრამ მისი ყეფა ჩვენ ვერ გვწვდება—გზაზე ზღვაში იძირებაო.

ოკრიბა

ტარტაროზ, აბა, გავსწიოთ—
შემოვიაროთ ოკრიბა,
ამ დასაქცევში ამდენი
ხუცები ვინ შამოკრიბა!?
ერთი სოფელიც არ არის,—
არ ჰქონდეს მას ეკლესია.
„ღაღადებს“ მღვდელ-დიაკონი,
სრულდება წირვის წესია.
ტარტაროზ, გითხრა მართალი
ეს ჩვენთვის უკეთესია!
შიგ აღარ ეკარებიან
გლეხები: ვანო, ბესია!
როცა გლეხობას ხუცები
ხურჯინით შამოესია,—
მოუსისია მათ გლეხმა
ძაღლები: მურა, კვესია!
გაურჯულდაო ქვეყანა—
მღვდლებმა დააგდო ხმებია.
გლეხები კი იცინიან
მღვდლებს, რომ შეახმათ ყაბია.
აქაურ მოიჯარადრებს
დომენტისა და პავლესა,
მადა ფულების მოგების
შამფურზე ატრიალებსა.
მუშების ნაცარცვ- ნაგლეჯი
ეხარჯებოდათ ღვინოში,—
და ცხვირი ჰქონდათ ყოველ დღე
შერგული სამიკიტნოში.
დღეს შემოაკლდათ ფულები
და ჩამოყარეს ყურები,
აღარ აქვთ უწინ რომ ჰქონდათ
მწვადი და ხაჭაპურები.

ჯ. მერკველი.

რა ეგონათ.

ლონდონში საბჭოთა კავშირის ხელეულობას დიდი მოთხოვნილება აქვს.

გაზეთებიდან.



რა იხილეს ყუთებზე ჩაქუჩი და ნამგალი,—
დაემართათ მუხლებში შიშისაგან კანკალი.
და ამბობდენ: იქიდან კარგი რამე არ მოვა,
როცა გავხსნით ყუთებსა კომინტერნი ამოვა.

ქალმა ჰკითხა:—ის რომელი ცხოველია:

„დადიოდა ბაკუნითა,
ხალხს მართავდა—ტყაპუნითა,
ვერ ძღებოდა მუშა-გლეხის
სისხლით გადაყლაპულითა!“.

ვაჟმა მიუგო:—მაგაზე ლაპარაკიც არ ღირს, ეგ ცხოველი კი არა—მხეცი ცანკოვიაო.

ქალმა ჰკითხა:—ის, რომელი ცხოველია:

„ბებერ ულაყს—აკვიცებდენ,
სიჯეელეს—ამტკიცებდენ,
და ეშმაკის ერთგულ მონას
ანგელოზზე აფიცებდენ!“.

ვაჟმა მიუგო:—ეს გინდენბურგია, რომლის სიჯეელეს გერმანელი მენშევიკები ამტკიცებენ, რესპუბლიკაზე აფიცებენ და ის კი ვილჰელმისაკენ იხედებაო.

ქალმა ჰკითხა:—ის ვიღაა:

„შავი არის შაშვსავითა,
იკბინება ძაღლსავითა—
ჯანდაბამდი გზა ხსნილი აქვს,
მაგრამ ჯერ კი არ წავიდა“.

ვაჟმა მიუგო:—ეგ უსათუოდ მუსოლინია, რომელიც შავ ფაშიზმს ხელმძღვანელობს, სოციალისტებს უღრენს, საიქიოს წასვლას აპირებს. მაგრამ ჯერ არ წასულაო.

ქალმა უთხრა—დღეს ძალიან გადამირჩი, მაგრამ სხვალისათვის კი სიფრთხილე გმართებსო.

ვაჟი გამოემშვიდობა და წავიდა.

აქა დასაწყისი მეორე დღისა

ქალმა ჰკითხა:—ის ვინ იყო:

„ეშინოდა ყაყანასა—
არ დახნავენ ამ ყანასა,
სხვებმა დახნეს, იმან მომკო,
არ ჩამორჩა ამხანაგსა!“.

ვაჟმა მიუგო:—ეგ ალბათ ჩვენებური სამეურნეო მფლანგველია:—ხალხმა დახნა, მან შეჭამა და არ ჩამორჩა თავის ამხანაგებსო.

ქალმა ჰკითხა:—ის რა პლანეტაა, სადაც:

— თუ მოერიდე ღოლოსა,
გხვდება ვენახის ბოლოსა,
კასაში ისე არ შევა—
რამე არ გაიყოლოსა!“.

ვაჟმა მიუგო:—რას მაცდენ, ეგ პლანეტა კი არა,—ჩვენებური კოოპერატივია, სადაც რაც უნდა ერიდო—თავს შემოყოფს ისეთი ოთხფეხი, რომელიც ჯიბე-ცარიელი შევა და დახლდაცარიელებული გამოგბრძანდებაო.

ქალმა ჰკითხა:— ის ვინღაა:

„უჯოხოთ სცემენ ჯოხიანს
საჯოჯოხეთო ჯოჯონი,
ისე გამრავლდენ თბილისში
როგორც თეთრფოთლა ჯონჯოლი.
ჯანი საჯანჯლოთ არა აქვთ,
— წიხლებს ვირულათ ისვრიან,
ღონე—ღატაკი ღორულათ:
იგინებიან გორულათ!“.

ვაჟმა მიუგო:—ეგ ხომ თბილისის ხულიგანებია, რომლებიც ჯოხიან მილიციელს უჯოხოთ სცემენ, გამრავლდენ და იმათით სიკეთე არც დანარჩენ მოქალაქეთ აყრიაო.

ქალმა ჰკითხა:—აბა ვინაა:

„ალათასა, ბალათასა,
ხელი ჩავკარ კალათასა—
სხვისი ჩითით იკერავდა
ის საჩარჩო ხალათასა!“.

და რა იყო



და ამბობდენ: „ეს ხილი შაქარსავით ტკბილია“. მაგრამ ვილაც „გულადმა“ გახსნა ყველა ყუთები; ყომინტერნის მაგივრად არის მსხალის ფუთები. ჯერ ფრთხილად და შემდეგ კი მოუჭირეს კბილია,

„ბერძნის-ფყარო“

ტარტაროზ, ჩვენო იმედო,
გისურვებ: იყო მედგარი.
შენა ხარ ჩვენი იმედი,
დარაჯი დაუდეგარი.
  აქ ერთი მიკიტანია
ვინმე ვალოდი ძნელაძე,
რომელიც მუდამ „მობრძანდით“
იძახის ქართულ ენაზე.
ჯერ ცოტა ვილაპარაკოთ
ავსწეროთ მისი დუქანი.
ღვინო ტიკებით აწყვია
ქათმებიც კი ჰყავს მსუქანი.
ტარანის თევზის სიმყრალე
ნამდვილად მოსაწონია.
  ჭადები ქატოთ ნარევი
და სანახევროდ ცომია.
ეს ვაუბატონი რას სჩადის,
ეს არის საკვირველია.
სიმღერას თვითონ დაიწყებს:
„ოდელა-ოელა-დელია!!
დღეში გაივლის ამ გზაზე
მგზავრი ხუთასზე მეტია.
თუ არ ესტუმრა ვალოდის
მოგელის თავში კეტია.
საყორნიაში გასულ წელს
იყო მუშათა არტელი,
— მაგრამ ვალოდის დუქანმა
ჩაუქრო ყველა სანთელი.
ალარ ახსებობს იმაზე
საქმელის ნიხრი-ტარიფი,
ამხანაგად ჰყავს ვალოდის
ვილაც მისებრი არიფი.

ძნელ-ოღლრ.

ვაუმა მიუგო:—რაღა თქმა უნდა ეგ ინვალიდთა ნადებია, სადაც ინვალიდები ნოქრობენ, ხოლო საქონელს ვაქრები ეპატრონებიანო.

ქალმა ჰკითხა:—„იყო და არა იყრა,
ერთი თხა მყავდა ნიკორა,
ქელეხში კარგა ძღებოდა,
ბევრჯელ „სასაქმში“ იგორა;
მან წინეთ გლეხის ბარაქა
მუცელში ბლომად იყორა,
მაგრამ მსუნაგმა—დიდი რამ
ჩვენ ვერაფერი გვიყო რა?“.

ვაუმა მიუგო:—მაგას ბავშიც მიხვდება. ეგ ხომ „სულ-ცხონებული“ მღვდელი იქნებოდაო.

ქალმა უთხრა:—დღესაც გადამირჩი, მაგრამ მიფრთხილდი, ხვალ დდგება შენი განკითხვის დღეო.

„სადგურ ჭუთაისის წითელ სასადილოში თითქმის ყოველ დღე საქმელში ვნახულობთ ბუზებს.

სასადილოს გამგე: აი დალახვროს ღმერთმა, რა-ლა ჩემი გამგეობის დროს აწყდებიან ამ სასადილოს ბუზები!.. თაფლი მაცხია, თუ რა ჯანდაბაა ამ ტანზე, რომ არ მაძლევენ საშველს.

საქართ. პროფკავშირების საბჭოს, თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის და საქარ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტის ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოდის ყოველდღიურად რვა გვერდი.

აქვს ყოველკვირეული უფასო დამატება იუმორისტ. ჟურნალი

ტარტაროზი

თვიური ხელისმოწერლები იანვარში, ვინც ხელისმოწერის ფულს თავიდან წარმოადგენს მიიღებს

უფასოთ

უცხო სიტყვათა ლექსიკონს

გაზეთის ფასი

	1 თვ.	3 თვ.	6 თვ.	1 წლ.
მუშებისა და გლეხებისითვის	70 კ.	2 მან.	4 მან.	7 მ. 50 კ.
დანარჩენთათვის	85 კ.	2-40 კ.	4-80 კ.	9 — 70 კ.

დიდი ჯიხაიში

ვერ მოვისვენე, არ იქნა,
კიდევ დამჭირდა სტვირიბ.
ამნაირ ხალხში ცხოვრება
ძნელი და გასაჭირია.
არ შეგვისრულეს რაც ჰქონდათ
ჩვენთვის მათ დანაპირია.
გამოგვიყარეს ქუჩაში
ბავშები ანატირია
(ნუ თუ არ მმართებს ამისთვის
კიდევ ავაჟღერო სტვირია?!).
საბავშო ბაღი გაგვიხსნეს,—
თბილისის იყო წყალობა;
(კანდელაკს უნდა მივუძღვნათ
ამისთვის დიდი მადლობა).
სოფელში ბავშებს ასწავლეს:
წერა, ხატვა და გალობა.

მაგრამ ეს ბაღი გაშოდგა
ავანსად მოცემულია,—
და რადგან ეხლა ავანსი
ყველასთვის აკრძალულია,—
ჩვენც აკვიგრძალეს: გასინჯვა
გემოს ამ ბაღის ხილისა—
და ქუთაისმა წაიღო,
რაც გვიწყალობა თბილისმა.
თხოვნები ბევრი გავგზავნეთ,
კაცს მიჰყვებოდა კაცია
დელეგატებში ერია
ენენაცა და ფაცია.
ეხლა კი შენ გთხოვ, ტარტაროზ
ჯოჯოხეთისა მფლობელო,
(ყველაფერი ხარ ამ ქვეყნის
ავის და კარგის მგრძნობელი).
ნუ დაგვამადლი შრომასა,
გიცხონდეს მამის სულია;

სამგზავრო თუ დაგჭირდება
ინებე ბლომად ფულია,—
და ჯიხაიშში ჩამოდი,
იქ დაგიხვდებით ყველაო;
შემდეგ ქუთაისს გაუდგეთ
დელეკენით ნელა-ნელაო.
იქ ვნახოთ თეიმურაზი,
(მან დაგვიკეტა ბაღია).
და ვკითხოთ: ნუ თუ ეს არის
მოსაზრებანი საღია?
სოფელს წაართვა ლამპარი.
მანათობელი გზისაო?
ეს ხომ მოზარდი ბავშების
დაბნელება არს მზისაო?!
ვნახოთ, რას გვეტყვის ამაზედ,
თუ პასუხს მოგვცემს ბრძნულსაო,
თუ გაგვახარებს სოფლისა
ბავშთა დაჩაგრულ გულსაო!..

ბაბაიკა

სიფრთხილეს თავი არსად არ სტკივა

ამ დროს ავტო ჩაგიქროლებს, გითავაზებს იმდენს ტალახს,
მოიკაზმე ისე კოხტად, ვით ნეფე და პატარძალი,
და გამოდი სასეირნოთ, მაგრამ, ვაი შენი ბრალი.
რომ დასწყევლი სამუდამოდ საცხოვრებლად ტფილისს ქალაქს.

ჰო-და, როცა შენ ფიქრში ხარ ფულებზე, თუ სხვა რამეზე,
ანდა ფიქრობ საყვარელზე და სანატრელ იმ ღამეზე,
ამ დროს, თითქოს მიწა სკვდება და ორმოში შენ ვარდები,
შენთან ერთად იღუპება მოგონება და დარდები.

თელავის თეატრი



მოკარნახე (მსახიობს) რა მშვენიერი ამინდია. მზე თავის ოქროს სხივების ლეჩაქში ხვევს მიწას და სწვავს სიმხურვალით.

მსახიობი. ისე აგიშენდეს ოჯახი,—სიმართლე იყოს, სიცივის გამო, ძლივს-ღა ვინძრევი და ეს კი გაიძახის: მზე სიმხურვალით მიწას წვავსო.

კედლის გაზეთი ხალხურ ენაზე

შენი ჭირიმე, გაზეთო,
შენა ხარ ჩვენი მხსნელია
შენი შიშითა ვერავინ
ვერ არის ცუდის მქნელია.
მე ბევრს შევხდი ამბობდა:
„ალბად ვართ ავი დღისაო.
„რადგან არა გვაქვს საშველი,
„რომ ამოვავსოთ ქისაო.
„„ყველგან გაჩნდება მუშკორი,
„აქვს მეტად მარტო ფეხიო.
„გამოგაჭრელებს გაზეთში,
„თავს დაგეცემა მეხიო.
„ჩვენი ფიქრი და ოცნება
„სადღაც მთლად გაქრებაო
„ჩვენი წადილი და ცდები
„კედელზე გაეკრებაო.
„იმის ოჯახი დაიქცეს
„ვინაც ეს დააწესაო.
„როდის იქნება—მომესმას
„წყეულ მუშკორთა კენესაო.
„რა ხათაბალა მონახეს
„ეს რალაც გაზეთიაო,
„დიდ და პატარა კაცების
„სუყველას გამზეთიაო“.

ვალი.

ფოთისათვის

დიდხანს ვიყავი ჩუმადა,
არ ამიღია კალამი,
ეხლა კვლავ წერა დავიწყე—
შეგობრებს ჩემი სალამი.
ისევ ვარ როგორც ვიყავი:
გაბედული და თამამი;
მოთქმა ქვეყნისა ვაების
საქმე არ არის არამი.
საქმეს საქვეყნოს ყოველთვის
გულ-მედგრად ვემსახურები.
მიფრთხილდეს ვინაც ღირსია—
არ ავაგლიჯო ყურები.
ვერ იგრძნობს შვება-სიხარულს
დღეს ჩემგან შენახურები,
ვეღარც უშველის ოქრო და
ცხელ-ცხელი ხაჭაპურები.
მე ტარტაროზის კურთხევით
ფოთი მთელად მხვდა წილადა.
დავყვები, მიუღიღინებ
ზოგს მწარედ, ზოგსა ტკბილადა;
ყველას მიუწყავ თავთავისს
არვის დავტოვებ წილადა...
საზოგადოს და კერძოსა
არც ერთს არ დავერიდები,
ვიტყვი სიმართლეს თამამად
სიავეს ავეხიდები.
თუ ვინ უბრალოდ არავის
დავჩაგრავ-აუხირდები,
ვინ დუშმანს და ორგულს კი
გავამხელ-გავეკიდები.
ჰო და მიფრთხილდეს,—ვისაც კი
მცირედიც დაუშავია.
არ ეღირსებათ მათ ჩემგან
შებრალება და ზავია.

ძველი ბეილასინი.

„ორიანი“

შემოუსხედით სუფრასა,
აქეთ მოიწით, ძამია;
ჩვენი სიცოცხლის მიზანზე
ვიფიქროთ ერთი წამია.
ჯერ ვადღეგრძელოთ ელენე,
ილოსანი ქალი;
უნდა იმაზე სიტყვა ვსთქვათ,
ეს არის ჩვენი ვალია.
შემდეგ კი ნაზი არსენი,
სიხარულიძე ილია.
(მითხრა: ქართულში სამი გყავს;
თუ არ მაკმა ტყვილია.
და აღარ ვსწავლობ ქართულსა,
წიგნში არ ჩამიხედია.
ნეტავი გამაგებინა:
რა არის ჩემი ბედია?!).
გერმანულში კი გადავრჩი:
აღარა მაქვს ორის დარდი.
ჩვენს ელენეს მიუძღვენი
ქრთამად ორი წყვლი ვარდი.
ძიძიგურთან თუმც ცუდათ ვარ
მივუდგები მას ჩურჩხელით.
იქნებ სამი დამიწეროს
მადლიანი თვისი ხელით.
არსენას კი აღარ ვიცი,
მივუდგები რა სასწორით.
ალბად უნდა დაბოლოვდეს
ჩემი საქმე მასთან ორით.
სიხარულიძის საგანში
მგონი უკვე არის სამი;
მისი შიში აღარა მაქვს,
დამშვირდება მასთან ქრთამი.
მაგრამ დამრჩა მეტრეველი
ძწარე არის ეს ბოლო კი.
როგორც კაცსა ბუნებისა
უნდა მივსცე მას ბოლოკი.
შემდეგ კლასში რომ გადავალ,
ამი— შემდეგ ნაღდად ვიცი.
ქრთამი ტყვილად არ ჩაივლის
გადავხტები როგორც კვიცი.

დიმ. წ—რ—ი.

მონადირე საკო

— არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი— სწორედ, რომ ჩემზეა ნათქვამი.

კაცო, ყასაბი კაცი ვარ, მაგრამ რა ჩემი საქმე იყო ნადირობა.

შემიჯდ ა ეშმაკი და ავყევი სხვებს; როცა ჩვენი ბიჭები სანადიროდ წასასვლელად გაემზადენ,—მეც ავდექი და წავედი მათთან.

— ვაჰ! საქო, ყოჩაღ რომ ასეთი ვაჟკაცი ყოფილხარ... ჯოჯოხეთში ცხონებული მამაშენი ისეთი ატჩაიანი რამე იყო, რომა, უთოფოდ ნადირობდა ღამით ბნელ ქუჩებში... წამო რაღა... შენც ხომ მისი შვილი ხარ...

მეორე დილით ადრე ავდექი, თუმცაღა საბნიდან გამოძრომა ძალიან გამიძნელდა. გადვიკიდე ჩემი თოფი, რომელიც ერთხელ გავისროლე,.. მაშინაც მამას ეჭირა ხელში; მე მხოლოდ ჩახმახი გამოვუშალე.

ბიჭებს ძაღლები თან ახლდა. თითო არაყი გადაჰკრეს; მე კი სამი გადავკარი, რომ გული იმათზე უფრო მაგრად მქონოდა.

შევედით ტყეში.

გულს ისეთი ბაქა-ბუქი გაჰქონდა, რომა—გეგონებოდათ: ხერხის „ზავოდის“ მატორიაო.

— აბა, საქოჯან—მითხრეს ამხანაგებმა—ახოტნიჩი პრავილა იცი? ნანადირევი ყველამ თანასწორათ უნდა გავიყოთო... შენ, რადგან ძაღლი არა გყავს, უფრო ნაკლებს აიღებო.—

მე მეწყინა და გავბრაზდი.

— მახლას... მე ჩემი თოფით, მაშ ვირის თავი ვყოფილვარ?! არა, ძმაო, არ მინდა... მე ჩემთვის წავალ და ვინადირებ. რასაც მოვკლავ საკუთრად ჩემი იქნება—

წავედი ჩემთვის.

მა რამ ეგ ვერ:ნა ჭილყვავი არ მომიკლავს

უკან-უკან ვიხედები, რომ დათვი, ან მგელი არ მომეპაროს.

ამ დროს ჰაერში მოფრინავს რაღაცა... დაუმიზნე თოფი, პირისახე იქით მოვიბრუნე, კბილები დავკრიჭე, თვალები დავხუჭე და ბაც...

ბიუოს... ბრაგვანი არ ჰქნა მიწაზე... მივედი... და ხელი დავავლე...

მაგრამ ეგ ვერანა ჭილყვავი არ მომიკლავს! ისევ მიწაზე გავაგდე, და ის იყო წამოსვლას ვაპირებდი, რომა ხმა მომესმა:

— სტოი, შენ ვინა ხარ...

მე რაზმონიკი მეგონა; თოფი ხელიდან გამივარდა.

— ძმაო-ჯან, ნუ მომკლავ, მაგ შენი თავის ჭირიმეე მეთქი... დავემანჯე მაჩხატის ხატივით.

— ვინა კლავს, შენ მუდრეკო, ვინა?

მე ტყის დარაჯი ვარ.. შენ ახოტნიჩი საუზის წევრი ხარ თუ არაო...

— რის ჩლენი, რა ჩლენი, მე ერთი საწყალი ყასაბი ვარ... ასლუჩაინად, სანადიროდ ამხანაგებს წამოვყევ მეთქი.

— მაშ თუ ასეა და—ჯარიმას გადაიხდიო...

ერთი სიტყვით, წამომათრიეს, ჯარიმაც გადამახდევინეს, თავიც ქნაცელეს და ვირის აბანოც მანახეს...

ეს არის, კაცო, სამართალი? ყველაფერი ყველაფერია, მაგრამა ჭილყვავის მოკვლასაც რაზრეშენიე უნდა?

ამას წინად, ჩერქეზოვის ულიცაზე მივდიეარ.

ვნახოთ: ვატმანი ტრამვაის ექსტრენი პოეზდსავით მიაქანებს, და ერთი კამეჩიც პრაშჩაი.. მოჰკლა. სვისტოკი... დავიდარაბა, მაგრამ არაფერი, ტრამვაიც და ვატმანიც არხეინად წავიდენ.

და ეთრი კამეჩიც პრაშჩაი... მოჰკლა

მივედი მტირალე სოფლელთან და დარიგება მივეცი:

— აი, ძმაო-ჯან, წადი, გაიგე, ის ვატმანი, შენი კამეჩი, რომ მოჰკლა, არის თუ არა „ახოტნიჩი საუზის“ წევრი? ან აქვს თუ არა რაზრეშენია კამეჩის მოკვლისა? თუ არა აქვს,—კამეჩს გადაახდევინებ და ციხეშიაც ჩააჯენ მეთქი—

ერთი გამომხედა, შემომიკურთხა და სახრე ისეთი გადამიჭირა, რომა სიმწრისაგან ხვლიკივით დავიკლაკნე.

— მე ჩემი უბედურება მეყოფა და შენ კიდეე რაღას დამცინიო.

— ვაჰ! კაცო! ვერ გამიგია? მაშ ჩემზე გააკეთეს „ისკლუჩენია“? ერთხელ ვისროლე კაჟიანი თოფი და მაშინაც ეს დღე დამაყენეს.

კაცო, ჭილყავი მომიკლავს, ქვეყნისათვის ჭირა მომიშორებია და რას მერჩოდენ!? აქ კი კამეჩი მოჰკლეს,— და არაფერი...

ეს არის კანონიერი ზაკონი?... მახლას!

სკაჟი, პაჟალუსტა, მეჟდუ ვარონა ი ბუივოლა რაზვე რაზნიცა ნეტ?

ჯნაფირ.

ტარტაროზს.

დიდი ხანია ავად ვარ. ყველა ამბულატორიებს მივმართე, მაგრამ მაინც არაფერი მეშველა.

სიმწარისა და დაღლილობისაგან ძლივსღა ვსუნთქავდი, რომ ვიღაც ჩემი ცოდვით სავსემ „ჩეკაში მიმართეო“ მირჩია...

ამის გაგონებაზე ბრაგვანი მოვადინე ბინაზე და, როდესაც გონს მოვედი, ჩემს რბილი ქვეშაგებში ვიწექი.

იმ დღის შემდეგ ლოგინიდან ვერ ვდგები.

მეორე დღეს ჩემმა ვაჟმა საიდანღაც თქვენი ჟურნალი მოიტანა და იმ ჟურნალიდან გავიგე თქვენი უებარი წამლის ჯადოსნური ძალა.

ეხლა გთხოვ გამომიგზავნო ის წამალი („მუშა“ „ტარტაროზი“-თ), რომ გადავრჩე სიკვდილს.

წამალი თვეში, თურმე ღირს 70 კაპ. მუშებისათვის, და ეს არც ისთე დიდი ფულია, რომ ვერ შევსძლო მისი გადახდა, ეს წყეული ექიმები ტყავს მაძრობენ, იმდენი ფული მიაქვთ; თანაც მეუბნებიან: „გადარჩენა საეჭვოა“. გიგზავნი 70 კაპ. და გთხოვთ გამომიგზავნო ერთი თვით თქვენი უებარი წამალი:

შენი ძმა ბოლოსი.

„რიგი“

— რა დაგემართა, ქალო; სად ყოფილხარ? იტალიის პარლამენტში ხომ არა? ვინ დაგამტვრია ასე? რას გევხარ?

— მუშკოოპში ვიყავი, საკაბე მინდოდა მეყიდა, მაგრამ, რომელიც ტანზე მეცვა, ისიც ასე გამომატანეს და ასე დამალილავეს.

მესტვირული

(შორაპნისათვის)

ჯერ საყვედურსა მივუძღვნი
მე „ისმაილის ნათლულსა“;
რატომ აღარ სწერს ეს კაცი
ამბებს კარგსა და ნაკლულსა?

განზე გამდგარი იმ დროსა,
როს ბევრი დასაწერია;
ვაი თუ ერთ დროს ცნობილსა
წაუხდა კალმის წვერია?!

შემდეგ შეევილი ზაკტპოში
სალამს მივართმევ ვასოსა.
(ვისაც შნო აქვსო ყლაპვისო
კბილი ფულს იმან ასოსო).

ვეტყვი: ზაკტპოში გაჭირდება
საზამთროდ ყველაფერია:
პური, დუხები ბლომად გაქვს
ნაქსოვიც მრავალფერია,

გალეტი, ტკბილი მომპასე
ვიცით, რომ გემრიელია,
მაგრამ, რაც მუშებს სჭირდება,—
ის რატომ შემოგელია?!

ხშირად, რომ ვხედავთ შენთანა
ჩარჩ-ვაჭრებს ატუზულებსა,—
ვაი თუ... კომბინაცია...
ჩვენზე იგებენ ფულებსა?!

იქნებ იმათაც ფართალში
ეკუთვნის სრული წილია;
ან იქნებ მათი ფულები
ჩვენს ფულზე უფრო ტკბილია.

წყეული.

სადგურ ქუთაისში

სადგურ ქუთაისს, დიდი ხანია...
სატარტაროზოს მოაკლდა რიდი...
და ეს იმიტომ, რომ ყველგან საქმეს,
ველარ გაუწვდა, თვით კოსტაიდი...
რომ დავეხმარო და შეევკრათ ბლოკი,
და გამოვძებნო საქმენი ბნელი
ვიწყებ ამიერ თანამშრომლობას
და დახმარებას თქვენგანაც ველი.
სადგურის ახლოს სასადილოში,
რომ უსადილოთ ვრჩებით ხშირადა,—
ამას არ უნდა ბევრი საბუთი
და დაგიმტკიცებთ, გნახავთ პირადათ..
მიტომ კი არა, რომ მარტო ძვირობს,
ან საჭმელები ძალზე აქვს მწყრალი!.
არა, შიგ სუფეევს არეულობა:
ლანძღვა, გინება უღვინოთ მთვრალი!...
თუ მოითხოვე შენ რამე კერძი,—
შიგ უხვად ნახავ ტარაკან-ჭიებს.
ეტყვი საყვედურს?!—შენი მტერია:
თუ არ გაასწარ,—შურსაც იძიებს.

ლალი.

მერკველს. (ორპირის თემი) „ეპოს“ გამგეობის შესახებ გვწერთ, რომ გამგეობის წევრები ამბობენ:

— საქმე ჩვენს ხელშია... ეგ შობა მამაპაპურად გავითენოთ— მიაკეტეს სავაჭრო და ქეიფი გამართეს. გლეხები მოვიდენ,— და როცა სავაჭრო დაკეტილი ნახეს—უკმაყოფილონი დარჩენ.

ამიტომ, ტარტაროზო, გთხოვ მოათავსო შემდეგნაირი კარიკატურა:

გამგეობის თავმჯდომარე: მაღალი ტანის, ჭოსა, პირხმელი, ჩამოგრძელებული სახე.

გამგეობის წევრი: ლოყებზე აქვს მაკრატლით ნაპარსი წვერი, ულვაში მაღლა მოკაუჭებული, ცხვირი აქვს მოკაკული.

ორივე პიროვნებას აცვია მღვდლის სამოსელი ჯვრებით გამოსახული. იწერენ პირჯვარს და ხელში უჭირავთ ღვინით სავსე ჩაის ჭიქები; რასაკვირველია; უნდა ისხდენ პურმარილით გაწყობილ სუფრაზე.

კარიკატურის ქვეშ იქნება შემდეგი წარწერა:

თავმჯდომარე:

დიდება ძველი სტილით
შობის გათენებასა,
ჩემო ულვაშ კვაჭუნავ,
თუ დამყობი ნებასა.

წევრი:

ამინ... ამინ... ვენაცვა
შენს გამოგონებასა,—
თუ სამი დღით გადავსწყვეტთ
სავაჭროს დაკეტვასა.

თანახმად თქვენი აღწერილობისა, ჩვენ დავახატვინეთ ეს კარიკატურები. არ ვიცით: ჰგვანან თუ არა.

საბრიჭელას. (ხულო, აჭარისტანი) ამის შესახებ უკვე იყო აჭარისტანიდან წერილი „ტარტაროზში“. სხვა მასალები მოგვაწოდეთ და გავუშვებთ.

„ხუშტარას“. (ქუთაისი) რა კი თქვენი ადგილკომი და კავშირი შეპყრობილი არიან საღათას ძილით, ნუ გააღვიძებთ... იქნებ სულ არ გამოიღვიძონ, და ეს თქვენთვის უკეთესი იქნება, იძულებული იქნებით თავისთავს მეტი ყურადღება მიაქციოთ: ახალი არჩევნები მოხდინოთ. არც ისე ძვირი დაჯდება მიცვალებულის გასვენება.

არ მოდვას. (ოკრიბა) მღვდელ ტერენტის შესახებ იწერებით, რომ თანახმად მისი ლაპარაკისა, მას მჭიდრო კავშირი ჰქონებია საიქიოსთან, საიდანაც ღებულობს „ახალ ამბებს“...მაგრამ დიდი ჭრელი ძაღლი უწინ შეეგება, და შენს მტერს,—ანაფორა შემოაგლიჯა და უკბინა.

აი, ერთად ერთი შემთხვევა, რომელიც არ ამართლებს თქმულებას:

ანტონს. (ოზურგეთი) ვათავსებთ თქვენს ცნობას და გამოგზავნილ სურათს:



ოზურგეთის სანიტკომისიამ გამოიგონა მხრჩოლავი გაზი, რომელიც ადამიანს სულს უხუთავს. ეს სურათი გადაღებულია მხრჩოლავი გაზის მოქმედების დროს.

რაღა გიჭირთ, თუ კი მასეთი გაზი გამოიგონეთ. ახლოს ვერ მოგეკარებათ ვერც მტერი და ვერც მოყვარე.

ძაღლი ძაღლის ტყავს არ დაჰხევსო.

უჩინ-მაჩინს. არაფერი უჩინ-მაჩინობა არ არის საჭირო ამ ამბის გასაგებად. ნეტა ვიცოდეთ, რამდენი „ლორიგანი“ იყიდეთ თვითონ თქვენ, მას შემდეგ, რაც ნატურალური გადასახადი დააწესა.

კვარტელს. (აქ) „პესიმისტის აღსარებაში“ ერთი ჭკუიანური ადგილი გაქვთ:

ისე გამიჭირდა ამ ბოლო ხანებში, ლამის მივატოვო ჩემი პოეტობა.

ძალიან კარგს და ჭკუიანურს იზამთ თუ კი მიატოვებთ, აჰა, კიდევ ერთი კარგი ადგილი, თუმცაღა არა ჭკუიანური:

ო, ეს შაგვრემანი და თეთრი ქალები
ქრიან დედლეშვით კავალერთ ძებნაში,
მე კი კუჭზე ცეცხლის მიკიდია ალები,
მუცელი ფრუტუნებს, ვით ცხენი ძოვნაში.

ვინ იცის, იქნებ კუჭზე უფრო, თავი გაწუხებს?

შავწყალელს. (აქ)

მისთვის არ ვიხდი
მე თეთრ ხალათსა:
მასხარად ვიგდებ
ზამთარს, ჯალათსა.
ძვირია მეტად
ყველგან ფართალი.
კაცი ვერ ვნახე
მითხრას მართალი.

სიმართლის მთქმელი კაცის ნახვა ძალიან გაგიჭირდებათ თეთრი ხალათით. ან ზაფხულამდი დაიცადეთ, ან და ხალათი გამოიცვალეთ.

შენც-კი იცის. (ნაგომარი)

შენც კი იცი, მეც კი ვიცი
ნაგომარში დუქნებია.
მეც კი ვიცი, შენც კი იცი
მიკიტნები სუქნებია.

მნახველს. (ქუთაისი) ტარტაროზისათვის საიდუმლოებას არ შეიცავს ღმერთს და მარიამის შორის აარსებული რომანი, რომლის ნაყოფია ქრისტე. ასე, რომ ამ ამბის გასაგებად ტარტაროზი საიქიოს ავტოთი არ გამგზავრებულა. ასეთი ჭორი მართლაც და მანდ თუ შეიძლება გიგონოს ყურებმა.

ვ. რატიანს. კოლოს საყურადღებოდ გვწერთ:

ცილისწამება, მიმოთქმა
კაცისთვის მოსაწონია?
მაგრამ ჩვენს კოლო კბენიას
ეს მოსაწონი ჰგონია.
მისი ნახტომი ხანდახან
მისივე ზარის მტერია.
ისეთ აღგილზე მოხვდება,
სადაც იქნება მტვერია.

სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეხლა ზამთარია და მტვერი არსად არ არის. დაიცადოთ გაზაფხულამდე,—და მაშინ კოლოსთან ერთად იმ მემანქანესაც გავაგზავნით, რომელმაც თქვენ სადგურში დაგტოვა და ამით შეცდომაში შეიყვანა ამხ. კოლო. დამშვიდდით, ჩვენ შეცდომას არავის არ ვაპატიებთ.

გამასწორებელს. (ქედა. აჭარისტანი) მაქაურ საავადმყოფოზე იწერებით:

ამას წინეთ, გასულ კვირეს
ერთი რამეთ გამაკვირეს:
სანიტარი ტილებს სწმენდდა
და ექიმი ჩაქუჩს სცემდა
თუ აღნიშნულ კბენარებს
შევანახვინებთ თბილად,—
ყანებში გამოგვადგება.
ხარების მაგივრად.

ტყუილი იმედია; კარგი ხანია შეგინახავთ, მაგრამ ხარებათ კი არა, ვერც ვირებათ მოგიხმარიათ. ისევ სჯობს: დააცადოთ სანიტარს და ექიმს.

კიდევ მნახავს. (იქიდანვე) თქვენ იწერებით, რომ:

საშობაოდ გავაგზავნეთ
ჩვენში ერთი დელეგატი;
დაბრუნდა და მოგვიტანა
ორი ღორი, ერთი ბატი.

კარგად დაითვალეთ,—შეიძლება ორი ბატი დაბრუნდა.

ჩიჩხინაკს. (სოფ. წითელმთა, გურია) მანდ მონადირეების სამშობლოა და საკვირველიც არ არის ის ამბავი, რომელსაც თქვენ იწერებით:

სანადიროდ წავიდენ თოფით, რომელიც ისეთი იყო, რომ: ბედღისათვის რომ გესროლათ, სასიმინდეს მოხვდებოდა.

საცდელად ერთ საეენზე ესროლეს კატას... მაგრამ კატა მხოლოდ დააფრთხეს... მიშამ გაიხედ-გამოიხედა... აღარც თოფი სჩანდა და აღარც „კურდღელი“... ამბობს თოფი კურდღელს შერჩა, ზურგზე, როცა ვესროლეო. კიდევ კარგი, რომ კურდღელმა მონადირეც არ გაიტაცა, (როგორც ეს ლევარსის შეემთხვა. ეს ამბავი ახლო ხანში დაიწერება „ტარტაროზში“).

კვანწის. (შემოქმედი, გურია) გუნების-კარის მსახიობზე იწერებით, რომ:

„...არტისტია მეტად კარგი
„ბიროვნება მეტად სანდო.
„ამ ქცევისა კაცი გახლავთ
„ლავრენტის-ძე ფღენტი სანდრო“.

ხომ გაგიგონიათ:როგორიც ერი, ისეთი ბერი. ყველაც თავისი ბახალა უნდა მოსწონდეს.

„გამოსავალი“

ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავენ საბჭოთა კავშირის ცნობაში და მასთან ურთიერთობის აღდგენაში.

გაზეთებიდან.



რომ სალაროებს ცარიელს ეძახოს ზემოსავალი
ეხლა მონახეს და ნახეს ჩიხიდან გამოსავალი.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

№ 36 | ქვირა, 14 თებერვალი, 1925 წელი. | № 36

ბენაცვალოს დედა, როგორ ყოჩაღი ხარ...
სხვა შვილებზე უფრო შენ ძვირფასად ღირ ხარ.

მაგრე, შვილო, მაგრე შეუტიე ყველას...
ამ სიბერის ჟამსა შენგან ველი შველას.

გაფრთხილება

ბრძანების გამბიერ

ხხოლოდ და მხოლოდ ჩვენ თანამშრომელთა ხაყურადღებოდ და წასაკითხად

ჩვენ ეჭვი არასოდეს არ შეგვდიოდა (და არც ახლა შეგვდის), რომ თქვენ ყოველთვის გვაწვდიდით (და გვაწვდით) ადგილებიდან სწორს და უტყუარ ცნობებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ არასოდეს არ იკადრებთ (და არც გიკადრებიათ), რომ სიცრუეში სიმართლე გაურიოთ, ანდა, პირიქით: სიმართლეში სიცრუე.

თქვენს მიერ მოწოდებული ცნობა ან ხალასი სიცრუე იყო, ანდა ხალასი სიმართლე. როცა მართალი იყო, მაშინ ტყვილი არ იყო, ხოლო, როცა ტყვილი იყო, მაშინ მართალი არ იყო. (ამაში, მე მგონია, თქვენ დაგვერწმუნებით...) ასე რომ თქვენი მასალა ყოველთვის ხალასი იყო და რედაქციას აღარ უხდებოდა მათი შემოწმება, ანალიზში გატარება; სიცრუეთ თავისი გზა ჰქონდა,—და სიმართლეს კი—თავისი.

მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ხშირად მომხდარა, რომ სიცრუე და სიმართლე ერთმეწყეთში ყოფილა არეული.

რა თქმა უნდა, ასეთი ამბავი ვერ არის კარგი... ძნელია გარკვევა, თუ რა არის ტყუილი და რა სიმართლე, ჩვენ არ გვქონდა ისეთი ტეხნიკა, რომლის საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო ტყუილის დაჭერა, გამოაშკარავება. არც გეიფიქრია, ამხარ ტეხნიკის და მანქანის გამოგონებაზე... მართალი ხალხი ვართ და ტყუილის გამომცნობი მანქანა ჩვენ არ გვესაჭიროებოდა, თორემ მისი გამოგონება არც ისე დიდი საქმეა, როგორც ეს ამერიკელებს ჰგონიათ.

რა თქმა უნდა, ამერიკას არ გაუჭირდებოდა ასეთი მანქანის გამოგონება, რადგან იქ ყველას სჩვევია ტყუილი.

ამბობენ: ამერიკელი ტყუილისათვის ხელს ჯიბეში არ ჩაიდებსო... ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ხელშიც ბლოკად აქვს ტყუილი და აღარ სჭირია ჯიბე, რომელშიც დოლარებთან ერთად დოლარების ოდენი ტყუილიც თანა აქვთ.

და რა გასაკვირალია, რომ ამერიკაში გამოიგონეს ტყუილის გამომცნობი მანქანა!

მათ თორემ, ჩვენ რა?

იმათ აღარ ეჭნებათ ამიერიდან ერთმანეთის დანდობა, რადგან ყოველთვის გაუგებენ ერთმანეთს ტყუილს.

ეს ამერიკაში... მაგრამ ამ მანქანას არა ნაკლები მოთხოვნილება ექნება (და უკვე აქვს) ჩვენში.

სანამ ჩვენ ისე განვავითარებდეთ ჩვენს ტყუილს, რომ თვითონ ჩვენ გამოვიგონებდეთ ტყუილის გამომცნობ მანქანას, ბევრი დრო უნდა.

ამიტომ ჩვენ შევიძინეთ იგი ამერიკისაგან და მივეცით საფასურათ რაც ერთი წლის განმავლობაში დაგროვდა თბილისის ყველა გაზეთების რედაქციებში შემოსულ ცნობების ტყუილი.

ერთი ასეთი მანქანა „ტარტაროზი"-ს რედაქციამაც შეიძინა.

ამიერიდან თქვენს მიერ მოწოდებული მასალები გატარდებიან ამ მანქანაში. ისე რომ თქვენ ვალდებული ხართ მოგვაწოდოთ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც სრულ სიმართლეს შეიცავს.

ამავე დროს გაფრთხილებთ, რომ თითოეული თქვენგანი უძრავ-მოძრავი თავით პასუხისმგებელი ხართ ტარტაროზის წინაშე ცნობების სიმართლეში... ხოლო თუ რა ხურმაა ტარტაროზის წინაშე პასუხისგება, ეს თქვენ კარგად უნდა იცოდეთ.

ყოველივე სიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოგვეცა თქვენთვის ეს გაფრთხილება და მით უფრო, რომ ყველა ჩვენმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, რომ „ტარტაროზი" ლმობიერი არავისთან არ არის, როგორც გარეშესთან, ისე თავის თანამშრომლებთან.

ტარტაროზი.

ზღაპარი სინამდვილიდან

„დაცემული ფრანკის კურსის ასაწევათ საბოლოო-მეურნეობის ყოველ საგანზე იქნება შემოღებული გადასახადი საფრანგეთში".

გაზეთებიდან.

1

ტყო და-არა იყო რა,
რაც არ ყოფილა—არ არი,
მაგრამ, ბრიანის ჩრდილს ვეფიცავ—
ტომ ეს არ გასლავთ ზღაპარი.

— სულ ასიოდე წლის წინად—
ან კი რა დიდი ვადაა!
ოთასი წლობით, იცოცხლოს—
ხაბეჭოში ყველა მზადაა).

ინ, და—მას მოგახსენებდით—
სულ ასიოდე წლის წინათ—
რაც დღეს საფრანგეთს დღე ადგას—
ჩვენც იგი გვადგა პირწმინდათ.

თურმე რუსეთის ხაზინას
ბოტრობის აჩნდა ნიშანი—
ან ვის ამაყ ქედს არ მოჰხრის
ეს უფულობა პირშავი!)

იმ დროს აქ, კავკასიაში
(თუ კი მწამს მე დღე მზიანი)
შემკვიდრეთ „ნამესტნიკისა"
ყოფილა ორბელიანი.

პოეტი ძველი მწერალი,
თან გენერალიც დიდია!
(პროლეტპოეტი კი არა
ჩინი, რომ ფეხზე ჰკიდია)

უზარმაზარი მამულის
და მრავალ ყმათა ბატონი,
ოთხფეხა მრავალ ულაყის
და ვირთა ჯოგის პატრონი.

თან „ნამესტნიკიც" ყოფილა—
მერე რა კაცი რამ ხელა?
და რაც მას საქმე უქნია—
მე დღესაც ზიჭირს გამხელა.

თურმე გამოსცა „დეკრეტი":
— სურავინ გაიკვირებსო,
მაგრამ დღეიდან „ნალოგი"
უნდა დაედვას ვირებსო!"

ვირი და გადასახადი!
გადასახადი და ვირი!
რას იზავ, უნდა იცეკვო—
ზევიდან ისმის დაირი!

მაგრამ, მაშინდელ—ღარიბ ხალხს
არ სურდა უხმოთ ცეკვანი:
მათ ყურს არც სიამოვნებდა
ამ „ნამესტნიკის" ეჭვანი.

სთქვეს:—აწ ისედაც სულს გვხდიან,
ნალოგს ადებენ პიტნასა,
და ეს ვირების ნალოგი
ვინ, სად, ან რატომ მიტმასნა?"

აბუნტებულან ყველანი,
გლეჯდენ ქვასა და მიწასა—
სწვევიან „ნამესტნიკისა"
აწ კარებს სასახლისასა:

— შვილებო, რისთვის მოსულხართ
ვინ რითი მოგცათ ზიანი?
ბითხარით მოსელის მიზეზი?
— მიმართავს ორბელიანი.

„ბოროტი განზრახვა“

„ყოფილ ბარიატინსკის ქუჩას ეხლა ეწოდება ერთ მხარეს ჯორჯიაშვილის და მეორე მხარეს—ლიბკნეხტის“.



— ალმასკომი ცდილობს, რომ ჩვენს შორის შუღლი ჩამოაგდოს, მაგრამ ვერაფერს გახდება. რევოლიუციონერებს მაგრე ადვილად ვერ მოგვატყვილებს.

— ვა, დალოცვილო—ნალოგი—
მერე ასეთი—იქნება?
ლამის წაგვიღოს—ძია-ჯან
ჩვენ ამ ნიადაგის ფიქრებმა!

— რომელ ნალოგზე მითითებთ
რატომ არ მეტყვით შვილოსა?
— და „ნამესტნიკი“ აქ განგებ
„ტონს“ იღებს სასაცილოსა.

— აი, ბატონო ეხლა ხან,
რომ გაგიცია „ზაკონი“—
ვინ არის, შენი ჭირიმე,
ვირზე ნალოგის გამგონი?

— ჰო, საქმე რაში ყოფილა!..
რა მოგვლენიათ ნისლათა!“
და დიდი ორბელიანი
განაგრძობს დარბაისლათა:

— მართლა, ნუ თუ ეგ გაწუხებთ—
სხვა, მეტი არაფერია?
მერე და ეგ „ზაკონები“
ჩემ ვირებზეც ხომ სწერია?

— შვილოსა, „ნამესტნიკი“ ვარ
მთელ „კანკასიის“ უფალი,
მაგრამ მაგ ნალოგებისგან
არც მე ვარ თავისუფალი.

მაგას მეც მახდევინებენ—
აი, თუნდა ჰკითხეთ ჩემ ვირებს—
და ახლა თქვენ რას წუწუნებთ!
სთქვით დღეს—აქ, ვის რა რქები რევს?

— შე დალოცვილო—სთქვა ერთმა,
ეგრე თქმა სადაურია?
რატო ინებებთ, რომ მთელ ხალხს
პირზე წაგვისვა მურაბა?

—თქვენ ვირებს თითონ თქვენ არჩენთ
ჩვენ კი—ჩვენვე გვარჩენსო—
მათი ერთგვარად დაბეგვრა—
ვით ძალუძს თქვენ განაჩენსო?“

მართლაც ვინ იყო მართალი:
— ხალხი თუ ორბელიანი?
ამას დათვიც კი გადასწყვეტს
დედალი, ორ-ბელიანი.

II

იყო და არა იყო რა,
რაც არ ყოფილა—არ არი,
მაგრამ ბრიანის ჩრდილს ვფიცავ
არც ეს გეგონოთ ზღაპარი.

სულ ასიოდე წელს შემდეგ
(ან კი რა დიდი ვადაა)
„ნალოგი“ დასდვას ვირებზე
ეხლა ბრიანიც მზადაა.

ტურფაა ფრანგთა ქვეყანა,
ლამაზი არის ფრანგია—
ულამაზოთ კი ეცემა
დღეს ძირს ფრანგული ფრანკია.

უკვე ქვეშ მოიტანია,
მან აწ კაიო ჭკუიანი,
მასვე გადაჰყვა პენლევე
და გადაყვება ბრიანი,

მაგრამ... დაღუპვა ამ პირთა
საქმეს უშველის რამესა?!
ამბობენ, რომ ერთი სანთლით
დღეთ ვერვინ აქცევს ღამესა.

რა იხსნის მდგომარეობას?
— ბრიანის აზრით: „ნალოგი“,
მაგრამ ეს უფრო თითია
ცარიელ პირში ნალოკი.

ნალოგი—გლეხის მონაგარს,
იხვს, ბატს, ქათამს და... ვირებს,
ფონს გასვლას ჩვენი ბრიანი
ამგვარი ხერხით აპირებს.

გლეხს როს მარჩენი ვირი ჰყავს
ისიც კი დაიბეგრება—
მთავრობას ვირის თავფეხი,
გლეხს კი—ესეც არ ერგება!

გლეხს მარჩენალი ვირი ჰყავს,
მას არ აძლევენ არაქათს,—
ხოლო სარჩენი ორფეხნი—
სწოვდენ კვლავ ხალხის ბარაქას!

—

აწ ღმერთმა კი შეარცხვინოს
საქმე ამაზე ჭკვიანი—
„ნალოგებს“ იხდის ვირისას
გლეხის ზურგიდან ბრიანი.

გლეხის ზურგიდან ბრიანი.
ბრიანი თავის ვირებსა—
და მოქმედება ასეთი
დღეს ნურვის გააკვირებსა!

„ზარდია“.

ვინ არის დამნაშავე?

„გუშინ დილით ვიღაც უცნობი თავის დაღრჩობას აპირებდა მტკვარში, მაგრამ როცა წყალი ცივი აღმოჩნდა, თავის დახრჩობა გადასდო ზაფხულამდე".

„ტარტაროზი" № 35.

უკაცრავად, მოქალაქე ტარტაროზო!

ის უცნობი, რომელიც „თავის დახრჩობას აპირებდა მტკვარში, მაგრამ როცა წყალი ცივი აღმოჩნდა, თავის დახრჩობა გადასდო ზაფხულამდე", გახლავარ მე.

თქვენთვის ყალბი ცნობა მოუწოდებიათ...

უკაცრავად;

ყალბი იმ მხრივ, რომ მე თავის დახრჩობა გადავსდე ზაფხულამდი არა იმიტომ, რომ ეხლა „წყალი ცივი აღმოჩნდა", არამედ სხვა მოსაზრებით.

სიცივე მე ვერ შემაშინებს. მგონი თევზსაც არ ეშინება ჩემსავით ცივი სისხლი. მე არ ვიცი ცეცხლის გემო; მისი სიმხურვალე მას შემდეგ არ მიგრძნია, რაც, ორი წლის უკან სოფელში ერთი ქოხი მქონდა და ისიც დამეწვა.

ასე რომ, თქვენი ქრონიკიორი ცილს მწამებს, თითქოს მე სიცივემ შემაშინა.

საქმე შემდეგშია.

როცა საშუალო სასწავლებელი დავასრულე (ეს იყო გასულ წელს), უნივერსიტეტში არ შევსულვარ და ვამჯობინე გამეთავებინა ბუჰალტერიის (ინწკირველის) კურსები.

თქვენ იქნებ გაგიკვირდეთ: თუ რად ვამჯობინე კურსები უნივერსიტეტს?!.

ერთ დღეს (ო, წყეული იყოს ის დღე) ჩვენს მეზობელს, რომელსაც გვარიანი ადგილი ჰქონდა ერთს დაწესებულებაში, ესთხოვე სამსახურში მოვეწყვე.

და მართლაც, მე ვხედავდი, რომ „ბუჰალტერია ყველაფერია".

ოთხი თვე... მერე სამსახური... გაჰკარი და გამოჰკარი... რა უნდა ამდენი... მოეღება ბოლო ჩემს ტანჯვას... როცა ხელში „დიპლომი" მექნება, მაშინ ხომ უარს ვერ მეტყვიან?!. ახლა კი მიზეზობენ...

ჰო-და ეს იყო, ტარტაროზო, რომ უნივერსიტეტს თავი დავანებე.

მახსოვს როგორ გაჰიერებული დავდიოდი მრანგარიშის კურსებზე...

ხშირად მე და პარმენს (ჩემი ამხანაგია) ხმელი პურიც არ გვქონებია...

ვინც კი ნაცნობი გვყავდა, ყველასგან გვქონდა ფული ნასესხები.

— აბა, დღეს ვისთან მივიდეთ?.. ვის გამოვართვათ ფული?

— გადახედე სიას, თუ ვისთვის გამოგვირთმეია იმ თვეში,—და ისევ იმას გამოვართვათ.

— არა, ძმავო, მე მასთან კიდევ ვერ მივალ და ფულს ვერ ვსთხოვ?

— რისი გრცხვენია, კაცო... ჩვენ კი არა, ევროპის სახელმწიფოები დადიან ჩვენსავით ფულის სათხოვნელად ამერიკაში... შენ კი ამ უბნიდან იმ უბანში ერთი მანეთის სასესხებლად წასვლა ვერ გაგიბედია!..

— კი მარა, აკი გვმართებს იმ კაცის და კიდევ როგორ ვსთხოვო?

— არ ვარგხარ, ძმაო, არა... ბიჭო, იტალიას, საფრანგეთს, პოლონეთს და სხვებს ყველას მართებს ამერიკის და ინგლისის, მარა მაინც კიდევ სთხოვენ.

— არა, ძმაო, მრცხვენია... მე მაგის შუბლი არ მაქვს...

— შენ რომ ხეირი ქნა, შენს მტერს დაამადლე... შე ოჯახდაფუძვნულო, მინისტრებს თუ არ სცხვენიათ ფულის თხოვნა, შენ ვისხარ, რომ გცხვენია?!.

— კარგი მარა, რომ გამაწბილოს?

— მერე რა?.. შენ კი არა ბრიანი გაპწბილებს ამერიკაში, მარა თავი არ მოუკლავს?.. დღეს ასეთია, ძმაო, ცხოვრების ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენ კი არა, სახელმწიფოებს არ აქვთ ფული... თხოვნა სირცხვილი კი არ არის...

— კი მარა, რაღა მე მიკითხავ ლექციას და მასწავლი ჭკუას? თვითონ შენ წადი...

— ეჰ! ახლა ერთი შენც დაიწყე რაღა..

„გაფრენა

უბადოთ"

ხელისუფლება—ხელის უფლება

ი. ბლინოვი

ეი ასე ესმის ინგლისს ახალშენების მიმართ ხელისუფლება.
(მართლაც-და „ხელის უფლება"

ეი ჩვენი ყოველდღიური სცენა, როცა მუცელში შორეულ გრგვინვასავით მოისმოდა რაღაც საზარელი ხმაური.

—:—

როცა დიპლომი მივიღე, პირდაპირ ჩემს მეზობელთან წავედი დაწესებულებაში.

— აბა ჩემო ხალამპრე—...

ამდენანს სად იყავი? გუშინ მივიღეთ კაცი... ამდენი ხანი გინახე ადგილი და ბოლოს რაღა მექნა?—

— არა უშავს... სამსახურის მეტს რას ვიშოვი... ჩემი პროტექცია—ჩემი დიპლომია.—ასე ვფიქრობდი ხალამპრედან მომავალი.

—:—

მუშკოოპი ახალ სავაჭროს ხსნიდა ჩვენს ქუჩაზე. გამგეობაში განცხადება შევიტანე.

— შრომის ბირჟის წიგნაკის ნომერი?—

— რა წიგნაკი?.. რა ნომერი?

— თქვენ უმუშევარი არა ხართ?

— შე დალოცვილო, დამცინი თუ რა არის? უმუშევარი რომ არ ვიყო და სამსახური მქონდეს, ამ განცხადებას რატომ მოგცემდი?!. უმუშევარი ვარ მაშ?!.

— ჯერ შრომის ბირჟაში ჩაიწერეთ და შემდეგ შეიძლება თქვენი თხოვნა განხილულ იქნეს...

— არც მაგაზე გაწყენინებთ... სადაც ამდენი ტანჯვა გადამიტანია, ამასაც გაუძლებ... მადლობა ღმერთს, შრომის ბირჟა შორს არ არის... ხელად ჩავირბენ და ჩავიწერები... ერთს საათში მოგიტან, და ადგილი ჩემზე იყოს შენახული...

— ჰო... კარგი... ერთს საათში.—ირონიულად გაიღიმა და ზურგი შემომაქცია.

შრომის ბირჟაში გავეშიანდი...

— აბა... აბა... გამატარეთ... ჩქარა... გაიჩოჩე, კაცო...

სარი ხომ არ გადაგიყლაპავს, რომ გაშტერებულხარ მაქანე არქიმანდიტრის ჯორსავით?!.

— ეა!.. ეს რომელ ტყიდან არის გამოვარდნილი?!.

— შენი ტყე კი ვიცი მე. ამ ერთხელ მოვსულვარ აქ, და ამის მეტი მორიდება არა გაქვთ?..

— შე ოსყოო, ჩვენ უნდა მოგეიდოთ, თუ შენ უნდა მოგვერიდო ჩვენ, რომლებსაც აქ დგომის ორი-სამი წლის სტაჟი გვაქვს?!.

—:—

— აბა, თუ ხათრი გაქვთ, მალე ჩამწერეთ და წიგნაკი მომეცით... სამსახური ავაჩინე და თუ თქვენგან მოცემული რაღაც ოხრობა წიგნაკი ყოფილა არ წარვადგინე, ისე არ მღებულობენ?

— თქვენ რომელი კავშირის წევრი ხართ?

— მოანგარიშის.

— ხა-ხა-ხა-ხა—მე კავშირს გეკითხებით; კავშირის წიგნაკი...

— არა მაქვს...

— თქვენ კავშირის წევრი არა ხართ?

— როგორ?.. ეს სავალდებულოა აქ ჩაწერისათვის?

— აუცილებლად?..

— კავშირი სად არის...

— აი, დიდი სახლი რომ არის... მუშათა სასახლე...

—:—

— ძალიან მახლაფორთებენ, მარა ღმერთი მაინც მე მწყალობს... კავშირიც აქავე არის... რაზ... დეა... ღა იქ გავჩნდები... მივალ კავშირში... წევრად ჩამწერენ... მომცემენ წიგნაკს... წიგნაკს მიუტანთ შრომის ბირჟას, იგი მომცემს სხვა წიგნაკს... და მიუტანთ მუშკოოპს... დავგრეხ თოკსა ბაწარსა, ჩავუგდებ, ამოვიყვან ჩემს სამსახურსა...

—:—

— შე გენაცვალე... არ დამაგვიანო...

— რა ვხეიაკო?..

— ჩამწერეთ და საჩქაროთ მომეცით საწევრო წიგნაკი, თორემ უმისოდ შრომის ბირჟა ყოფილა, რაღაც ოხრობა, მუშკოოპში სამსახური ვიშოვე და არ მეზავნიან.

— თქვენ ჩვენი კავშირის წევრი ხართ?

— კაცო, თუ ხათრი გაქვთ, ნუ მახლაფორთებთ... რა ვიცი მე ვისი ვარ... თუ თქვენი არ ვარ, ჩამწერეთ და თქვენი ვიქნები... რა დროს შენჩემობაა ახლა!?.

— ამხანაგო, თავის კავშირს უნდა მიმართოთ...

—კაცო, გეუბნები, რომ ჯერ არ ვარ კავშირის წევრი და ამიტომ გთხოვთ: ჩამწეროთ და წიგნაკი მომცეთ...

— ხოოოო... თქვენ კავშირის წევრი არ ყოფილხართ... ჩვენ წიგნაკს ვერ მოგცემთ.

— მაშ ვინ მომცემს?!!

— სამსახურიდან უნდა წარმოადგინო შესაფერი ქაღალდები, რომ თქვენ იქ მსახურობთ... ამის შემდეგ შეგვიძლია მოგცეთ თქვენ საწევრო წიგნაკი.

— მაშ ჯერ უნდა ვიმსახურო?..

— დიახ! დიახ!

— უკაცრავად...

—:—

— ერთი ისეთი უნდა ვუვერო ყურის ძირში, რომ სულ „ვაიდედა“ ვაძახო... არაფერიც არ სდომებია... ჯერ სამსახური უნდა ი'შოვო და მერე უნდა ეს ხლაფოთი... მატყუილებდეს მუშკოოპში... მარა ხომ დავიჭირე ეხლა?.. —ასე ვფიქრობდი, როცა კავშირიდან გამოვდიოდი.

—:—

ხუმრობა ხუმრობაა, მარა მე კი გამათავეთ დღეს... ამისანა სამსახურის შოვნასაც რა ვუთხრა მე... როდის მოვიდე მუშაობის დასაწყებად?

— შრომის ბირჟიდან მოიტანე ქაღალდი?

— არაფერი შრომის ბირჟა და კავშირი არ-სდომებია... ბვიეთონ თქვენ უნდა მომცეთ ქაღალდი, რომ მე აქ ვმსახურებ და მერე ჩამწერეს ისენი.

— თქვენ რას სულელობთ?! ჩვენ უფლება არა გვაქვს არაკავშირის წევრი და არაუმუშევარი მივიღოთ...

—:—

უარი ეთქვას...

კაი ამბავია...

ორი-სამჯერ გავაკეთე მაშრუტი საქმის გამოსარკვევად...

ყოველთვის იგივე პასუხი მივიღე.

სამსახურში არ მიმიღეს, იმიტომ, რომ შრომის ბირჟაში არ სწერიხარო.

კაცო, რაშია საქმე?

მაშ ვინ ოხერს ჰქვია უმუშევარი?

და უკანასკნელად, როცა მე ერთხელ კიდევ მივმართე შრომის ბირჟას,—გავეგზავნე სამსახურში, და მან ჩვეულებრივი უარი მითხრა,—გამოვედი და, როცა კარლ მარქსის ხიდზე შევდექი, თავის დახრჩობა გადავსწყვიტე. ის იყო, მოვუხვიე და ნაპირზე მივედი.

მე უდარდელად დავიხრჩობდი თავს, მაგრამ როცა ყწალში გადასკუპება დავაპირე, უცბად თავში გამიელვა:

— თავს რომ ვიხრჩობ, არა უშავს... ძალიან კარგი... მაგრამ ნუთუ არ უნდა ვიცოდე ჩემს ცოდვაში ვინ არის **დამნაშავე:**

შრომის ბირჟა, კავშირი და მუშკოოპი?..

არა, მე ეს უნდა გამოვარკვიო, თორემ იმ ქვეყნად დაუსჯელი დამრჩება ჩემი დამღუპველი, რაღგან არ მეცოდინება **ვინ არის დამნაშავე,** რომ მას ბრალდება წავუყენო ღმერთის წინაშე.

—:—

აი, მოქალაქე ტარტაროზო, მიზეზი იმისა, თუ რატომ გადავსდე თავის დახრჩობა.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ მე სიცივის არ მეშინია... და თუ თქვენ ეს არ გჯერათ, მე თანახმა ვარ თქვენს წინაშე ეს დავამტკიცო, მხოლოდ შემდეგი პირობით:

თქვენ გამოიკვლიეთ და მომეცით ხელში, თუ რომელია მათშორის **დამნაშავე?**

როცა თქვენ მე ამას გამაგებინებთ, მე გაზაფხულსაც არ დავუცდი და სისრულეში მოვიყვან ჩემს განზრახვას.

ვინჭარი.

მაგ საქმის გამორკვევა შეუძლებელია. განაგრძეთ სიცოცხლე.

თქვენ უზრუნველყოფილი ხართ თავის დახრჩობისაგან, რადგან ამ საკითხის გამოკვლევა ძნელია.

ტარტაროზი.



ფიზკულტურაში იწერებიან

ეოგვეცით ჩვენი კბილები

სამტრედიის დამზღვევე სალაორმ გმოაცხადა: ვისაც არა გაქვთ საღი კბილები, შეგიძლიათ დაიძროთ ექიმთან და ახალი ჩაიდგას. ყოველივე ხარჯს კისრულობს დამზღვევი სლარო. ასეც მოეიქეცით. დავიძ რეთ კბილები, მაგრამ ეხლა ყველა უკბილოდ დავრჩით. დამზღვევი სალარო ყურა დღებასაც არ გვაქცევს.

კბილეგდამძვრალნი (ექიმს) ჩქარა ღბილები ჩაგვიდგი, თორემ მოთმინებიდან გამოვიდით. საშველი ვერ გვიშველია... ჩვენი ლაპარაკი,—ლაპარაკს არა ჰგავს და...

ექიმი. მოქალაქენო, დამშვიდდით; ეს კარგია, რადგან საშველს ვერ სჯამთ და ხარჯი ნაკლები გმქნებათ...

შეფობა სოფელ წაბლარზე

I

ხმა იდუმალი.

საქართველოში ბევრია სოფელი და ერთ მათგანს ერქვა წაბლარა. მარჯვნით მთა, მარცხნივ მთა, შუაში ვდინარე და მდინარის პირად ფერდობზე სოფელი იყო გაშენებული. მდინარეში იყო თევზები, მაგრამ ისე პატარა, რომ ბაყაყიც კი აშინებდა.

წაბლარაში ადრე იძინებდენ და ადრე იღვიძებდენ. ეს დღეც ჩვეულებრივად გათენდა, მაგრამ ჩვეულებრივად არ დაღამებულა.

II

მოისმის სიმღერა, რომელიც თანდათან ახლოდება. შარაგზაზე გამოჩდენ გაკვირვებული გლეხები. ისინი იყურებიან იქიდან, საიდანაც სიმღერა მოისმის.

1 გლეხი მაყრები ხომ არაა?

2 გლეხი ქვევითა მოდიან, მაყრები არ უნდა იყვენ.

3 გლეხი დროშები მოაქვთ!

4 გლეხი ქალაქის ხალხი იქნება!

შუშები შემოდიან სიმღერით. ერთ-ორს დროშა უჭირავს.

1 მუშა ქალაქის პროლეტარიატის სახელით მოგესალმებით თქვენ, სოფლის პროლეტარიატს. ქალაქის მუშა და სოფლის გლეხი—ეს ის ძალაა, რომელიც...

1 გლეხი თუ უკაცრავად არ ვიყოთ, ვინ ბრძანდებით?

2 მუშა ჩვენ ვართ თქვენი სოფლის შეფები!

4 გლეხი შაფერები? ჩვენში დღეს არავისა აქვს ქორწილი.

3 გლეხი ალბად გზა აგცდებოდათ. ეს გახლავს წაბლარა. არავინ გათხოვილა ჩვენში.

1 მუშა ამხანაგებო! აქ პატარა გაუგებრობას აქვს ადგილი. ჩვენ ვართ თქვენი სოფლის შეფები. ვიკისრეთ ვიზრუნოთ თქვენ სოფელზე. გაგიხსნათ კოოპერატივი, სამკითხველო, გზები გავაუმჯობესოთ... გამოგიგზავნით სამეურნეო იარაღებს, ტრაქტორებს, ნაჯახებს. ეს ყველაფერი უფასოთ მოგივათ.

გლეხები შენ აგაშენა ღმერთმა! ასეთი კაი სიტყვა ჯერ არავისაგან გვსმენია! შენ აგაშენა ღმერთმა!

1 გლეხი აი შეხედე, სულ ჩამოშტვრეული აქვს პირი თოხს, ბალახი ვერ ამოთხარა.

2 გლეხი სპიჩა-ნავთი გამოგვიგზავნეთ, ბნელაში ვცხოვრობთ.

2 **მუშა** ამიერიდან თქვენ აღარ დაგჭირდებათ ნავთი. ჩვენ აქ გამოგიყვანთ ელექტრონს და მთელ სოფელს გავაჩირაღდნებთ.

3 **გლეხი** შენ გიშველა ღმერთმა! ქოხის წინ ერთი ხე დგია. შემოეჩვია იმ ხეს ბუ და მთელი ღამე დამკივის, თითქო მიცცალებული მყავდეს შინ. ჩამოეკიდებ იმ ელექტრონსა იმ ხეზე და როცა სინათლეს დაინახავს, მომშორდება მაშ რას იზამს.

მუშები (მღერიან)
ჩვენ ვართ შეფები
თქვენი მეგობრები;
გიხაროდეთ წაბლარლებს,
ჩვენ მოგიტანთ ყველაფერს.
თოხი, ცელი, ნაჯახია,
რაც რომ ჩვენი ნაჯაფია
ყველა თქვენთვის მოგვიცია...
ჩვენ ვართ შეფები
თქვენი მეგობრები.
გაუმარჯოს წაბლარას
ნათელს, ელექტრონიანს.
გაუმარჯოს სოფელს და
ქალაქის პროლეტარიატს.

გლეხები
ეხლა დაგვიდგა საშველი,
დღე გათენდა ბედნიერი.
ახალ ნამგლით პურსაც ვიმკიან.

ჰოოპუნა, ჰერი, ჰერი!
გაუმარჯოს წაბლარას
ნათელს ელექტრონიანს.
გაუმარჯოს ახალ თობს
ნაჯახს მაგარ ტარიანს.

ხმა იდუმალი

პირველად, მისალმების შემდეგ, როგორც ვიგი ღა წესია, შეფების მეთაურმა მოსსენება წაიკითხა საერთაშორისო მდგომარეობაზე. ბევრი აგინა ინგლისი, საფრანგეთი, პოლონეთი. ბურჟუებს ღორები უწოდა, კაპიტალისტებს კიდევ უფრო უარესი.

IV

1 მუშა როგორც თქვენ დარწმუნდით, იმ ქვეყნებში კიდევ ცხოვრობს ის საზიზღარი ხალხი. ისინი არიან მსუნაგების ხროვა, რომელიც რომ...

1 გლეხი აგინე მათი რჯული არ იყოს!

2 გლეხი არ დაზოგო!

3 გლეხი არ შეგეშინდეს, აქედან ენის წამღები არავინ იქნება!

V

ხმა იდუმალი.

მოხსენების გათავების შემდეგ შეფები დაბრუნებას აპირებენ, მაგრამ სტუმარ-მოყვარე წაბლარელებმა და განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა აშენებას დაპირდა ეს ხალხი, მათ არ უშვებდენ.

VI

1 გლეხი როგორ გეკადრებათ! თქვენი წასვლა როგორ იქნება! დღეს ჩვენი სტუმარი ხართ!

2 გლეხი თავი სად გამოვაჩინოთ ასე მშიერ-მწყურვალი რომ გაგიშვათ!

3 გლეხი თავის მოჭრა იქნება, როგორ შეიძლება! დღეს ჩვენი სტუმარი ხართ!

4 გლეხი აშენებას გვპირდებით და თქვენთვის ერთი ლუკმა დავიშურო? სხვა რომ არაფერი ვიშოვო, ჩემ ერთად-ერთ ხარს დავკლავ!

VII

წამკითხავი.

წაბლარელებმა არ გაუშვეს ქალაქიდან ჩამოსული სტუმრები, თუმცა ისინი წასასვლელად იქაჩებოდენ. მართალია, ხარი არავის დაუკლავს, მაგრამ სხვა არაფერი დაუკლიათ. დაკლეს იმდენი ბატი, ქათამი, ინდაური, რომ ღელეებად დადგა სისხლი და ხალხს მოაგონდა ზღაპრად გაგონილი სისხლის წვიმების დრო. მალე შეიწვა ყველაფერი და სასიყვარულო ლხინი გაიმართა.

VIII

სტუმრები და დამხვედრები მოლზე სხედან და ლხინობენ. არის სმა, ჭამა, სიმღერა. მღერიან მუშები, მღერიან გლეხები,

IX

ხმა იდუმალი.

პატარა ხნის შემდეგ ლხინი ძალიან გატკბა.

X

ეტყობათ რომ ძალიან დათვრნ. კოცნიან და ეხვევიან ერთანეთს.

1 გლეხი შენ გენაცვალე სიფათში! ერთი შენ თვალებში მაკოცნიე!

2 მუშა ოქრო ხარ! ოქრო ხარ!

1 მუშა ამხანაგებო! საერთაშორისო პროლეტარიატი...

3 მუშა შენ გენაცვალე მაგ ენის კლიტეში.

4 მუშა გადაისროლე ეგ პირჩამტვრეული ნაჯახი. მალე ისეთს მიიღებ, რომ...

4 გლეხი (გადაისვრის) ეს ძველი და სხვა ახალი!

XI

ხმა იდუმალი.

გახარებული წაბლარელები არაფერს ზოგავდენ. იყვენ უხვი მასპინძლები. შეფებსაც ისე გაუტკბა ლხინი, რომ მთელი დღე და ღამე დარჩენ სოფელში. მეორე დღეს,



თუმცა ძალიან ეზარებოდათ წასვლა და ოეხებიც არ ემორჩილებოდენ, მაგრამ მეტი ჯანი არ ჰქონდათ და წავიდენ.

XII

მუშები და გლეხები ემშვიდობებიან ერთმანეთს.

1 გლეხი კიდევ ერთი დღე მოგვითმინეთ.
2 გლეხი ნაწყენი არ წახვიდეთ ჩვენგან.
3 მუშა ყელამდი სავსე ვართ პატივისცემით.
2 მუშა სამაგიერო ჩვენზე იყოს.
4 გლეხი რაც შეგვეძლო, არ დავიშურეთ.
4 მუშა სამაგიერო ჩვენზე იყოს.
1 მუშა გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს! ყველა გაუმარჯოს!
1 გლეხი დაპირებული არ დაივიწყოთ!
მუშები მალე ძოგვიკეთ ყველაფერი! სიმღერით გადიან.

XIII

ხმა იდუმალი.

ამ დღიდან წაბლარაში მზეც უფრო ნათელი იყო, ჭალიც უფრო გემრიელი და ლობიოს ვერავითარი ინგლისური როსტბიფი და „გავიადინა ა ლა ფრი“ ვერ სჯობდა. ასე ბედნიერად დატრიალდა წაბლარას ცხოვრების დღეები და შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო, რომ წაბლარელები მოუთმენელი ხალხი არ ყოფილიყო. გავიდა ორი, სამი, ოთხი თვე. ქალაქიდან არც შეფები გამოგზავნილი მოსულა და მოკითხვაც არავის შემოუთვლია.

XIV

1 გლეხი მოგვატყუეს ვითომ?
2 გლეხი ოთხი თვე გავიდა და არაფერი სჩანს.
3 გლეხი ალბად რაღაცაა დიდი რამეა... მძიმე დასანძრევია და იმიტომ იგვიანებს.
4 გლეხი ვაი თუ სხვა 'ოფელ'ში წავიდა ჩვენთან გამოგზავნილი. დავდგეთ გზირათ და უყუროთ.

XV

წამკითხავი.

ამ დღიდან კიდევ ოთხი თვის განმავლობაში წაბლარელები იმედს არ კარგავდენ და რომ გული დამშვიდებული ჰქონოდათ, ერთი-მეორეს შეცვლით თითო დღეობით დგებოდენ წაბლარელები და თვალყურს ადევნებდენ, რომ მათთვის გამოგზავნილ ნითებს გზა არ აცდესოდა და სხვა სოფელში არ ჩასულიყო.

—:—

XVI

გლეხები რიგ-რიგობით დგებიან სადარაჯოზე

1 გლეხი მთელი დღე და ღამე აქ ვდგევარ და ტურას მეტს არავის გაუვლია. სჯობს შინ წავიდე.
ბნელდება. როცა განათდება საგუშაგოზე მეორე სდგას.
2 გლეხი თვალები გამობღუნცდა ამდენი ყურებით. სჯობს შინ წავიდე.
ბნელდება. როცა განათდება მესამე სდგას.
3 გლეხი თუ გამოსაგზავნი იყო აქამდისაც მოაწევდა. ტყუილა დავკარგე ამდენი დრო!
ბნელდება. განთდება და მეოთხე სდგას.
4 გლეხი ისე იმათ უშველის ღმერთი, რამე გამოაგზავნონ! ნეტა აქედან არაფერი წაეღო და იმათსაც არ ვჩივოდი!

XVII

ხმა იდუმალი. ამ დღის შემდეგ სადარაჯოზე აღარავინ დამდგარა და შეფებისგან წყალობას აღარავინ ელოდა. რადგან წაბლარელებმა წერა-კითხვა არ იცოდენ, იპოვეს ერთი ბავში, რომელმაც გაჭირვებით იცოდა წერა, მოძებნეს სადღაც ქაღალდის ნაგლეჯი, შემოუსხდენ ბავშს გარშემო და დააწერინეს შემდეგი:

XVIII

1 გლეხი გაუგზავნოთ ეს წერილი იმ ჩვენ ყოფილ სტუმრებს! უსაყვედურეთ მაინც.
2 გლეხი უსაყვედურეთ კი არა, აქ რომ მომაგდებია

რომელიმე ხელში, ცოცხალს არ გაუშვებ.

3 გლეხი ამათი მიზეზით ამოვარდა ჩვენი სოფელი! არავის არაფერი გაჩნია!

4 გლეხი აბა წაიკითხე ბიძია, რა დასწერე!

ბავში: ჩვენო შეფებო! წელიწადზე ეტი უცადეთ თქვენგან წყალობას, მაგრამ ფუკი გამოდგა ყველაფერი. თუ მარტო ამიტომ ჩამოდით, რომ გესვათ და გუქამათ, ტყუილები რაღა საჭირო იყო—გეთქვათ და ისედაც გცემდით პატივს. თქვენ დაპირებულს ვინ დაეძებს, ნეტა ჩვენი რაც გვქონდა, ის არ მოგესპოთ. ელექტრონიც თქვენ გაინათეთ და ტრაქტორებით თქვენ დახანთ, ბოლოდ ერთი სიკეთე მაინც გვიქენით: თქვენ რომ სტუმრად იყავით ჩვენთან. დავკალით ყველა წვრილფეხები. დღეს სოფელში არავის შოეპოვება არც ბატი, არც ინდაური, არც ქათამი. ქენით სიკეთე და გამოგვიგზავნეთ მათი სანაშენო კვერცხები მაინც. აქ ერთი დაკუნტებული დედაბერი გვყავს, იმას დავაჯენთ ზედ და ცოტას მაინც გამოვატეხიებთ".

XIX

ხმა იდუმალი: ასე დასრულდა შეფობა სოფელ წაბლარაზე და მას აქეთ ვერც ერთ შეფს ვერ გაუბედავს ამ სოფელში შესვლა.

ჯ.

ლევარსი ოზურგეთში

„რომეო და ჯულიეტა"

შაბათობით, როგორც ეს ჩვეულებრივად არის ჩვენში, ლევარსი ესტუმრებოდა სიმამრს და საცოლოს საჩუქრებს მიუტანდა.

ედუკისაც, რასაკვირველია, უხაროდა შაბათი.

ბებია, რომელიც ას წელიწადს ერთი ფეხის ნაბიჯზე ეპარებოდა, სიხარულით ისე გაუოჩაღებულიყო, რომ ალიონისას მამლის ყივილიც კი ესმოდა.

მაგრამ სისარულმა მას ვერ დაუბრუნა მეხსიერება.

ერთს შაბათს რომ სიძეს (ლევარსის) ეალერსებოდა, მეორე შაბათს როცა ისევ მოდიოდა სიძე, ვეღარ ცნობდა, თუ ხელახლა არ გააცნობდენ.

სამაგიეროდ, დამჯდარს ვერ დაინახავდით: წარმოდგინეთ, სიარული ისე უყვარდა, რომ პარასკევობით სოფლიდან რომ ოზურგეთში არ ჩასულიყო საპარასკევოზე, შეუძლებელი იყო.

— რა უნდა მიკუტანო ხვალ ედუკის? ფული არა მაქვს? ორი დღე ვეხმარებოდი ყანაში მათეს, მაგრამ ფული არ მომცა... ისე მისვლა როგორ შეიძლება... რა უნდა ვქნა.—მაგრამ ლევარსის დაღვრემილ სახეს სიხარულის ნათელი გადაეკრა უცბად.

— დედაჩემს ერთს დედალს მოვპარავ საქათმიდან, ჩავარბენინებ ოზურგეთში, გავყიდი ხელად, ვიყიდი კამფეტს და მიეუტან ჩემს ედუკის—

ასე მოიქცა ლევარსი.

— ლევარსი, სად მიგყავს მაგი დედალი?—ეკითხებოდენ ლევარსის სოფლელები, რომლებიც ქალაქიდან დაბრუნებულიყვენ.

— სიძე კაცი, და ქათმის ხელში დაჭერა გასაყიდათ გაგიგონია სადმე?—დასცინოდენ ისინი.

— უკაცრავად. გასაყიდად არ მიმყავს... ექიმს უნდა ვაჩვენო... ბრილიანტის ბეჭედი გადაყლაპა და კუჭიდან უნდა ამოუღოს, ისე რომ ქათამი არ მოკვდეს...

სხაპასხუპით მიაყარა ლევარსიმ სოფლელებს ეს სიტყვები...

— აბა, კაი ქათამი ვის უნდა... იაფად.—თითქოს თავისთვის იძახოდა ლევარსი, მაგრამ ვიღაცამ მაინც მოსწია თავისკენ.

ლევარსი შემოტრიალდა,—და მის წინ იდგა ედუკის ბებია...

ლევარსი შეცბა... მიიხედ-მოიხედა...

— მადლობა ღმერთს, ედუკი არ ახლავს... ეს ბებრუხანა ვერც კი მიცნობს...

— რავა ჰყიდი ამ ვარიას, ბიჭო"—შეეკითხა ბებია და ქათამს ხელით წონვა დაუწყო...

— ბიჭი არა სიძე ვარ შენი—გაიფიქრა ლევარსიმ და ხმაგამოცვლილი უთხრა:

— რავა ჰყიდი ამ ვარიას, ბიჭო—შეეკითხა ბებია ვარია კი არა კბილებიანი დედალია...

— სიძეს ველი ხვალ, და...

— მისწრებაა, ბატონო, მისწრება... ჩაასაციევეთ, და ისეთი იქნება, რომ თქვენი სიძე თითებს ჩააჭმევს შიგ... იაფად დაგითმობ... სიძე გყოლია და კარგი სადილი რომ არ დაახვედრო, ეწყინება... მეც ასე ვარ... ხვალ ცოლოურს მიდივარ და დედამთილმა რომ კაი სადილი არ დამახვედროს, ქალს დავუტოვებ...

— ვაი, მას ვისიც სიძე შენა ხარ... კაი რამ უშოვნია ხარ, კაი მას მოუვა—გაიფიქრა ბებიამ და ქათამზე მოურიგდა.

უკვე ღამდებოდა...

ლევარსი ქალაქიდან დათვსავით მოძუნძულობდა: რაღაც თეთრი დაინახა.

მას ცხვირსახოცი ეგონა და მივარდა...

მაგრამ წიგნის სურათიანი ფურცელი იყო.

ჯიბეში ჩაიდო და როცა სახლში მივიდა, მაშინ ნახა: რომეო და ჟულიეტა იყო სურათზე, როცა ღამით

რომეო და ჯულიეტა იყო სურათზე, როცა ღამით ცქერის ჯულიეტა.

ნემეცური წარწერა იყო, მაგრამ ლევარსი მაინც მიხვდა, თუ რაში იყო საქმე.

— რა საუცხოვო რამ არის... მეც ასე უნდა ვქნა...

მეორე დღეს ლევარსი გამოეწყო და ცოლოურს წავიდა.

— მესერიც კი იცინის, შენ რომ ეზოში ჩამოხვალ— მიესალმა სიმამრი და ისე მაგრად აკოცა, რომ ლევარსის კიდეც ეტკინა...

ბებიას კიდევ გააცნეს...

— ნამდვილი თავადია...—ფიქრობდა ბებია, რომელიც ლევარსის უცქეროდა...

— დედაბერი... რას მიცქერის... ვაი თუ გუშინდელი ახსოვს...

მაგრამ ტყვილად სწუხდა ლევარსი.

დაღამდა.

ყველა დაწვა.

ედუკი და ლევარსი კიდევ „ჭუკჭუკობდენ".

ლევარსის მოაგონდა: **„რომეო და ჯულიეტა"**.

ყაბალახი თავიდან მოიხადა.

გამოაბა ბალკონის მოაჯირზე.

— ლევარსი, რას შვრები?—გაკვირვებით შეეკითხა ედუკი.

— მე ეხლა უნდა წავიდე—

— მერე—და ეს რად ჰქენი?

— აქედან უნდა გადავიდე.

— აკი კიბე აქ არის!...

მაგრამ ლევარსიმ ფეხი გადასდგა მოაჯირზე, ნამოკიდებულ-მიმაგრებულ ყაბალახს ფეხებით დაეყრდნო და რომეოც მზად იყო.

ქორწინება

ჩვენ ლევარსის ქორწინებაზე არაფერს ვიტყოდით რადგან ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ქორწინება, სრულიად ჩვეულებრივი წესით მოხდა, თუ არ მიეკილებთ მხედველობაში იმას, რომ პატარა ჰიქის მაგიერად, ლევარსის ჯვარისწერის დროს ყანწი ეჭირა ხელში, რაც დამამტკიცებელი იყო იმისა, რომ ლევარსი „მსმელი" კაცია.

ლევარსი, როცა ქალის მოსაყვანად მიდიოდა, ედამ დაარიგა:

— შვილო, როცა ჯვარისწერის დროს მღვდელმა ერთად დაგაყენოს ედუკისთან, ქალს მოასწარი და ფეხი ფეხზე დაადე...

— კი მარა, რომ ეტკინება?

— არა უშავს... ასე უნდა, შვილო... როცა ასე იზამ, ცოლი შენი მორჩილი იქნება... მამაშენმაც ასე მიყო მე და ამიტომ არის, რომ ყველაფერში მისი მორჩილი ვარ...

მაგრამ ასე დაარიგა მოხუცმა ბებიამ ედუკიც.

და როცა ლევარსიმ ჯვარისწერის დროს დააპირა ედუკის ფეხზე ფეხის დაკერა, ედუკიმ უკვე მოასწრო და ისე მაგრად დააწვა, რომ ლევარსიმ სიმწრისაგან იყვირა.

ეს იყო და ეს, რაც მოხდა ჯვარისწერის დოს. ჩვენ აქ იმიტომ შეეეხეთ ამ ამბავს, რომ ადამიანის ცხოვრებაში სამ უმთავრეს მოვლენას აქვს მნიშვნელობა: დაბადებას, ქორწინებას და სიკვდილს.

ზმუკი.

ბოჯვიალა კაბონები

ერთხელ კაზარმაში, კერენსკის დროს, მიმიხმო თავის კაბინეტში პოლკოვნიკმა ოსეპიანცმა; მან იცოდა, რომ მე ბოლშევიკი ვარ.

— მითხარი, ჩემო მეგობარო, რა განსხვავებაა ორ და ერთ პალატიან მმართველობის შორის?

განვუმარტე.

— ოჰო! კეთილი! მესმის!—წამოხტა პოლკოვნიკი და თვალები აუბრიალდა.

— ამნაირათ, ერთპალატიან წესწყობილების დროს უმრავლესობა გლეხები იქნება...

— დიახ.

— ამნაირათ გლეხები შესძლებენ ისეთი კანონის გამოცემას, რის ძალით ჩვენ ჩამოგვერთმევა მიწა?

— აშკარაა.

— ვაი, ვაი! ეხლა მესმის; ჭკვიანი თავი ჰქონიათ ბოლშევიკებს, ჭკუიანი! და ამიტომ არ უნდა შევკრათ ჩვენ კავშირი ძველ კლასებთან?!! ეს საუცხოოა! აი თავი! ასე რომ, ჩვენ, აზნაურები უნდა მოვისპოთ?! კარგია! ეხლა შეგიძლია წახვიდე, ჩემო კეთილო! და პოლკოვნიკი გაესვია კაეშნიან ფიქრთა მორევში ერთ პალატიან მართველობის გამო. მეორე პოლკოვნიკი—რიაბცევი მტკიცეთ იყო. კრემლის კაზარმაში, 56 სადარაჯო ათასეულში ჯვარისკაცებით გარშემორტყმული ის დინჯათ და დარწმუნებით ეუბნებოდა მურალოვს:

— დიახ! რას მეუბნებით და მაშინებთ? საკმარისია ხუთი წუთი! ერთი დაველაპარაკო ფრონტს პირდაპირი მავთულით და თქვენი ხსენებაც გაქრება! დიახ!

— ნუ ჩქარობ, აღტაცება შეაკვეცე პოლკოვნიკო! აფრთხილებდა რიაბცევს ამხანაგი იორასლავსკი.

გავიდა დრო... იმავე კრემლში, ლამ-ლამობით, მიძინების სობოროს გვერდით შენობაში, პოლკოვნიკი რიაბცევი, კაპიტანი ნაუმოვი, პოლკოვნიკი ოსეპიანცი და კიდევ სხვა პოლკოვნიკები, როგორც განწირული ხალხი, აუჩქარებლათ ვარაუდობდენ: რამდენ ხანში შეიძლება იმ სენის მოშორება, რომელიც მოსკოვის საბჭოში მოკალათებულა და რომელსაც მოსკოვის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი ეწოდება.

არც ერთ იმათგანს აზრათაც არ მოსვლია, რომ ეს ნახევრათ ფარაჯაში და ნახევრათ მოჭალაქის სამოსში გამოწყობილი ხალხი რამოდენიმე დღის შემდეგ მთავრობათ დაჯდება კრემლში. ხანდისხან ოსეპიანცი წამოიძახებდა:

— აქ არა მარტო ძალაუფლების, არაიად მიწის საკითხიცაა. მიწას ბოლშევიკები გლეხებს მისცემენ და გლეხებმა, სალდათებმა მართლაც არ გაგვრეკონ!

ოსეპიანცმა ეს აზრი ახლო მჯდომ კაპიტანს გაუზიარა, რომელსაც სახე ნემეცური ჰქონდა, ხოლო ულუაშები ჯატის ულუაშებივით მეჩხერი.

კაპიტანი შეეიმუხნა, გააფურთხა და წამოიყრანტალა:

— სისულელეა! ერთი კამანდირიც არა ჰყავთ!

— მაინც... მიუგო პოლკოვნიკ ოსეპიანცმა.

სკვინჩა.

ბაბგე და ნიკრები

„სიკვდილის კლანჭებში“

(გაგრძელება).

ახლო-მახლოს მამლებმა ყივილი მორთეს.

— ყიყლიყოოო!.. იყივლებდა ერთი ხმადაკარგულ ოპერის მომღერალივით.

— რა იყოოო!.. პასუხს გასცემდა საიდღანაც ტენორი.

— ვინ იყოოო!.. დაუმატებდა მესამე ისეთის რიხით, თითქოს იტალია უკვე მოვლილი ჰქონდეს და ეხლა საგასტროლოთ იყოს მიწვეული ამერიკაში.

შუაღამეს კარგი ხნის გადასული იყო.

ბალე გათენდებოდა კიდეც.

ერასტი კი იდგა უცნაურ წერილით ხელში და თავის საფიქრალს ფიქრობდა.

მოიგონა ყველა მანდილოსნები და ქალიშვილები, რომლებისთვის ორიოდე სიტყვა თუ უთქვამს როდისმე, მაგრამ ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდა იქვის მიტანა, არ სჩანდა.

ბოლოს მისი აზრები ერთ ხნიერ დედაკაცზე შეჩერდა. იგი საქმეების მიმკერებლათ იყო იმ განყოფილებაში, სადაც ერასტი მსახურობდა.

— ნუთუ, ამ კუდიანის ოინებია ეს?.. გაიფიქრა ერასტიმ.

აი რისთვის ეღრიჭებოდა ეს ქალი მას აგერ თვენახევარია.

ყოველ თხოვნას არაჩვეულებრივ ხალისით უსრულებდა.

— ბარბალე, ეტყვის მას ერასტი ქალალდებში ჩაფლული, თუ გაქვთ ჩემი ხათრი, გამიგეთ, როდისაა შემოსული ესა და ეს ქალალდი.

ბარბალე დატრიალდება, გაიქცევ-გამოიქცევა, და ორიოდ წუთის შემდეგ მშვენიერ დედოფლის მშვენიერ ღიმილით ერასტის მოახსენებს:

— ერასტი პავლოვიჩ, ქალალდი შემოსულია სწორედ ერთი თვის უკან, დილის 9 ს. და 47 წუთზე.

— დალახვროს ღმერთმა!.. წამოვარდება ზეზე ერასტი.

ბარბალეს მშვენიერი ღიმილი გახურებულ შამფურივით ხვდება გულზე.

— ვერ მითხარით მერე ამდენხანს?!. ერთი თვეა ქალალდი აუსრულებელი მაგიდაზე მიდევს, თქვენ კი ყურებსაც არ იპარტყუნებთ... არ მახსენებთ!..

ეხლა კი ბარბალეს ღიმილი ისეთ სიძლიერეს იღებს, რომ იმის გავლენის ქვეშ ორი კვირის მიცვალებულიც კი წამოვარდება ზეზე სიბრაზისაგან.

— ერასტი პავლოვიჩ, რა ვუყოთ მერე?..

და ამ „რა ვუყოთ“-ის შემდეგ ერასტი თმაში ხელებჩავლებული ქლოშინით განყოფილებიდან განყოფილებაში დარბის საქმის გამოსასწორებლად.

გაახსენდა ყველაფერი ეს ერასტის და ძალაუნებურად კბილები დააკრაჭუნა.

— უუ... კუდიანო!.. კუდიანო!.. გინდა მერე ქორწილის შემდეგ სული ამომართვა და დამზღვევ საზოგადოებიდან ათასი მანეთი მიიღო?.. არა... არა!..

ასეთ ფიქრებში გართული ერასტი უკვე შინისაკენ გაშურებას აპიროობდა, რომ შორიდან რაღაც ტყაპა-ტყუპი მოისმა.

თითქოს მორბოდა ვიღაც.

ტყაპა-ტყუპი თანდათან ახლოვდებოდა.

ერასტი თავის კუთხეში გაინაბა და ჩაბნელებულ ქუჩას გააშტერა თვალები.

შვა ქუჩაში რაღაც შავი ლანდი მოქროდა.

სწორედ იმ ალაგას, სადაც ორმო იყო, ლანდი უცბად შეჩერდა და ხვნეშით რაღაცას ძებნა დაუწყო.

ალბად რასაც ეძებდა ვერ იპოვა და ორმოში ჩახტა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ლანდი ისევ ორმოს ზევით იყო.

ცოტა ხანს უძრავად იდგა და შემდეგ ნელი ნაბიჯით ქუჩას გამოყვა.

ერასტისთვის ნათელი იყო, თუ რა უნდოდა ამ კაცს. ის, ცხადია, წერილის ბედის გასაგებათ იყო, და ეხლა კმაყოფილი მიდიოდა შინისაკენ.

ლანდი თანდათან ახლოვდებოდა.

ერასტიმ მხრებში რაღაც ახალი ძალა იგრძნო.

ლანდი უკვე მის წინ იყო.

ერასტი უკვე მზად იყო, მტერს ყრონტში სცემოდა და იქვე შეუბრალებელად გაეგუდა, რომ გაკვირვებისგან კინაღამ ფეხებში ჩაიკეცა.

უცნობი უეცრად დადგა. ხელები ჰაერში გააფათურა თითქოს რაღაცას იკერსო და ხმის ამოუღებლივ ერასტის ფეხებთან გაიშლართა.

უცნაური ღამე იყო უცნაურობით სავსე.

ერასტი უცნობს დაწვდა. დიდხანს ატრიალა ერთი გვერდიდან მეორეზე, რომ როგორმე მოესულიერებინა, და ბოლოს როგორც იქნა, უცნობმა თვალები გაახილა.

ერასტიმ შვებით ამოიოხრა, და ასანთისაკენ წაიღო ხელი, რომ ცეცხლის შუქზე გამოერკვია, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

კოლოფთან ერთად წერილიც ამოყვა.

ერასტი უკვე ჯიბეში გზავნიდა უკანასკნელს, რომ საშინელ ბიძგმა ისედაც ბნელ ღამეში თვალები დაუბნელა.

ეს იყო მადლობის მაგიერ.

როდესაც ერასტი გამოერკვა და ჯიბეებს დაუწყო სინჯვა, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მხოლოდ არსად სჩანდა უცნაურად ხელში ჩაკარდნილი წერილი.

უკვე თენდებოდა.

როგორც შინა-წესების კარგად მცოდნე, იმ დღეს ერასტი განსაზღვრულ დროზე სამსახურში იყო.

წუხანდელ უძილობისა და თავგადასავლის შემდეგ ისე იყო მოთენთილი, როგორც ჰაერგამოშვებული რეზინის ბუშტი.

ხანდისხან ჩაყვინთავდა კიდევაც ქაღალდებზე, მაგრამ ამას ისე ეშმაკურად შვებოდა, რომ გამოუცდელ თვალს ეს ჩაყვინთება მეტის-მეტი და ღრმა ჩაფიქრება ეგონებოდა.

ჩუმრობა ხომ არ იყო ამდენ ქაღალდის შესრულება.

მხოლოდ რაც შეეხება ისეთ გამოცდილ და გამობრძმედილ არსებას, როგორიც ბარბალე იყო, იმის თვალებს ერასტის ასეთი მდგომარეობა, ცხადია, არ გამოეპარებოდა.

— ერასტი პავლოვიჩ!.. გადასძახა მან ერასტის, როცა უკანასკნელმა მორიგ ჩაყვინთების თუ ჩაფიქრების დროს ცხვირი კინაღამ ს

უმუშევარის ფიქრები

დავეხეტები კარდაკარ...
აბურძგნული მაქვს ფაფარი
სამსახურისა ძებნაში
სულ ამერია დავთარი.

უმუშევარი ვიყავი.
ვარ, მარადისაც დავრჩები,
რადგან თხოვნის წილ ყოველგან
გადამიშალეს დავთრები:

„ავშირის წევრი თუ არ ხარ,
შენ არ გექნება სტაჟი,
ჯერ ჩაეწერე და შემდეგ,—
გერგება... ცივი მჭადიო.

„ავშირში მოველ, იქ მითხრეს:
არ ვწერავთ უმუშევარსო,
ჯერ სამსახური იშოვეთ,
შემდეგ წიგნაკი შეგავსოთ!.“

ვფიქრობ და ვერ გამიგია,
სად შევაფარო თავია?
რადგან ვხედავ, რომ წინ მიდგას
დღე უარესი... შავია.

ჭ. როკაპი.

ვეძებდით, ვერ ვპოვეთ

ჩვენ ჩაის ფულებს ვეძებდით,
ჯიბეში მიმალულიყო.
წავედით, მოვნახეთ ვასაძე
მელიტონ ჩვენი სულიკო.

მოვალთ ბათომში მინაზე,
მაგრამ ის გადასულიყო,
და ვერაფერი გავიგეთ:
სად იყო?.. სად წასულიყო.

(ნეტავი ჩვენს დანსაბამდი
ათასჯერ დაკარგულიყო).
როცა გაევლით ქუჩაში,—
შემოგვხვდა ჩვენი „სულიკო“.

მივმართეთ:—ჩქარა გვითხარი
სად არის ჩვენი ფულია...
ამდენხანს იმის ლოდინმა
ლამის წაიღოს გულია.

ჩვენ ვიცით:—ჩაი მოსკოვში
შენს მიერ გაყიდულია...
გვეყო ამდენი ლოდინი
ჩქარა ჩამოდი ფულია..

გვითხრა:—თუმც ჩაი მოსკოვში
ჩემს მიერ გაყიდულია,—
მაგრამ მერწმუნეთ—ბანკისგან
არ ამიღია ფულია.

თქვენ ნუ იდარდებთ, გამაგრდით,
ნუ გაგიტყდებათ გულია...
წადით, თვითონ თქვენ მოსთხოვეთ,
თორემ ის დაკარგულია.

—

ეს გვითხრა,—და მელიტონმა
ძირს, დაბლა თავი დაჰხარა...
ჩვენ მივხვდით: ჩვენი ფულები
ცოცხალი იყო ალარა.



სადა ხართ, ჩვენო ფულებო,
ქირიმე, თქვენ გენაცვალე?!
არა გცხვენიათ, ფულებო,
რომ მელიტონზე გაგვცვალე?!

„შმაგი“.

ჩემი მგზავრობა

ღმერთმა იცოდეს,—არავის
არ მაქვს მე მტრობა—შურია...
ცოტა ხანია მას შემდეგ
რაც მოვიარე გურია.

საჯავახოში მიკიტნებს
ჰქონდათ სიმღერა-ღაღანი.
სამტრედიიდან იწერენ
თუ დასჭირდებათ არღანი.

მე იმათ მახეს შორიდან
შემოვუარე განზედა.
ორ ცხენიანი მანქანით
დავადექ ზემოდ გზაზედა.

(აქ გავაგზავნოთ, ვინც არის
ამ ქვეყნად დასაკარგია...)
მეეტლეს ფული მივეცი,
ხელით ვათრევ ბარგია.

ჩოხატაურში მოვედი
მოვინახულე დალაქი.
ისე დამჩენა სახეზე,—
მიცქერდა მთელი ქალაქი.

გამწარებულმა მაშინვე
დავსტოვე ხალხი, ბაზარი.
სამკითხველოში შევედი,
ვნახე იქ საქმე საზარი.

აქ უცხო-უცხო ამბებსა
უცქერდა ჩემი თვალები.
სიყვარულს აკრიტიკებენ
გამგე და ვაჟიც ქალები.

—

აქედან სახლში წავედი
რადგან დრო ბევრი არ მქონდა.
გზაში მე გლეხი შემომხვდა,
ურემით ჰური მიჰქონდა.

თურმე ნუ იტყვი გლეხობა
მისდევს ძველ რწმენის ხანასა;
მიცვალებულის დანახვას
ვერ ნახავთ ამისთანასა.

კაცი თუ მოკვდა სტირიან
სანთლით და გვირგვინებითა.
ჰგონიათ: მკვდარს აცხონებენ
სხვებისა გამოკვებითა.

ხუთასი კაცი ესწრებაჲ
ქელეხში სმა და ჭამაზე.
თვალებზე ცრემლი მომადგა,
და მეც ავტირდი ამაზე.

ხუთმეტი კაცი ვერ ადის
ღვინის ჩამოსხმას გუდიდან.
გული კინაღამ გამისკდა
და ამოვარდა კუდიდან.

ძნელ-ოღლი.

ორი სისწრაფე

აი შემთხვევა, როცა კუს ნაბიჯი უფრო ჩქარია ვიდრე...

ახალი აღმოჩენები

სად არ ვიყავ, რა არ ვნახე
ყველგან შემოვიარეო:
ზოგან ჭირი, ზოგან ლხინი,
ყარგად გავიზიარეო.
და მივდივარ ტარტაროზჯან,
რაზნი-რაზნი ჯარითაო:
ზოგი დადის მოსეს კვერთხით,
ზოგი ქრისტეს ჯორითაო.
გალავინსკზე მოვდიოდი,
მოღრეცილი ცერითაო;
უცებ მღვდელი შემეფეთა,
შეკრეჭილი წვერითაო.
მივაძახე გამწარებით:
„ვოჯმნი—ვოჯმნი“ შენგანაო
და ისევ გზა გავაგრძელე,
მსურდა მოსვლა შენთანაო.
მღვდელის წვერით დანამსულსა,
ძლივს მომქონდა მუხლებიო;
ხალხი იდგა ამართული,
როგორც ძველი მუსებიო.
ამ დროს ჟანგო გამოვარდა,
რედაქტორის კუდითაო.
წინ დროული მიუძღოდა
მაიაკოვსკის ქუდითაო.
მეორე მხრით გაჩდა სიმონ,
ზამშის ფერჩატკებითაო;
ძველურსა თავადს ჰგავდა,
ბათინკით და კეპკითაო.
დედა რა მოხდა, რას ვხედავთ
რა დრო დაგვიდგა ესაო?
სიმონა გულში იკინის,
გრიგოლამ დაიკვნესაო!
ჟანგო ბურეუა გამხდარა,
მეფობას ჩემობს ბესაო;
ჩაჩოვი დემნას პატიჟობს,
პარასკევია დღესაო!
ეხლა გაუწყეს ტარტაროზ,
უფრო ჭკვიანურს ჭირსაო;
ჭკუასთან ახლო, რომ არის,
ტყვილად გვგონია შორსაო:
ორშაბათ დილა გათენდა,
რა ცუდი დარი დგებაო;
ეს ჩვენი ბიჭი დათია
საომრად ემზადებაო...
წავიდა, იქ მიცუნცულდა,
სადაც ქალებს აქვს კრებაო:
ჩვენს შორის რაღე რომ მოხდეს,
შენს ქმარს რა გაეგებაო.
დათანხმდა ქალი ქვანთალა:
— დე, იყოს შენი წევაო,
მაგრამ ქმარმა თუ გაგვიგო:
ცუდი დღე დაგვადგებაო.!
წავიდენ, იქ წაცუნცულდენ,
სადაც სიბნელე ჩნდებაო:
ამ დროს ბედნიერს საყვარლებს
თავს ქმარი წაადგებაო.
გარბის დათუნა სისწრაფით,
იქცევა ძლივს-ღა, დგებაო;
იმის ქმარს კარგი თოფი აქვს,
მეხივით გავადრებაო.
ძლივს ღა შევარდა ოთახში,
იმ წუთს ლოგინში წვებაო;
არ ეკარება მას ძილი.
ის კაცი ელანდებაო.
კიდევ ვიტყოდი ბევრს რამეს
მაგრამ არა მაქვს ნებაო;
რატომ არ მოვკვდი, როდესაც
მე ენა გამომებაო:
როცა შევხედავ სტუდენტებს,
თვალს ცრემლი მომადგებაო;
ნეტავ მათ მშობლებს, ბედნიერთ,
გმირები, რომ ეზრდებაო
მამას გონია:—ასული,
მე ჩამომრჩა ბრძენია...
არ აკლებს პუდრს და პამადას,
მოდის ყოველ-თვე ძღვენია.
მამა სოფელში ამაყობს,
მე კურსისტკა მყავს შვილიო
ამ დროს მის ასულს ბნელაში,
ვაჟებთან მოდის ძილიო.
მამამ რომ შვილი არჩინოს,
ემაგრე თქვენისთანაო;
ო, ეს ქვეყანა მომრგვალო,
რად არის დათარსულიო?!
რად არის ნეტავ, ვიცოდე,
რომ არა ტყდება რქებიო,
თუნდაც ათასჯერ რომ დასცხო,
მათრახები და ქვებიო!

პადრონი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ ჟურნალ „ტარტაროზ“-ში ბათომიდან მთელი რიგი იუმორისტული წერილები თავსდება „ბლიკვი“-ს ფსევდონიმით.

რადგანაც ეს ფსევდონიმი ემსგავსება ჩემს ფსევდონიმს „ბლიკვაძე“-ს, რომლითაც მე „ეშმაკის მათრახში“ წერილებს ვათავსებდი, ამიტომ ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ, თითქოს, „ბლიკვი“ მე ვიყო.

ამისათვის გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ ფსევდონიმი ბლიკვი მე არ მეკუთვნის და არც ვირიცხები თქვენ ჟურნალის თანამშრომლად.

პ. ც. ალ. მგელაძე.

რედაქციისაგან: მოქ. ალ. მგელაძე არ არის ჟურ. „ტარტაროზი“-ს თანამშრომელი. ფსევდონიმი: „ბლიკვი“ ეკუთვნის სხვა პიროვნებას.

ყველა მუშა-მოსამსახურემ და შეგნებულმა

მშრომელმა უნდა გამოიწეროს თავისი

გაზ. "მუშა"

რომელიც ღირს თვიურად თავისი უფარო. ყოველკვირეული იუმორისტული დამატებით,

ჟურნალ

„ტარტაროზი"-თ

მასოლოდ თოთხმეტი შაური

გაზ. „მუშა" მთავარ კანტორას აქვს თავისი განყოფილებები საქართველოს ყველა ქალაქებში, სადაც შეიძლება გაზეთის

გ ა მ ო წ ე რ ა



საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა ქაქოს ქ. 68.

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ნელიწადი მესამე

ჩარგალი

№ 37 | კვირა, 21 თებერვალი, 1926 წელი. | № 37

„ასე უყვარს ერთმანეთი"

„ინგლისს სურს ერთა ლიგაში გერმანიის შეყვანით მოიპოვოს უპირატესობა საფრანგეთის წინააღმდეგ.
თავის მხრივ ინგლისის ზრახვების დასაპირდაპირებლათ საფრანგეთი მოითხოვს ერთა ლიგაში პოლონეთის შეყვანას"

ნოეიადა

...და გაიშალა თვალთა წინ
ეს უცნაური პოემა,
სადაც სჩანს:—რა დააპირა,
ან რა მიიღო ნოემა;
მართალი არის, მოლოდინს
სხვადასხვა ქონდა გზებია,
მაგრამ ყველაფერს განმარტავს
შემდეგი ანდაზებია:

I.

„რასაც გასცემ შენია,
რაც არა დაკარგულია"
ამ გვარ მანდატთა გაცემა
ნოესთვის არც თუ რთულია—
— შვილო კაპიტონ! ბოლშევიკთ
შენ უნდა უქნა გვერდული,
გამოაცოცხლო აწ მკვდარი
ორგანო პარიტეტული;
— ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას
სტანჯავს დღეს მტერთა წიხლები—
ხო და მესია იმისი,
შვილო, მხოლოდ შენ იქნები",
პოლონეთს გადის
ნოეს მანდატით—
და აჯანყების
ფიდიდეს მადით.
თუმც გული მრავალ
ფიქრმა დახრაკა,—
მაგრამ ელირსა,
ნახა ახრანკა—
აქ გაუგებენ
კაპიტონს ლოგინს,
ჩააკონებენ
კოსტია ულობინს—
მენ მენშევიკი
და ახრანკელი
მოეხვეიან გრძნობებით
წრფელით,
კოსტია ჰფიცავს:
— ჭირი და ლხენა—
მინდა გაგიყო
კაპიტონ შენა!
შენაფიცარნი,
აწ ასე იმურად
— გამარჯობა შენი პეტრე!—
პეტრე პასუხს არ იძლევა,
და ამ გვარი რამისაგან,
თვით ქვის გულიც დაიძლევა.
— ო, ვახლავარ, ჩვენს კოწიას!
მოელიან მისგან პასუხს—
ბიჭოს, მგონი კოწიასაც
ლაპარაკი მათთან არ სურს!
„— იქნებ, ვანო, ვეღარც შენ გეცნობ?"
ვერ ცნობილობს მართლაც ვანო—
სჩანს ყველანი შემოცლიათ
ამბანაგნი სათაყვანო.
იქით ეცენ, აქეთ ეცენ,
მოიარეს მთა და ბარნი,
ღრმად დარწმუნდენ დაკარგვიათ
ძველი გზა და მეგობარი!

IV.

„როგორც ბერი, ისეთი მრევლი",
აგი ანდაზა ტყვილა არ თქმულა,

ამ გვარ მანდატთა გაცემა
ნოესთვის არც თუ რთულია:—

— გამარჯობა შენი პეტრე!—
პეტრე პასუხს არ იძლევა,

— მაღლა ღმერთია, ძირს მე ვარ,
მუტეხი გვიცქერს შორიდან—
უნდა შეტევა დაიწყო
ლიხის გადალმა—გორიდან.
— ხომ იცი—გული დამიღრღნა
სამშობლოს ნახვის დარდებმა!
(აქ მენშეიკურ პატრიარქს
ცრემლებიც გადმოვარდება!)

მენშევიკურად
და ახრანკულად,
მასთან მოღებულ
ახრანკის გროშით—
წამოველენ გმირნი
საქართველოში!

იმედი—ძველსა ამხანაგებზე
რაინდთა გულში უხმოთ ჩანთქმულა.
ვინღა შთენიათ ამ ჩვენ რაინდებს—
გამოაცხადონ თვის მიმდევრებათ?
დალალვას გრძნობენ ფიხები მათი
და გულიც კიდევ დარდისგან კვდება:—
„ყოფნა, არ ყოფნა"—კითხვის სომეკვეს,

ჩააკონებენ
კოსტია ულობინს—

— ალა ბიძი თქვენ ჭკუაზე—
ტყვილა ფიქლობ მე ველ ვივლი?

II.

„გული გულს იცნობს,
და ღონე-ღონეს"
ვაცი უკეთეს,
რას მოიგონებს?
ანჯაფარიძეც—
ჩვენი კაპიტონ
სწორედ ამისთვის,
სწორედ ამიტომ—

III.

„ნუ დაკარგავ ძველსა გზასა
ნურცა ძველსა მეგობარსა"—
ამ იმედით შეიღებენ
გმირნი საქართველოს კარსა,
ნახვენ ბათომს, ნახვენ თბილისს,
გადაქეცენ მთას და ბარსა,—
მაგრამ... „ღმერთი გაწყრომია"
აწ ძველები სჩანან არსა.

კოსტა-კაპიტონ აშკარად გრძნობენ:
— მუშები ზურგით, გლეხები ქუსლით
დღეს ამ რაინდებს აქ მასპინძლობენ.
ძველად უწლოვანებს უნდა მიმართონ,
რაც უნდა იყოს—მაინც მრეველია,
(ხომ იცით მახათს კაცი სად იყრის,
თუ კი მას საქმე გამოელია?)



ცალ-ცალკე და ორივ ერთად
ციხეს შიგან მიაბრძანეს



მრევლი გაქრა?

V.

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე
სჯდა მტირალი“ ბაღის პირსა,
იქვე გვერდით საბალახო
მოენახა ყურგრძელ ეირსა.
ეირი ჩუმათ ბალახობდა
მოყმე ტირის:—„დედა“, „ბაბა“—
„ბაბას“ ცრემლი მიაყოლა
და კვეილიც შორს გაბა.
კოსტიამ და კაპიტონმა
რა შეხედეს ამა მოყმეს,
სთქვეს—ეს არის, აქ ვიპოვით
მიმდევარსა და ჩვენ მოძმეს:
„— ბიძი, ა, შენ მოგიტანეთ
კამფეტი და კიდევ კვეი!
— ალა, ბიძი, პოლიტიკის
საკითხებში ველ ველკვეი!
„— ბიძია, ა, შენ მოგიტანეთ
დიდი ანუ, თანაც ვირი!“
— ალა, ბიძი თქვენ ჭკუაზე
ტყვილა ფიქლობთ, მე ველ ვივლი!
...და რაინდთა გულებს მოხვდა
ყრმის უარი, როგორც ტყვია—
მენშევიკთა ოინებში
ჩვენში—ბავშიც გაერკვია!

VI

„პარიზს წასვლა მას უხარის
ვისაც ნოე ელოდება“
კაპიტონი ღრანეპებს ვერ ხსნის,
კოსტია ხომ ჯავრით კვდება!
რას ფიქრობდენ, და რა ნახეს?
რა იქნება აწი კიდე?
ვერ ხვირობს მენშევიკი
ბოლშევიკის გადამკიდე.
და ამბავი დღეს ასეთი
დამიჯერეთ—ყველგან ხდება:
„რასაც ამ გზით მადლსა იზამ
დაბრუნდები—წინ დაგხვდება“,
დაბრუნებულს პოლონეთში:
კაპიტონს და ჩვენს კოსტიას—
ნაშრომსა და ნამოღვაწევს
ხელთ მისცემენ ნაცნობ სიას.
„— ეს, პარტენი სიდან გაჩნდა?“
ამბობს ჩვენი კაპიტონი,
და იმ სიის გადაფურცვლა
კოსტიასაც შიშს გვრის მგონი,
ორივ აჭიოს:„—დავალება
მაინც გვექნა, ან ის, ან ეს?“—
ცალ-ცალკე და ორივ ერთად
ციხეშიგან მიაბრძანეს!
საქართველო ფხიზლათაა—
მაგრამ, თურმე არც სხვას სძინავს:
— გმირთა ამათ გამოქერა
წილათა ხვდა უკრაინას!

VII.

„შორის გზიდან
სატრფოს ელის
სხვა მოდის და
ის კი არა!“
აწ ნოეს არ
უმთელდება ის დარდი და
ის იარა!
ვინ თუ შეხვდა
გზაში ვინმე
და... შორი გზა
მოიარა?
მოლოდინში
ნოე გმირთა
ტყუილაა
მგლოვიარათ!
მრევლი გაქრა
„გმირნი„ არ სჩანს,
არც ჯეჯილი მწვანობს
ველთ!
...ასე ობლათ,
საუკუნოთ
ყოფნა ელის მოხუც
ბელადს!
უეჭველად,
უეჭველად!

მორიგელ.

უკან დიღომისაკენ!..

ამ.-კავ. რკინისგზებზე ბარცხის შემოხვევების რიცხვი
ბევლავ გაიზარდა.

(გაზეთებიდან).

როცა ყელიდან სუნთქვასთან ერთად
იპარებოდა ქურდივით სული,
დღიურ სიცხადით გულდათუთქულსა
მომკიდებოდა თვალებზე რული.
გზა იყო შორი და მოსაწყენი,
ნანას მღეროდენ ვაგონის თვლები.
დამციწყებოდა დაღლილ-დაქანცულს:
დილა, ფანჯარა, ველები, მთები.
აღარ ესმოდათ ყურებს ბაასი.
არც სადგურებზე დაკრული ზარი,
ვიჯექ კუთხეში ოთხათ მოხრილი,
და უცხაური ვნახე სიზმარი:
ვნახე, რომ თურმე ჩვენი ქვეყანა
(ნახულს დღეს ცხადათ ნურავინ ელით)
ყასპიის ზღვიდან ვიდრე შავამდე
დასერილიყო რკინის-გზის ქსელით.
იქ ლენქორანი. აქეთ სვანეთი.
ნუხა, ყაზბეგი და დელიჯანი.
მუზეუმებშიც კი არსად იყო
ძველი ურემი და დილიჟანი.
იყო ნავარდი ჰაეროპლანთა,
და ალარავის აფრთხობდა ფრენა.
არ იყო კუთხე, სად ორთქლმავალის
არ გაისმოდა მხეცური ღრენა.
და ვნახე, თითქოს ერთ-ერთ „პოეზდშიც“
მეც ფანჯარასთან ვიჯექი რბილათ.
გზა იყო უხვი ხალისით სავსე,
და ფანჯრის იქით ცვრიანი დილა.
სდევდენ ბოძები ნამბიან ბოძებს,
და მისცურავდენ ღრუბლებში მთები.
არ იყო ფული, არ იყო სესხი,
და „ოდელიას“ მღეროდენ თვლები.
არ სჩანდენ ავი კონდუქტორები.
არ იყო ფული. არ იყო სესხი.
დიღომელ ვირის საჩუქრის ნაცვლად
„ფიატს“ ელოდა შვილიდგან ბოძები.
შრომის ბირჟასთან საღამომდისინ
უმუშევრები არ იდგენ უქმად,
და თავზე გობით კინტო მსურველებს
ანტრნოვკა-ვაშლს აძლევდა მუქთად.
ქუჩაში ქროდენ ავტობუსები.
ნავთსადგურს გავდა ტფილისში მტკვარი.
ელექტროს შუქი ქონდა ხევსურეთს
და ხსენებაც კი არ იყო კვარის.

პროფგამფლანგველნი „რეშოტკის“ იქით
არ ნატრულობდენ უფრო თბილ ადგილს,
და უკვე აღარ მიაპარებდა
ტეტია ანბანს სასირცხო ადგილს.
და რევიზორი დაგეშილივით
არ აწყდებოდა კუპედან კუპეს.
ქონდათ ქეიფი „ყურდღლებს“ ვაგონში,
„კირპიჩნიკიდან“ მღეროდენ კუპლეტს.
ვნახე ყველა ეს... აღელდა სული...,
გულმა ბრაზისგან უმატა ცემას...
ვთქვი აღშფოთებით:—ვინ გამოგვლიჯა
ჩვენ ხელებიდან ამდენი თემა!..
ვის რად უნდოდა მიმოსვლა ჩქარი,
(რომ ველარ ასწრებ ვერსების თვლასა)
რომ ნაქურდალი გაზიდონ სწრაფად,
და გამფლანგველმა უშველოს თავსა?!,
ან და ყოველდღე სოფლიდან კარზე
მოადგეს სიძე, ნათლია, ბიძა,
სიდედრ-სიმამრი... მაგრამ უეცრად
შეირყა მიწა და... გამეღვიძა.
იყო ჭრიალი და სათქი-ხუთქი.
არ ვიცი ცაში ვეკიდე რაზე.
წინა ვაგონზე, როგორც ჯამბაზი
ჩვენი ვაგონი იდგა ყირაზე.
ხრამში ორთქლმავალს ფეხებ-აშვერილს
შოშიასავით დაეღო პირი.
მოშორებით კი საურმო გზაზე
მიაქროლებდა ვიღაცას ვირი.
მიაქროლებდა ღირსებით სავსე.
თან გადმოგვძახა სიტყვები ძვირი:
— თუ თქვენზე ადრე არ ვიყო ქალაქს,
მე დიღომელი არ ვიყო ვირი!..

სინტო.

„ეს ბოლოს რატომ უნდა ვასწავლოთ, რომ ამ მასწავლებელს ბილიციონერის თანდა ადგილი ორა აქვს-ითა ამ-ბობს ბელეკი.

ეს ბ. ბასილაიას სიტყვიდან ს.რ. ხან. ბანათლებ. მუ-შაკრ ქალაქის ყოველი ბილიოგაზე.

„მილიციონერი“. შენ არ იყავი, მასწავლებელო, რომ ორი-ანებს მიწერდი საგნებში? ესი არ იქნება ახლა დაგიჭირო?

ეპიზოდი

ემიგრანტ-მენშევიკის ცოლისადმი

ჩემო მარო!

ახლა როცა ამ წერილს ვწერ ღამე არის, შავი, ბნელი,
იწვის გული და სხეულში მივლის ციკი ჟრუანტელი.
დაგიმარცხდა ტარიელი, ველარ იბრძვის ჩემო ნესტან,
იწვის გული და თვალები სისხლის ცრემლმა დამინესტა...
გახსოვს, მარო! როდესაც მე მანდ ვიყავი კომისარი,
ვიძახოდით: „რა დრო დადგა, ღმერთო, რა დღეს მოვე-
სწარი.

ჩვენი იყო ყველაფერი: კინო, კლუბი და კაბარე,
ავტომობილს ვაქროლებდით ქალაქში თუ ქალაქ გარეთ.
რომ გვქონოდა დღეგრძელობა, კიდევ დიდხანს, სიბე-
რემდის,

შენ დედოფლად იქნებოდი, მე კი მეფე იმერეთის.
ახლა?.. ვაი, ჩემო თავო! დამიშხამდა შენი კოცნა,
ბათომიდან ქარიშხალმა ევროპაში გადმომტყორცნა;
და დავდივარ ობლად, მარტო და ქუჩაში ვეძებ ლუკმას,
ულმობელმა საწუთრომა მე სიცოცხლე გამიუქმა;
შენ კი ალბად ჩემო გვრიტო, მიღალატე და გამცვალე,
მითხარ, მითხარ თუ ასეა, თავს მოვიკლავ, გენაცვალე!
ალბად ვინმე კომუნისტი შემოგიჩნდა როგორც ყენი,
და იმდენი გეკურკურა, რომ შენც აღარ დაეხსენი...
და ოჰ, ჩადრი ნამუსისა მოიხსენი... მოიხსენი...
და როდესაც პროსპექტებზე დაუშვება თეთრი ღამე,
თეთრი ღამე, საოცნებო ელექტრონით მოკამკამე,
მაშინ ალბად ვინმე ვაჟთან მისეირნობ, მიიმღერი,
გავიწყდება ქმარი, შვილი, გავიწყდება ყველაფერი!..
და როდესაც შუადამე ჩაიხედავს თეთრად მტკვარში,
ზიხარ ალბად მხიარული იმავ ვაჟთან რესტორანში,
და ვნებიან კოცნით თვრები. ზედ აყოლებ კახურ ღვინოს
და ვაჟი კი თავზე გადგას, „ჩუმჩაირა“-ს დაგღიღინობს;
მაგრამ არა! ღმერთო! ღმერთო! რამ მაფიქრა მე ესენი,
შავო ფიქრო! საშინელო, დამეხსენი... დამეხსენი!..
თვალწინ მიდგას შენი სახე, შენი თმები, შენი ტანი,
ამდენი ხნის მარტოობა ვაუკაცურად ავიტანე,
და მგონია მალე, მალე დაგიბრუნდე ჩემო კარგო,
და ოცნების ყვავილებით შეგამკო და შემოგქარგო!
ო, როდესაც დაგბრუნდები და ვეწვევი მე ჩემს ტფილისს,
ჩვენისთანა ბედნიერი რუსთაველზე ვინ გაივლის?
კვლავ ვიშოვი სამსახურსა, კვლავ დავიწყებთ დროს
ტარებას,
მივეცემით ტკბილ ცხოვრებას, განცხრომას და ნეტარებას,
მხოლოდ შენ კი, ჩემო გიჟო, არ გამცვალო მანამდინა,
ისიც კმარა რაც ცხვირიდან, დღემდე ძმარი გამედინა;
მომიკითხე ჩვენი ვაჟი, მომიკითხე დედა, მამა,
ვაიმე თუ მამაჩემი აღარ მღერის „ჩაირამა“-ს,
ანაფორა თუ გააძვრეს, ჩამოართვეს ბაღი, ყანა,
და მთავრობამ სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადიყვანა;
ო, ვათავებ მე ამ წერილს, თვალი ცრემლით დამისივდა;
კუჭი ხმება და გულზე კი შემომაწვა მძიმე სევდა...
გკოცნი, გკოცნი, გკოცნი მაგრად, განუყრელო მეგობარო,
ვეცდები, რომ მალე გნახო ჩემო მარო! ჩემო მარო!....

ცოლის პასუხი

რას მიქარავ უბედურო, შენ გგონია შენთვის ვსტირი?
ან მახსოვდეს შენი თავი ან და შენი გასაჭირი?
არა! შენთვის არ მცალია აქ სულ სხვა მყავს ქმარი-შვილი,
შენ კი ფიქრობ, ვითომ შენზე ვგოდებ, მოვსთქვამ თმა
გაშლილი;
აქ სულ სხვაა, სხვა ცხოვრება, სხვანაირად ღამეს ვათევ,
მე რათ მინდა შენისთანა გამცემი და მოღალატე!
აქ ვმუშაობ ქარხანაში, შეუერთდი მშრომელთ რიგებს,
შენისთანა მუქთახორებს სამუდამოდ განვერიდე.
ჩვენი ვაჟი კომსომოლში აფრიალებს წითელ დროშას,
შენ კი... შენ კი, თვით არ იცი რასა ამბობ, რასა როშავ!
ვერ გიშველის ჩემბერლენი, მაკდონალდი და ბალდვინი,
ვერა ხედავ, უბედურო, რომ ევროპის დალპა ტვინი?
საქართველოს ვერ ეღირსოს დამსებული შენი თვალი,
დამივიწყე! შენზე გული სამუდამოდ შევიცვალე...

ზორბა.



ბელგიანეთის მთავრობამ ზღვაზეგოლონდონი
ილაპარაკა ვერთა ლიგის [illegible] რათა [illegible]
სესხად მიეცეს 3.000.000 მარკა ოქროთი
გერმანეთისთვის.

გუნდა სირცხვილი არის
ჩვენს დროში სილარიბეზე
თვით დიდს და ძველს ბედიერებასაც
დაეფარებილი აქვთ ფიბეზ.

ბრ უნდა ბევრი ფიცი—
უფფულობაა ცუდი...
თუ ბრ გაქვს კაცსა ფულ—
დაეთმოკლდება კუდი.

ჩვენც ხომ ვარსებობთ-ქვეყნიერ.
ხალხელმწიფენი ვართ... მაგ რაზე?
არა გვაქვს ფუალი... მისი
ყველა წყაროანი დაშრეს!

ასე ფიქრობდა ივან
ლიდ ბერში ჩაფერდნილმ,
დღითი ძებნაში იყო,
ლამით არ ჰქონდა ძილი.

მიაღწია ერთა ლიგას...
(არ[illegible] ეი მიართვეს სკამი)
და ძალაულებათ სთხოვეს
სულ მილიონი სამი.

გადიხარხარა, ფაფრა:
ბუმბერაზ თუ იმბობ-ბარიანი,
ნეტა ვიცოდეს—იცი
ხომ მილიონის ლითელა?!

ასწონა სწორ ნახსორზე
ასაკონელი და ტარა...
და ეარი ბუმბერაზაში
მან ტაშილაკ გაატარა.

სიკვდილის კლანჭეებში

(დასასრული)

ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. როდესაც ერასტის ურემი გადაუბრუნდა, ე.ი. როცა ის უხილავ მტრებს დანებდა, მაშინ გამოირკვა ყველაფერი.

გამოირკვა კი ასე:

სწორედ ორშაბათ საღამოს ცოლმა უთხრა, რუსთაველის პროსპექტზე გავისეირნოთ, გვნახოს მტერმა და მოყვარემო.

რაღა სწორედ ორშაბათ საღამოს მოენატრა ამ ქალს სეირნობა, ეს დედაკაცის გულის გამოუცნობი საიდუმლოებაა.

ერასტის ჯერ ერთი აღარ ეშინოდა ორშაბათის, რუსთაველის პროსპექტზე ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ მშველელი არსაიდან გამოჩენილიყო, და მეორე შეიძლება არც თეატრში, არც კინოში ამ ღამეს ფული არ დახარჯოდა, რადგან მან იცოდა, რომ ორშაბათობით ასეთი გასართობები დაკეტილია ხოლმე.

ამნაირათ ერასტი და მისი მეუღლე სასეირნოთ გამოვიდენ.

ბევრი იარეს ხან ერთ მხარეზე, ხან მეორეზე, ბევრი ნაცნობები ნახეს, ბევრი იმუსაიფეს, აქაურს მოედვენ—იქაურს, და ბოლოს, როდესაც ხალხი შეთხელდა, შინისაკენ წამოვიდენ.

კინო „არფასტო"-სთან ერასტი შეჩერდა და ცოლს რაღაცა შესჩივლა.

— მე ეხლავე მოვალ, დაუმატა მან თავის ჩივილს, და იქვე შესახვევში შეუხვია.

არის ამ შესახვევში მამაკაცთა საპირფარეშო.

მდაბიო ენაზე რომ ვთქვათ—საპირიოების ადგილი.

მისი გაჩენის დღე დღესაც ბევრს ახსოვს თბილისში, რადგან სულ ორი წლის ამბავია, მაგრამ ჟამთა მსვლელობას უკვე დაუჩენია მასზე (საპირფარეშოზე) თავისი წარუშლელი დაღი.

იყო დრო, როცა ამ საზოგადო საპირფარეშოში ეკიდა კარები, კარებზე კი დასაკეტები.

ერთი კვირის შემდეგ არცერთ კარს დასაკეტი არ ჰქონდა.

ერთი თვის შემდეგ ერთი კარი უკვე გამხდარიყო გაუმაძღარ დროის მსხვერპლი.

სამი თვის შემდეგ დანარჩენ კარებსაც ამნაირი ბედი ეწია.

ჭეშმარიტად, უკვდავ სოლომონ ზურგიელიძის მოსწრებულ თქმის არ იყოს:

ვინ შეაჩეროს დროთა მსვლელობა,
ვინ დაუდგეს მას წინ
როგორცა ვეფხვი
და გამოკრას გურული კვანტი.

დღეს საპირფარეშოში არცერთი კარი არ არის, და არც უნდა იყოს, რადგან ჟამთა სრბოლა ყველგან და ყოველთვის პირველად კარებს ეცემა ხოლმე.

მაგალითისთვის ნახეთ ყველა ძველი და ახალი ნანგრევები.

ასეთია ბუნების კანონი.

სხვათა შორის ქურდების და ავაზაკების კანონიც ასეთია, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

(ცნობას ამ საპირფარეშოს შესახებ ჩვენ ყველაზე ნაკლებ ქალაქის აღმასკომისთვის გათავსებთ, ყველაზე უფრო კი მუშკორებისთვის, რომ ასეთ ფრიად მნიშვნელოვან რამეზე ერთი შენიშვნაც არ დაუწერიათ და ლუკმა პურს ხელიდან უშეებენ).

აი, აქეთ წამოვიდა ერასტი.

მეუღლე კი მისი მოთმინებით იდგა კინოს წინ და დროის მოსაკლავად გამოდებულ სურათებს ათვალიერებდა.

გავიდა ხუთი წუთი... გავიდა ათი წუთი... ხუთმეტი, ოცი... ერასტი კი არ სჩანდა.

ბარბალეს უკვე გაბრაზება დაეტყო. მით უმეტეს როდესაც გამვლელები განსაკუთრებული ცქერით უცქეროდენ, და ერთმა კიდევაც გადმოსძახა რაღაც.

გავიდა საათი, შეიძლება მეტიც, და გულში რაღაც საშინელი ეკვი შეეპარა.

ბარბალემ ფრთხილად ჩაიარა შესახვევი, შეიქვრიტა კიდევაც იქ, სადაც ქალებს ამის უფლება არა აქვთ, (არა აქვს, სრულებით არ ნიშნავს, რომ დედაკაცის უფლებები საერთოდ შეზღუდულია) და ო, საშინელებავ... შიგ არავინ იყო.

ერასტი გაქრა.

ამაო გამოდგა ბინაზე შუაღამემდის ლოდინი...

ამაო გამოდგა ნათესავების და ნაცნობ-მეზობლების თავგანწირული ხეტიალი -ქუჩა-ქუჩა დაკარგულ ადამიანის მოსაძებნათ.

ამაო გამოდგა აგრეთვე საჩქარო განცხადება ერთ-ერთ გაზეთში, რომელიც დილას მკითხველებს მოკლედ აუწყებდა, რომ წუხელის საათის ათზე რუსთაველის პროსპექტიდან საზოგადო საპირფარეშოსაკენ წავიდა ერთი საშუალო ხნის და ტანის კაცი, სახელად ერასტი, და მას შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა, რის გამო გულდათუთქული მისი ცოლი სთხოვს ყველას ვინც რაზე იცის ამ პიროვნებაზე, საჩქაროთ შეატყობინოს მას, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მიიღებს დაუყოვნებლივ.

არ გასჭრა არაფერმა.

მთელი ეს დღეც უშედეგო ლოდინში გავიდა.

ასე დაიკარგა ერასტი უგზო-უკვლოდ.

თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა მისი სამი დღის ჯვარდაწერილი მეუღლე, ეს არც ისე ძნელი წარმოსადგენია, ამიტომ ჩვენც დავანებოთ მას თავი, ტირილითა და ცრემლებით მაინც მოიოხოს გამწარებული გული, და საჩქაროდ სამიკიტნო „ოფშკეითში" გადავფრინდეთ.

იმ ღამეს, როდესაც ერასტი ასე უცნაურად დაიკარგა, რესტორანში განსაკუთრებული მხიარულობა იყო.

ზურნის ჭყიპინი და მეთარის ხმაჩახლეჩილი ღრიალი მთელ უბანში ისმოდა.

შეყვარებულებს ტანში ეკლები უვლიდათ და თვალებზე გულწრფელი ცრემლები მოდგომოდათ, თუმცა დარწმუნებული იყვენ, რომ არც არავის კლავდენ, და არც არავის ახრჩობდენ, არამედ ეს იყო მხოლოდ სიმღერა.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სამიკიტნოს მოადგა ეტლი და იქიდან ორი ხელიხელ ჩაკიდებული კაცი გადმოვიდა.

მიკიტანი მოწიწებით შეეგება მათ, და როგორი იყო მისი გაკვირვება, როდესაც ერთ მათგანში ნაცნობი ვაჟი იცნო, რომელიც ამ ერთი კვირის წინად ასე უცნაურად დაიკარგა თვალთახედვიდან.

მეორეს კი ისე აკანკალებდა ფეხებში, როგორც ციებიანს გაციების დროს.

მიკიტანი ამ მეორეს ვერ იცნობდა, მაგრამ მკითხველნი ალბად უკვე მიხვდენ, თუ ვინ იყო ის.

ეს იყო ერასტი.

ყმაწვილმა რაღაც ანიშნა მიკიტანს, და უკანასკნელმა ისინი სადღაც ოდნავ განათებულს და მიყრუებულ ოთახში შეიყვანა და იქ დასტოვა.

ყმაწვილმა კარები ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

ერასტი სასიკვდილოდ მოემზადა.

მისი გადარჩენა მხოლოდ ღმერთს შეეძლო, მაგრამ იგი ალბად სხვა საქმეებში იყო ამ დროს გართული და ერასტისთვის არ ეცალა.

როგორ მოხდა, რომ ერასტი მტრებს ხელში ჩაუვარდა ეხლა სიკვდილი ადგა თავზე?

როდესაც ერასტი საპირფარეშოდან გამოდიოდა, წინ ვიღაც ახალგაზრდა შეეფეთა.

მოშორებით ეტლი იდგა.

ამ ყმაწვილის მოყვანილობა ერასტის რაღაც უუცნაურა, თითქოს იმ კაცს ჰგავდა, რომელმაც იმ დაწყეველილ ღამეს ხელიდან წერილი გამოსტაცა.

ახლო-მახლო არავინ იყო.

ყმაწვილმა ჯიბიდან გრძელ დანას ამოაყოფინა თავი, რაღაც ჩაიბურტყუნა, შემდეგ ისევ ჯიბეში ჩამალა და ერასტის თვალებით ეტლზე მიუთითა.

ერასტიმ დააპირა დროს მოგება, იქნებ ვინმე მშველელი გამოჩენილიყო, მაგრამ უცნობმა ჩაავლო მას მხარში ხელი და ეტლისაკენ წაიყვანა.

ისე მიდიოდენ, როგორც კარგი მეგობრები და ვერავინ ვერაფერს საეჭვოს იფიქრებდა.

ასე მოხვდა ერასტი რესტორან „ოფშკვითში".

— სად არის ქალი?!. იყო უცნობის პირველი კითხვა და ჯიბიდან დანა იშიშვლა.

ერასტის გააზრიალა.

— ჩემთან... უპასუხა კბილების წკარუნით.

— როგორ შენთან?..

—სამი დღეა ჯვარი დავიწერეთ...

უცნობი შეხტა, და შემდეგ ტარტაროზის ხარხარით გადაიხარხარა.

— ხა...ხა...ხა...

შემდეგ უეცრად ბრაზი მოერია და დანით ხელში ერასტისაკენ გაექანა.

ვინ იცის როგორ წავიდოდა საქმე, რომ ამ დროს კარებზე არ დაებრახუნებიათ.

— გააღეთ!.. მოისმა მიკიტნის ხმა.

— დავით, გააღეთ კარები!.. მოისმა ეხლა ქალის ხმა.

ქალის ხმაზე უცნობი შეკრთა. შემდეგ თითქოს რაღაცა გადაწყვიტაო, ავი ღიმილით ტუჩებზე კარს მივარდა და ფართოდ გააღო იგი.

შემოიჭრენ მიკიტანი და ჩვენთვის უკვე ნაცნობი ქალი ელენე.

უკანასკნელი გაშეშებულ ერასტის მივარდა, მაგრამ ნაცნობ პიროვნების ნაცვლად მის წინ ვიღაც უცნობი იდგა.

დავითმა ზიზღით გადაიხარხარა.

— დროზე მოუსწარით, თორემ თქვენი ქმარი ეხლა საიქიოს იქნებოდა.

ერასტი პირდაღებული იდგა.

— მე... მე... ერასტი კალმისტარიძე ვარ... ჩემი ცოლი სხვაა... ძლივს მოახერხა მან...

გამოკითხვის და აღელვებულ ბაასის შემდეგ გამოირკვა, რომ ერასტი კალმისტარიძე არაფერ შუაში იყო.

იყო ვიღაც სხვა ერასტი, რომელსაც უკვე ეშველა თავისთვის და მუქარით დაფეთებული სადღაც გადაკარგულიყო.

მთელი ღამე და მთელი მეორე დღე ერასტი „ოფშკვითში" იჯდა და ახალ ნაცნობებთან ერთად „მრავალ-ჟამიერს" და „თავო ჩემო"-ს მღეროდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთ სახალხო სასამართლოში ამნაირი საქმე იყო:

ვიღაც ერასტი კალმისტარიძე უჩივოდა თავის ცოლს ბარბალეს, რომ ამ უკანასკნელმა მას ძალა დაატანა და იძულებულ-ყო „მმაჩ"-ში გაყოლოდა.

როდესაც სასამართლოში ყველაფერი გამოირკვა, ბარბალე ყოველმხრივ გამართლებულ იქნა, და რადგანაც ის უკვე დაეთხოვათ სამსახურიდან, როგორც პასუხისმგებელ მუშაკის ცოლი და გაყრის შემდეგ ულუკმაპუროდ რჩებოდა, მისი რჩენა სასამართლომ ერასტის დაადვა კისერზე.

ერასტიმ ბევრი იხტუნა, მაგრამ ბოლოს სხვა გზა რომ აღარ იყო, გადაწყვიტა, ისევ შერიგებულ ცოლის შენახვა სჯობს, ვიდრე დაშორებულისო და ბედს (ე. ი. ცოლს) შეურიგდა.

ასე გათავდა ერასტი კალმისტარიძის უცნაური თავგადასავალი, მხოლოდ რაც შეეხება დანარჩენ გმირებს, მათ შესახებ დღეს მილიცია აწარმოებს კვლევა-ძიებას, და ვნახოთ რას გამოიძიებს.

სინემატო.

ბ ე დ ი ს - წ ე რ ა

— მონაწილე ვარ, ჩემო მაია, შენი მწუხარების! რა უბედური ქალი ყოფილხარ, რავარი კაი ქმარი დაკარგე! —მიუსამძიმრა მაიას მისმა მეზობელმა ქალმა.

მაიამ ერთხანს იტირა, მერე როგორც იქნა მოიხოცა ცრემლები, გაუწოდა სტუმარს პატარა სკამფეხა და თითონ გვერდით მოუჯდა.

— დავიღუპე, ჩემო ნატაია!—დაიწყო მაიამ, როცა დამშვიდდა—დავიღუპე, დამეჭცა სახლი და კარი. ეხლა გულს ცოტა იმით ვიმშვიდებ, რომ სანამ ცოცხალი იყო, არ მოვაკელი მოვლა. ვინ არ მყავდა, ეის არ ვაჩვენე. კიდო, რომ ყოფილიყო რაიმე საშუალება, არ დავიშურებდი; მაგრამ არაფერი გაეწყო.

პირველად იყო და, როგორც კი უქეიფოდ შეიქმნა, იქავე მევიყვანე ჩემი მეზობელი მაკრინე რომაა და გამოულოცეთ ამყოლისაგან.

ასე მითხრა მაკრინემ: თუ ორ დღეში ამან არ უშველოსო, კიდო დამიძახე და გამოულოცავო.

ერთ გამოლოცვას, შენ გენაცვალე, ვინ აკმარებდა და მეორე დღეს ჩემ ნათლიდედას შეეატყობიე. იმან იქავე გამიმზადა წითელ ქვაში გალესილი წამალი.

ასე დაებარებია: ამ წამალს ცოტა არაყი ჩაურიე და ერთბაშად დაალევიეო. შენ ქე იცი, ყოველთვის ვიცოდით სახლში ჭაჭის ოდკა. იმისთანა მაგარი ოდკის გამოხდა იცოდა განსვენებულმა, რა მკდარი უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ფეხზე არ დეეყენებია. გავამსე პირამდე ერთი ჩაის ჭიქა და ვახუხიე. ერთი კი დაიმანჭა საცოდავი, მაგრამ მალე დამშვიდდა და მიეგდო ძილად. ვიფიქრე გამოკეთდება-თქვა, მაგრამ ვატყობ მეორე დღეს,—მაინც ვერაა კარგად.

ვაფრინე კაცი მეორე სოფელში. გაგონილი მქონდა, რომ ერთი მოხუცებული კაცია და საარაკო რამე წამალი

მათი გზა

ბცისო.

ის ააშენა მამაზეციერმა. მოვიდა მეორე თუ მესამე დღეს. შეხედა თუ არა ავდმყოფს, იქავე თქვა: ნამდვილად დასუნულიაო.

ეცვალა შენს მტერს ფერი, რათაც ამის გაგონებაზე მე მეცვალა ფერი.

ნუ გეშინიაო, მითხრა, რომელი ქალაქის დოხტური მჯობია მაგისთანა სოფლურ ავადმყოფობის მორჩენაშიო.

მოითხოვა ცერცვის კაკალი და საცერი.

მზის გადახრამდის აგორა საცერზე კაკალი. ზოგი შეწვა და ისე გადააყლაპია ავადმყოფს, ზოგი თვითონ შეჭამა და ზოგი მე შემაჭამა.

საღამო ხანზე გვერდები დაუზილა თბილ წყალში. მერე ნიშანი შეაბა მაჯაზე და როცა მიდიოდა, მითხრა: ხვალ ფეხზე იქნება, მაგრამ ერთი-ორი დღე ნუ გაუშობ კიდე სამუშაოზე და აჭამე რაც გაეწყოსო.

ვიგინდარასთვის არაფერი დამიშურავს და ჩემიანს რას დავაკლებდი:

— იმ საღამოსვე ერთი კაი დედალი მოუხარშე რგვლად და რაც ეყო იჯრაზე, შევჭამე, რომ აღარ შეეძლო ძალით ვატენდი პირში.

ვითამ მეითქვა პატარა სული იმ ღამეს. მაგრამ მეორე დღეს ვხედავ, პირში ენას ვეღარ იბრუნებს. ხომ იცი სოფლის ჭორის ამბავი? ზოგს, თურმე ისიც ეთქვა— ხატზე იქნება გადაცემულიაო.

მართალია, კეთილი კაცი იყო და ცუდი არავისთვის უქნია, მაგრამ ვიფიქრე: ვინ იცის, შეიძლება ვინმემ მიმტრო მეთქი.

გადავახდევინე ხუცეს წირვა, ხატს ვერძი მივართვი და უშობელსაც შევპირდი მორჩენის შემდეგ.

მაგრამ არც ამან მიშველა.

ბოლოს გადავწყვიტე ქალაქის დოხტურისათვის მეჩვენებია.

დავაწვინე ურემზე და წავიყვანე ქალაქისაკენ.

შენც კარგად იცი ჩვენი გზების ამბავი—ცოტა ავია ის ოხერი. მაგრამ რა გაეწყობოდა! ფრთხილად მიგვყავდა ურემი ქვებზე და სიპებზე.

სწორედ შუა გზაზე არ ვიქნებოდით მისული, რომ კაცმა თვალები მილულა.

ვიფიქრე, შიმშილისაგან, თუ დასუსტდა-თქვა და სულ ძალით ვატენე პირში იმ დილის მოხარშული ვარიკა.

ძალიან უსეში ხალხი კი ყოფილა ქალაქის დოხტურები.

როგორც კი ნახა ავადმყოფი: რათ გინდოდა ეს მკვდარი კაცი, რომ გითრევია ამ ურემითო.

დავდევი, ჩემო, ნატალია, ეს გულწასული კაცი ისევ ურემზე და გამოვბრუნდი სახლში. შვა-გზაზე არ ვიყავით კიდო მისული, რომ შენმა მტერმა და ავმა, გააცხო სული.

ასე უქმად ჩამიარა ჩემმა მეცადინეობამ. ბედისწერა იყო ალბად.

ეხლა იმით ვიიმედებ თავს, რომ საიქიოს პირნათლად მაინც შევხვდები და აქ კი ვერავინ მეტყვის იმის საყვედურს, რომ არ მოუარე და არ უწამლეო!

სარი.

გამსახლში ვიღის

კოოპერატივის ნოქარმა ფანელი

ბოლო ბელისტფლებამ ყველა



გაჭაბილა.

ვიაბილა!

ლევარსი ლოხოლაძე

საქოლოწინო ზეიმი

როგორც წესია: ნეფე-დედოფალი ერთად ისხდენ სუფრაზე და ერთმანეთის ალერსით დნებოდენ.

— მიირთვი აი ეს ბარკალი—მოუკითხა ლევარსიმ ედუკის და თანაც ხუმრობით დასძინა: დღეს არის აგი, თვარა მერე ლობიოთი ამოგილპება მუცელი.

— არა, მე ქათმის კუჭი მიყვარს!

— ხე-ხე-ხე-ხე.. ჩაიროხროხა ლევარსიმ—კუჭი თუ გიყვარს, ალბად შენ კუჭიანი (ბრაზიანი) იქნები, და როგორ გამოეწყობა ჩვენი საქმე, აღარ ვიცი—და ხელად ქის ქათმის კუჭი გადასცა.

— შენ კურტუმო გეყვარება!—მოუკითხა ედუკის ედუკის ქათმის კუჭი გადასცა.

— კურტუმო ქათმის არა და ქალის—კი მიყვარს... მარა უარს არც მაგაზე გეტყვი, თუმცა ისე გამაძღარი ვარ რომ მუცელში ესკდები.

—:—

აი, ასეთი დარბაისური ლაპარაკი ჰქონდათ მთელი ზეიმის განმავლობაში ნეფე-დედოფალს.

ბოლოს ლევარსიმ ჩონგურიც კი დაუკრა და დაამღერა:

ორშაბათი გათენდება
ოჯახს ჩაგაბარებენო,
სადილს კარგად შეგარგებენ
ვახშამს წაგამწარებენო.

„თაფლის თვე"

თაფლი რომ ტკბილია, ეს, მგონი ყველას ეცოდინება. და თუ ვინმე კიდევ არის ისეთი, რომ ჯერ არ იცოდეს, არ ეშინჯოს თაფლის გემო, მას ვურჩევდით ორ საშუალებას:

პირველი: მუშკოოპის მაღაზიებში გირვანქა თაფლი ღირს თერთმეტი შაური; იყიდოს ერთი ან ნახევარი გირვანქა, სჭამოს და მაშინ მიხვდება, თუ როგორი ტკბილია თაფლი.

მეორე საშუალება ე. წ. **ლევარსის საშუალება:** „ვისაც თაფლის გემო უნდა გაიგოს, მაგრამ თაფლი არა აქვს და არც ყიდვა შეუძლია, **ითხოვოს ცოლი**". (ეს სიტყვები ლევარსის ეკუთვნის; ამიტომაც ვუწოდეთ ჩვენ ამ საშუალებას: **ლევარსის საშუალება**).

ამგვარად, თაფლის გემოს გასაგებად არსებობს ორი საშუალება: **ნახევარი გირვანქის თაფლის ყიდვა** და **ცოლის შერთვა**.

რასაკვირველია, ვის რომელი საშუალება უნდა იმას გამოიყენებს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი აზრიც გამოვსთქვათ ამის შესახებ და ერთ-ერთს რომელიმე მათგანს მივაკუთვნოთ უპირატესობა.

და ჩვენ გვგონია, რომ **ლევარსის საშუალებას** გაცილებით სჯობია (რადგან უფრო ხელსაყრელია) პირველზე და აი რატომ:

ვსთქვათ: იყ�dე ნახევარი გირვანქა თაფლი, (ოცდარვა კაპიკის საქმეა); თაფლი ცუდი გამოდგა (როგორც ნშირად ხდება)... ზარალს გაუძლებ, იგი უმნიშვნელოა.

მაგრამ მეორე საშუალება რომ გეხმარა: ცოლი შეგერთო, ასე იოლად ვერ გახვიდოდი.

თვითონ ლევარსიმ უარჰყო შემდეგში თავისი საშუალება, (მაგრამ ამაზე შემდეგ).

—:—

„მართლაც ზედგამოჭრილი სახელია: **თაფლის თვე**"...

მაგრამ სტყუიან როცა ამბობენ: ეს მხოლოდ პირველ თვეს... შემდეგ კი წავლენ ჩვეულებრივი თვეები... არა... ჩემთვის ყოველთვის **თაფლის თვე** იქნება... აწი წელიწადის თორმეტივე თვეს მე ვუწოდებ თაფლის თვეს, რადგან ჩემი ედუკი ყოველთვის ასე მეყვარება და ასეთი იქნება ჩემთვის".

ას ფიქრობდა ლევარსი...

და მართალიც იყო.

წარმოიდგინეთ: როცა ლევარსი მაღალ ხეზე ყურძენს ჰკრეფდა და ქვეშ ედუკი გიდელს*) უცვლიდა, მაშინაც კი სწყურდა მასთან ყოფნა... მისი ალერსი..., ხვევნა..., კოცნა... და...

და როცა ლევარსიმ ყურძნით სავსე გიდელი ჩამოუშვა, მას მოაგონდა, თუ როგორ მოჰპარა ცხენი თავადს და როგორ გამოაბა ძაღლები ხის მწვერვალზე.

— აქ ამოვიყვან ედუკის—

გიდელი უკვე ჩავიდა.

ედუკიმ სანაცვლოდ ცარიელი გიდელი გამოაპა ბაწარს და ასძახა ლევარსის:

— მშვიდობით ჩამოდი.

— ედუკი, აქ რომ იყო, მამა შენს დაგანახვებდი, ჩამოსძახა ლევარსიმ.

— სტყუი, მამაჩემი ფოთში წავიდა ქაფშიეს მოსატანად; სახლში არ არის.

— ხო-ხო, ფოთში ვხედავ, უკვე უყიდია ერთი ურემი ქაფშიე და წამოსვლას აპირებს... ისე კი ქაფშიე კი უყიდია: ღორჯოს ხელაა ყველა... ამოდი, ედუკი, და დაგანახვებ, თუ გინდა.

— კი მინდა, მარა, მაქანე რაფერ ამოვალ?

— გიდელში ჩაჯექი და ამოგიყვან—

ედუკიც ასე მოიქცა.

—:—

თუმცაღა ედუკიმ კარგად იცოდა, რომ ლევარსი ვერც ფოთს ხედავდა და ვერც ედუკის მამას; ისიც კარგად იცოდა, თუ რატომ იპატიჟებდა ლევარსი მას, მაგრამ არ გააწბილა საყვარელი ქმარი, რადგან „**თაფლის თვე**" იყო.

ჭინაჭინის წლები

—:—

ჩვენ ზემოდ ვსთქვით, რომ: თვით ლევარსიმ უარჰყო თავისი საშუალებაო.

აი რას ამბობს ლევარსი ამის შესახებ:

„**მაგრამ უბედურება ის არის, რომ თითქმის ყველა ახალგაზრდას ნაპამი აქვს თაფლი და იცის მისი გემო; ზოგი იყიდდა, ზოგი ბავშობისას ოჯახში დედას მოჰპარავდა, ზოგიც ტყეში ნახავდა ველურ სკას...** (აქ ლევარსის თავისი თავი ჰყავს მხედველობაში, როცა მას დათვები შეესიენ და ის დათვები მან სოფელში ჩამოიყვანა. ამ ამბის შესახებ „ტარტაროზ"-ში გვქონდა მოთხრობილი).

გარდა ამისა, ყველას გაუგონია ლაპარაკში გამოთქმები: „ცოლ-ქმრობა თაფლსავით ტკბილია", „როგორ ყველა მესევით! თაფლი ხომ არ მცხია?" და სხვა ასეთები.

ერთი სიტყვით, უპამია თუ არ უპამია, ყველამ იცის, რომ თაფლი ტკბილია.

აგრეთვე ყველამ იცის, რომ დაქორწინების შემდეგ პირველ თვის „თაფლის თვე" ჰქვია.

და სწორედ ამიტომაც საცოლო ახალგაზრდობა სტყუვდება. ფიქრობს:

— დედავ, შენი ჭირიმე, ერთი თვის განმავლობაში ყოველთვის თუ თაფლში ვიქნები, მერე თუ გინდა მოვკვდე.

დიახ! ასე ვფიქრობდი მეც, მაგრამ ბოლოსდაბოლოს როცა თაფლი დერგის ძირზე თანდათანობით დადიოდა,

*) გურიაში ყურძნის საკრეფი ჭალათი.



ქინაქინასავით შწარდებოდა... და ბოლოს მთლად გამწარდა.

დიახ: ერთი თვის—თაფლის თვის განმავლობაში დაიცლება დერგი და შემდეგ დაგრჩება სიმწარე, რომელიც გაგრძელდება მთელს სიცოცხლეში".

აი, როგორ ახასიათებს ლევარსი ცოლის შერთვის საშუალებას.

ამბობენ, რომ ეს აღმოჩენა ეკუთვნის ჩვენში საკმაოდ ცნობილ პიროვნებას. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ ეს ლევარსის იმიტომ მივაკუთვნეთ, რომ პირველათ ჩვენმა ყურმა მისგან გაიგონა. (შესაძლებელია ლევარსიმ მისგან გაიგონა; ეს ჩვენ არ ვიცით).

თუ რატომ მოხდა ლევარსის მსოფლმხედველობაში ასეთი ძირითადი ცვლილება, არც ამის გაგებაა ძნელი.

უმთავრესი მიზეზი იყო კეცი.

საქმე იმაშია. რომ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ედუკის კეცზე გამომცხვარი მჭადი ან არ დასწოდა, ანდა ცომი არ ყოფილიყოს.

დიდხანს ითმინა დედამთილმა, მაგრამ საქმეს გამოსწორება მაინც არ ეშველა.

— შვილო, ლევარსი, (ეუბნებოდა ლევარსის დედა) ედუკის მეხათრება, შენც გეხათრები. მარა მჭადის გამოცხობა არ იცის, და ასე არ ვარგა.

— მე ვერაფერს ვერ ვეტყვი; თუ რამე შეგიძლია შენ უთხარი—გადაჭრით განაცხადა ლევარსიმ.

— დამიგდე ყური რას გეუბნები (განაგრძობდა ელპიტი); გამოიტანე ის კეცი, რომელზედაც მჭადს აცხობს და ედუკის თვალის წინ გალახე შოლტით და დაარიგე, რომ მჭადი კარგად გამოაცხოს...

... ჰო-და როცა ამას დაინახავს ედუკი, მიხვდება, რომ ეს ცემა კეცის კი არ არის, არამედ მისია...

— მომწონს ეს აზრი... აი, რას ნიშნავს ჭკუა და პოლიტიკოსობა.—დაუდასტურა ლევარსიმ.

—:—

მართლაც, ლევარსიმ, როცა ედუკი მათთან იყო, სამზარეულო სახლიდან გამოიტანა კეცი, დაუწყო ცემა და ეუბნებოდა:

— თუ კიდევ დაგიწვავს, ანდა არ გამოგიცხვია მჭადი, ვაი შენი ბრალი: აკეთელი ხარ და აკეთშივე გაგაგზავნი შენს გამომყიდველთან.

— მასე, შვილო, ხო მასე... ჭკუას ისწავლის—აქებდა ელპიტი, რომელიც ცალი თვალით ედუკის უცქერდა; ედუკი კი იცინოდა:

— მაგის რა ბრალია? ცეცხლის ბრალია, რომ მჭადი იწობა—.

— მართალს ამბობს, დედაჩემო, ედუკი—ლევარსის მოეწონა ედუკის აზრი და ცემას დაეთხოვა.

— კი მარა ხშირად, რომ ცომია მაგაზე გამომცხვარი მჭადი?!

გადაჭკრა ელპიტიმ.

— მართალს ამბობს, ედუკი, დედაჩემი... მართლაც რომ ხშირად ცომია—ლევარსის მოეწონა დედის აზრი და ისევ დაუწყო ცემა კეცს.

— მერე რა! ესეც ცეცხლის ბრალია: იგი არ აცხობს, თორემ ცომი არ იქნებოდა—.

— მართალს ამბობს, დედაჩემო, ედუკი,—ცეცხლი არ აცხობს, თორემ მჭადი გამოცხობოდა—ლევარსის მოეწონა ედუკის აზრი და ცემას დაეთხოვა.

ვერ გასჭრა ხერხმა.

მჭადი მაინც ძველებურად ცხვებოდა: ხან ცომი, ხან დამწვარი.

ამ ნიადაგზე ჩამოვარდა პირველი უკმაყოფილება ოჯახში. რა თქმა უნდა, ამას კიდევ სხვა უკმაყოფილებაც ემატებოდა.

ერთი სიტყვით ლევარსი „ჩავარდა საგონებელში ვითა კამეჩი მორევში".

— ასი წელიწადი რომ ვიცხოვრო კიდევ, მაინც ვერ გამოვასწორებ ჩემს შეცდომას—ქალის შერთვას, ასე ფიქრობდა ლევარსი.

—:—

თავი თუ ფეხები?

ლოგინი მზად იყო.

ლევარსი დაწვა...

მაგრამ დაწვა არაჩვეულებრივად: არა ისე, როგორც უწინ წვებოდა დასაძინებლად.

მან ფეხები ბალიშზე დადვა, ხოლო თავი კი ფიცარზე.



— რა იყო? ხომ არ გადარეულხარ? როგორ წევხარ? შეშინებული ეკითხებოდენ ლევარსის.

— ნუ გეშინიათ... არ გადავრეულვარ... სწორედ ახლა ვარ ნამდვილ ჭკუაზე—ანუგეშებდა ლევარსი.

რას ნიშნავს ეს?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა მეტი პატივი თავს კი არ უნდა სცეს, არამედ ფეხებს, რადგან ფეხები ატარებს სულელ თავს, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ადამიანისათვის.

ჩემი უკუღმა დაბადება—დედის საშოდან ფეხებით გამოსვლა ჭეშმარიტად დიდ რამეს ნიშნავს. ყველა ადამიანი უნდა იბადებოდეს ისე, როგორც მე დავიბადე.

მეტი პატივი ფეხებს, რომელიც ატარებს სულელ თავის სიმძიმეს.

ზმუკი

ქუთაისი



ალმანსი: სადა ბატონო, ეს ბანკია?
მიხა: დღეს თეატრში ხანდრო ინაშვილის გახტროლია; მანდოდა ბილეთი მეეიღება, ნაგრამ ამ დალოცვილს ბილეთების ფასი ისე აეწევია, რომ ჩემისთანა ვერ შესძლებს ყიდვას... ისევ დალოცოს ჩვენი თეატრი: რაც შეგ ბლება, ყველაფერი ეუჩაში ისმის და ხმანს... დაეიდგამ ამ სკამს ეუჩაში და ისე მოვისმენ ხანდრო ბიმბლერალის ხიმ-ღერას, თითქოს თეატრში ვეოფეფლიეადი.

ეუჩაში



უმუშევარი

ორშაბათ დილა გათენდა
რა ავი-დარი დგებაო,
ეს ჩვენი ბიჭი სევასტი
საომრად ემზადებაო.
დილა ადრიან იღვიძებს,
ივიწყა ფუფუნებაო;
ეს „რასტრანიკი“ არ გაბლაებს,—
გაფლანგვა ეზარებაო.
ეს არის უმუშევარი
რამოდენიმე წელია,
(რას იზამ, ვინაც კი იცის
უმუშევრობა ძნელია).
სევასტი მიდის მაზარში,
ჯიბეში უძევს ფულია,
კოოპერატივსა ესტუმრის
ამისკენ უწევს გულია.
კოოპერატივში სევასტი
ჩაუდგა „ორერედსაო“;
სადი საათი უკადა
მაინც არ წყვეტის ბედსაო,
„მე ხომ მაინც მომიწევს
თუ გყვარებიეარ ღმერთსაო;
სადი საათის დგომითა
რაზე მოვიხრი ქედსაო?“
სევასტის რიგიც მოვიდა
ყიდვა სურს მის ფანელისა,
— ეშაფეილო, ფანელს ვერ
მოგცემთ,
თუ კნიკეა არ გაქვთ წყერისა“.
სევასტიმ იძრო წაგზაკი
სანატრი კაცის ბევრისა
— ინებეთ! ვგონებ ეს არის!
ისმის ხმა ეზამეეერისა.
დამარცხებულმა ნოკერმა
მაართვა ფანელ-ფარეალი,
სევასტი მიდის ღიმილითა,
გამარჯვებული, მარეალი,
ფიქრობა ძველი ნაცნობი
ვაჭარი ენა ჭარტალი,
და მას დაუთმო ნაყიდი
დარჩა მოგება ნათალი.
ხუთი მანეთის ფანელში
მიიღო იმან ათია...
ჩითსა და ნარმა ტილოშიც
ვაჭრობა გაუმართია;
ვაჭარი რასაც მოიგებს
ეო არის მისი დარდია,
გახარებული გამორბის
დალია ღვინო კვარტია.
სხვა კოოპერატივს ესტუმრა
იქაც ასეთი ხერხითა,
ორ-სამ კვირაში თბილისი
შემოიარა ფეხითა.

„ბოსტორგის“, „კოოპის“ დუქანი
ნორსა იყო, თუ გუერდითა,—
არსად დატოვა და ყველგან
გაქონდა ხერხით ერთითა.
დღეიაც ასევ სევასტი
ემუშევრობით ბაწამი;
ეწინ ლობიოს ნატრობდა,
ახლა ბრეა სურს ჭათამი!
გასუქდა, გამრეენიერდა
მისი ბრწყინვალე მადამი,
თურმე რას ნიშნავს მეშკოპე
უმუშევარის ნაჭამი?!

ბუბალ

!?! !?! !?!



ᲒᲚᲔᲮᲘ: „ტუუილად გვაშინებს ჩვენი ტუის მცველი... ტუის დაცვის შესახებ, რომ თბილისიდან ბრძანებას ელოდებიან, განა ეს ნიბას მოგვცემენ—ეს შუშა გაგვტეხიდა!? ეს ხომ ტუეშიკმოკრილი-ჩქოლებაა!

„დახვრეტა პირობით“

„აჭარისტანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა. მოისმინა მოხსენება კავშირის ფულის გამფლანგველთა მესახებ. მომხსენებლის სიტყვით გამფლანგველნი თითქმის დაუსჯელი რჩებიან. სასამართლოებს ლმობიერი დადგენილება გამოაქვთ მათ მიმართ“.

გაზ. „მუშა“-დან.

(ორი გამფლანგველი შეხვდება ერთმანეთს ბათომის ბაღში, ზღვის პირას)

— გამარჯვება იაკინთეს! კაცო, შენ ვგონებ გაფლანგვა გედებოდა ბრალად. როგორ მოხდა, რომ ისევ თავისუფლად დადიხარ?

— გაგიმარჯოს ჩემო კირილე. გაფლანგვაც დამედო, და კიდეც ჩამაჯინეს.

— რამდენი ხნით ჩაგაჯინეს, თუ ძმა ხარ?

— სამი წლით, სასტიკი იზოლიაციით და განცალკევებით.

— არაფერი მესმის... შე კაცო, რამდენი ხანია რაც გაფლანგე?!

— ერთი თვე.

— რა მოგისაჯეს?

— 20 დღე.

— კი მაგრამ—თუ სამი წელი გადაგიწყვიტეს?

— გადამიწყვიტეს, ჩემო კარგო, და ვზივარ კიდეც!

— როგორ კაცო, ამას შენ ციხეში ჯდომას ეძახი?

— მაშ რას ვეძახი, ჩემო კირილე... ისიც სამი წლით...

— კაცო, ეს ციხე კი არა ბაღია, ძმაო, ბათომის ბაღი.

— შე კაი კაცო, განა მართლა ციხეში ვიქნები?!

— მაშ როგორ?!

— პირობით, ჩემო კირილე, პირობით, განა მართლა ციხეში. უნდა მომათავსონ?! განა ის კი არ მეყოფა პირობით რომ მომისაჯეს?

— ჰმ? პირობით? ჰო-ო! ახლა კი მივხვდი.

(ორი თვის შემდეგ ისევ იმ ბაღში)

— კირილე! გამარჯვება კაცო! მომილოცავს გადარჩენა! როგორ მოხდა კაცო ეს ამბავი? აი ყოჩაღ მე და ჩემმა ღმერთმა. ვიცოდი მოხერხებული კაცი რომ იყავი, მაგრამ თუ ასეთი იყავი, ის კი აღარ მეგონა!

— რავა, ჩემო იაკინთე? რაზე მიბრძანებ მაგას?

— რავა და, შე კაი კაცო, შენ არ იყავი გაფლანგვა რომ დაგწამეს და სასამართლოში მიგიწვიეს?

— კი, მე ვიყავი.

— რამდენის გაფლანგვა გედებოდა ბრალად?

— რაღაც უნიშვნელო; სულ სამიოდე ათასი. ხომ იცი ახალგაზრდა კაცის ამბავი, შემომეხარჯა.

მერე და მე ისე გავიგე, რომ შენ გაგასამართლეს და რამოდენიმე წლით გამასწორებელი სახლი გადაგიწყვიტეს.

— მაგაზე მეტიც ჩემო იაკინთე. გამსახლი. კი არა, დახვრეტა მომისაჯეს.

—მერე?..

— მერე და დამხვრიტეს კიდეც, ძმაო იაკინთე! არ შეიბრალეს წვრილი ცოლ-შვილი, არც ახალგაზრდობა, დამატოვებიეს შევიოტის კოსტიუმი, ინდიგოს ბლუზა-შალვარი და სხვა.

— კი მაგრამ როგორ დაგხვრიტეს, როგორ დაგატოვებინეს, როცა შენ სალ-სალამათად ხარ?

— შე კაი კაცო, გეუბნები დამხვრიტესთქვა, მათი ხელით დახვრეტილიც ვარ და ჩამომხრჩვალი.

— თუ ძმა ხარ გამაგებინე: თუ დაგხვრიტეს, ცოცხალი როგორ გადარჩი?

— დამხვრიტეს, მაგრამ იცი როგორ? პირობით. ხოლო პირობით დახვრეტა-დატუსაღება და ამისთანები კი შენც იცი რას ნიშნავს. ასე ამ რიგად შენ შეგიძლია თვეში ასჯერ დაგხვრიტონ და ორასჯერ ჩაგაჯინონ.

— ?!?.

ალლარი

ოზურგეთში თურმე ცეცხლი ჩნდება, მაგრამ ცეცხლისმქრობ რაზმს—მორცხვი რაზმია—თავის გამოჩენა არ უყვარს.

აი, რას გვწერს „კონტოლი:“

„ოცდაერთსა იანვარსა, ცეცხლი გაჩნდა ჩვენს ბაზარსა,
ოზურგეთის რაზმი მშინათვე მზათ არია,
რომ ჩააქროს ხანძარია,
მაგრამ, როცა მოვიდოდენ
ცეცხლი უკვე ჩამქრალია.
მაგრამ საქმე ღღეს ასეთი
თვითონ რაზმის რა ბრალია,
რადგან ბოჭკის საზიდავათ
ამ რაზმს ცხენები აკლია“...

„ხანძარია, ჩამქრალია, რა ბრალია, აკლია!“ ვფიქრობთ ასეთი რაზმით მტრის მოწინავე რიგებს ვერ გაანადგურებს ოზურგეთი.

„შაშვი-კაკაბი შეიბნენ“

„ყვავი-კაკაბი შეიბნენ“... მაგრამ ეს ყვავები ანაფორიანი ყვავები გახლავან.

ფოთიდან—ნახუტურის უბნიდან, შემდეგ ღირსშესანიშნავ“ ამბავს გვატყობინებს „მეხი:“

„პირველად ხალამპრეს ნახავ
ახლად ნაკურთხი ღვდელია,
საკურთხს გაუგო მან გემო
დაძვრება, როგორც მელია.
გერა მამაოს ცილს სწამებს
მასთან ჩხუბი აქვს ხშირადა!“

ასეც უქნიათ კიდეც დაუხოციათ ერთმანეთი—ორი მატყუარათი ნაკლები იქნება ქვეყანაზე.

ყოლიფრათ უცნაურია!

„ჩვენ ლამაზი გურია, ყოლიფრათ უცნაურია“—ბოდიშს ვითხოვთ—გურია კი არა—გურიის სოფელი სამ**ხთოა** უცნაური, რომელსაც სამხთო კი არა, საეშმაკო უნდა ეწოდებოდეს.

ამ სოფელში სწარმოებს „ერთა ლიგის“ სხდომები, რომელზედაც ირჩევა ისეთი მწვავე და მსოფლიო მნიშვნელობის კითხვები, რომელიც „ზღვისპირელის“ სიტყვით:

„მთელ ქვეყანას მოედო: აზიას, აფრიკას, ევროპას, ნატანებს და სამხთოს“.

რასაკვირველია, ამბავი, რომელიც აზიას და აფრიკა-ევროპას მოედვა ან რა საინტერესოა, საინტერესოა, რომ ეს ამბავი სოფ. სამხთოსაც მოდებია და მოდებია მერე როგორ?

კორესპონდენტის სიტყვით:

„შეიქნა აზრთა გაცვლა-გამოცვლა სკოლის შესახებ თუ ბინის უქონლობის გამო როგორ მოაგვარონ მეცადინეობა და გადასაჭრელათ წამოიჭრა შემდეგი საკითხები:—მოწაფეების ღღეი გაყინვა სჯობია ცემენტზე, თუ ღამე ტალახში ბანაობა“.

ტარტაროზს ამ კამათში, ცხადია, მონაწილეობის მიღება არ შეუძლია სანამ არ გამოირკვევა:—რა თვისებისაა ტალახი. თუ სამკურნალო ტალახია, მაშინ... მაგრამ სჯობია თვით სამხთოელებმა გადაჭრან ეს საკითხი—იმათ უკეთ ეცოდინებათ.

სანიმუშო უჯრედი

ქუთაისის მაზრის სოფელ სორმონის ა. ლ. კ. კ. უჯრედში სათანადო სიმაღლეზე მდგარა... ცეკვა-მღერის საქმე.

ახკორ „ჯოჯოხეთელის“ სიტყვით:

„ამხ. შალვა ფურცხვანიძის ხელმძღვანელობით დიდი გაცხოველებით სწარმოებს სასიმღერო კურსებზე მეცადინეობა.

უკვე შეისწავლეს:—1. დელი რაშა, რირა რაშა,
ბათომშია ჩვენი ნაშა!
2. ღვდელმა უთხრა დიაკონსო,
ქორწილი აქვს იაკოსო.
3. გურიაში წაველ კვირეს—
ნატანებში დამიჭერეს!“

ტარტაროზმა ასეთი რეზოლიუცია დაადვა ამ უკანასკნელ ტაეპს:

— გურიაში რა უნდოდათ, თუ სიკვდილი არ უნდოდათ?

სიკვდილისგან მღვდელ-დიაკონის მადლმა იხსნის სორმონის კომუჯრედი, მაგრამ ბევრისთვის სირცხვილიც სიკვდილია.

„დელი რაშა, რირა რაშა“
კომუჯრედო—მართლაც ვაშა!
კაი ბიჭები ყოფილხართ და სიმღერაც კაი გცოდნიათ!

ვინ იპოვნის?

უცნაური ამბავი, სამწუხარო ამბავი. მუშა „კირკას“ გადმოცემით ჭიათურის მშენებელთა კავშირი აცხადებს:

„**დავკარგეთ** კავშირის საქმის მწარმოებელი **მ. გაბელაშვილი.** ტანი საშუალო, ფეხი ორი, უყვარს ქორწილში სიარული. მნახველს ვსთხოვთ უკანვე მოგვიყვანოს და ჯილდოთ მიიღებს ორ ყანწ ღვინოს“.

1—1

ტარტაროზკორებო! აბა, დაფაცურდით, იქნებ მონახოთ ჭიათურის მშენებელთა კავშირის საქმის მწარმოებელი. მნახველს აშენება მოელის—ორ ყანწ ღვინოს მიიღებს, ღვინოს დაქცევა არ მოელის, ხოლო მშენებელთა კავშირის კი რა მოგახსენოთ, ასეთი საქმის მწარმოებლის ხელში შეიძლება კიდეც დაიქცეს!

ახალი აღმოჩენა!

მეცნიერების ახალი აღმოჩენა—მერე სად? ზესტაფონში, როგორც „კო-ნი-კო“ გვატყობინებს:

„ზესტაფონში საგანგებო კომისიის რწმუნებულს ამხ. კ. მიქაუტაძეს ამ ბოლო დროს დასჩემდა ნერვიულობა და გულის ღონება. ადგილობრივმა მეცნიერებმა უკვე დიაგნოზიც დასვეს. აღმოაჩინეს, ქერათმიანი ბაცილა“.

უკანასკნელი ცნობებით საშუალებაც აღმოუჩენიათ ამ სენის წინააღმდეგ. მერე სად? იქვე ზესტაფონის ახლო—შორაპანში. კიდევ იტყვიან თითქო ზესტაფონს შორაპანიც რჩებოდეს უკან!



ბოთლი და ჩანგალი

ვინ მოიგონა ბოთლი და ჩანგალი?

— არ ვიცით!

რატომ მოიგონა?

— არ [illegible]ით,—არა, [illegible]ვაცრავად,— [illegible]არ [illegible]იცოდით და ეხლა ვიცით:

ბოთლი მიტომაა მოგონილი, რომ პჩ.-ს ანგარანის გამგე სემილეტკის „პროვოდებზე" ბესელიამ თავში ჩაარტყას გვასალიას, ხოლო ჩანგალი კიდიი მიტომ მოუგონიათ, რომ იგი გვასალიამ თავში ჩაარჭოს ბესელიას.

დაილოცოს მათი კურთხეული მარჯვენა და კიდევ უფრო კურთხეული გოგრა, რომელიც ბოთლის ჭიქასა და ჩანგლის რკინაზე უფრო მაგარი აღმოჩნდა.

საყუდელი.

რიგში მდგარი

საო შეხვიებით ასეთ გძელ კუდს?

— არ გეგონოთ კოოპერატივში, [illegible]ან ზოგიერთ კოოპერატივში ვი[illegible]რთხათა [illegible]ებიც კმარა.

ასეთ კუდს ყოველდღე ნახავთ [illegible]ვადმყოფებისას რკინის-გზის მთავარ [illegible]ბულატორიაში.

რით შეიძლება ამგვარი კუდის შე[illegible]ოკლება?

— მხოლოდ საექიმო შტატის გაგ[illegible]ძელებით!

ასე ფიქრობს ტარტაროზი და... შეიძლება რკინის-გზის სამმართველოც დაეთანხმოს მას.

ობოლი ნაძვი.

ქალი ჩადრში

ვერ იცნობთ ამ მანდილოსანს?

საიდანაა იგი:

— არაბეთიდან თუ სპარსეთიდან?

ნურც ასე შორს წაბრძანდებით, ყოველ პარასკეობას ამგვარათ პირაკრულ მანდილოსნებს ხონშიაც ბევრს ნახავთ.

საკვირველია:

საბჭოთა ხელისუფლებამ ქალებს ყველგან და ხონშიც ბევრი უუფლებობა ჩამოხადა, ხოლო ამ ჩადრის ჩამოხდას დღემდე არაფერი ეშველა.

არ ვარგა!

ბაბაიკა.

მელიას კუდი იწვის

ვიღასია ეს კუდი, რომელიც იწვის!

— ნიგვზიანელი კულაკების, რომელთაც ამასწინათ „ტარტაროზში" გლეხკორმა ხუშტურმა მისცხო.

— აეწვათ კუდი კულაკებს! მით უკეთესი, გთხოვთ ცეცხლის მქრობ რაზმს არ გამოუძახოთ:—დასაწვავი უნდა დაიწვას.

—ი.

ლაგამი

ს. წულუკიძის ქუჩაზე № 9 სახლი ეკუთვნის ვერა ჟუკისას. მასვე ეკუთვნის მიმართვა მდგურებისადმი:

— ნახალი, სოვეტსკი ზვერ, მუქთა-მჭამლებო!

მუქთად რას უჭამენ ჟუკის ქალს არ ვიცით, ხოლო იგივე მდგმურები დიდი ხალისით მუქთად უგზავნიან მას ლაგამს—იქაებ ეშველოს რამე.

4 მდგმური.

მთვრალი რკინისგზელი

ეს გახლავთ ერთი იმ მემანქანეთაგანი, რომელიც ხშირად თბილისის დიპო-ს შენობაში—ოთახ „ბრეხალოვკაში" მთვრალები იყრიან თავს საქმის დროს.

სად მოთავსდება ასეთი მემანქანე?

მათი მოთავსებით შავი დაფაც გაწვირიანებულია, გაასუფთავეთ!

დ. ლანირელი.

400 მანეთი

სულ ამდენი აღმოაჩნდა შემოჭმული სად. წნორის წყლის უფროს მუშას, რომელიც ამ ფულით ქეიფობდა.

ეს კაცი გადაიყვანეს აქედან, მაგრამ რა ქნან იმ მუშებმა, რომელთაც მან სამი-ოთხი თუმანი შეუჭამა?

ადმინისტრაციას ქე „უქნია": მეორე ადგილას გადაოყვანია იგი, რადგან ძველ ადგილზე ალბათ შესაქმელი აღარაფერი იყო, მაგრამ მუშებმა რა ქნან?

იქნებ ეს საქმეც მოაგვაროს ადმინისტრაციამ.

ინჟექტორი.

ნავი

აი, ამ ნავით თუ შესცურდებით და მონახავთ რამოდენიმე მარცვალ ლობიოს სად. ზესტაფონის სამორიგეო ოთახთან არსებულ სასადილოში.

ვისთვის, ან რისთვისაა საჭირო ასეთი სასადილო?

ჩვენც ვკითხულობთ, მაგრამ... ვნახოთ ზესტაფონის სადგურის უფროსი რა პასუხს მოგვცემს!

ოტელო.



ქუთაისის მეწალეები

კამათელს თამაშობენ

ᲐᲥᲕᲔᲜ ᲜᲣ ᲒᲕᲝᲜᲘᲡᲗ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ
ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲠᲕᲐᲛᲓᲘ.

ᲐᲠ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ "ᲗᲘᲒᲔᲠᲕᲐᲚᲘ" ᲗᲘᲒᲓᲐᲠᲕᲐ "ᲗᲘᲒᲔᲠᲒᲕᲐᲚᲘᲡ" ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐ, ᲐᲮᲚ ᲠᲝᲛ

ᲣᲙᲕᲔ ᲓᲠᲝᲐ ᲘᲖᲠᲣᲮᲝᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲘᲕᲐᲚᲖᲔ.

ᲒᲐᲖ. "ᲗᲣᲗᲣ"-ᲖᲔ,

ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲭᲕᲠᲐ

ᲠᲘᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲫᲘᲚᲔᲚᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲜ ᲛᲝᲛᲧᲕᲔᲑᲐ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲣᲚᲘ ᲜᲐᲚᲘ

„ᲢᲐᲠᲢᲐᲠᲝᲖᲘᲗ"

ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ: ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲘᲠᲘ № 1773.

ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲗ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲚᲐᲓ.

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე



№ 38 | ქვირა, 28 თებერვალი, 1926 წელი. | № 38



მოგონებანი

ვერ იგონებთ—თქვენ ამ სახეს?
ნუთუ ვერ ცნობთ თქვენ ამ
გმირსა?
ან თუ გახსოვს, რომ ამბობდენ:
— „ყოველივე ჩვენებრ სტირსა“?

რათ ამბობდენ, რომ ტიროდენ
რისგან იყო მწუხარება?
მუშას და გლეხს ზურგზედ აჯდა
თვითმპყრობელთა მთელი კრება!

ალბათ გახსოვთ, ამ კრებაში
მეთაურათ თუ ვინ იყო?
— სისხლის მსმელი და ჯალათი
თვით კრეტინი მეფე—ნიკო!

ტახტზე იჯდა ნიკოლოზი,
გალაყებულ თავის ტვინით—
— მარჯვნივ უჯდა მას ალისა,
მარცხნივ კიდევ რასპუტინი.

და ქვეყანას წარმართავდა
ამ ნაგაზთა სრული კრება:
— ცალ-ცალკე და ყველა ერთად
იყო დიდი ბოროტება!

აბა, შეხეთ ამ ქალბატონს
გადაავლეთ თქვენი თვალი:
— ა, სწორეთ ეს ბრძანდებოდა
თვით ალისა დედოფალი.

წამწამები „წმინდანს“ უგავს
მეძავია ნამუსითა:
— თავს ირთობდა კუროებით:
ხან ნემეცით, ხან რუსითა.—

აი, აქვე „წმინდა მამა“
უწმინდანეს ნახავთ ვერსად—
ამათ ხელში თვით რუსეთი
ღირდა მხოლოდ ერთ ალირსად.

რასპუტინი უბრძანებდა,
და ალისა დეკრეტს სწერდა,
ხოლო ამათ ვერაგობას
ნიკოლოზი ხელს აწერდა.

თუ რა იყო ეს ბრძანება
შესაცნობათ არ არს რთული:
— წინააღმდეგ მუშა-გლეხის
იგი იყო მიმართული!

და ბრძანება ეს მზაკვრული
ქალაქიდან სოფლად ჭრიდა:
და ბრძანებას ამსრულები
იარაღიც ხომ უნდოდა?

ხო ოა ასით „იარაღთა“
რიცხვი იყო არც თუ მცირე:
— ღმერთო მათი ვერაგობა
შეიეედრე და შეიწირე!

პირველი რიგში მითის ტახტი—
შავთა ყვავთა გარემოცვით:
— ამაგრებდა მტარვალობას
პატრიარქი „წმინდა ლოცვით“.
ა, ეს ყვავი აქ, რომ არის
არ ბრძანდება დიდათ უცხო:
— მან თვითმპყრობელ მეფის
ტახტსაც
ლოცვა ბევრი გამოუცხო.

ღვთის სახელით ასაღებდა
იგი მეფის ვერაგობას,
საქმით—ძმათა გამყიდველნი,
ფიცულობდენ ქრისტეს ძმობას.

და ამ მსუნაგ ავაზაკებს
ფუთობით და ორა მისხლით—
მრავალთა აქვთ და ქცევი
მუშისა და გლეხის სისხლი.

საეხური ამა კიბის
ეშვებოდა ქვევით, ქვევით...
— დროს ნუ ვკარგავთ ამა გმირის
ჩვენ საქმეთა გამორკვევით.

ბოქაული—უკაცრავად—
პრისტავია პაგონებით:
— ატარებდა მეფის კანონს
მაოოახების უხვი ცემით.

— ციც! და სჯობდა გაჩუმება,
მოგეხარა უნდა წელი:
— ესეც გაქრა, ეს ყმაწვილი,
როგორც თოვლი შარშანდელი!

პრისტავს შემდეგ მამასახლისს
ჯაჭვს უქებდენ გრძელსა ფრიად:

— დამიხედეთ ამის „ფართრეთს“
რა ნოჟი გადაკვრია.

ბიჭი იყო და, რა ბიჭი—
და ამა ბიჭს ჯაჭვიც ქონდა:
— გლეხთა ბედი, ვით ხელეჩო
ფაქონდა და გამოქონდა!

და რა უყოთ—ბინძურ ხელით
თუ ესეც კი გლეხებს სთლიდა?
— ანგარიშში არ ციდებოდა—
მეტს თავისკენ მიითლიდა.

გაჰქრა მეფე, რასპუტინი,
პატრიარქი და ალისა:
— გული მუშის და გლეხობის
იმედებით გახალისდა.

მაგრამ,—ცოტა მოითმინეთ,
ბოდიშს იხდის ტარტაროზი:
— იმ დროს, იმ ჟამს მუშა და
გლეხს
ჩაუარდათ ნაცრათ კოვზი.

ნიკოლოზი—აღარ იყო,
მაგრამ ცოტას თუ გვადროებთ—
მოგახსენებთ—მასზე კარგი
არ ყოფილა არც თუ ნოე.

ჩვენი ნოე, რამიშვილი,
დაყიალობს ქე, რომ პარიზს:
უპრაგონოთ ეტანება
მინისტრობის მაღალ ხარისხს.

ეს ოაოჯდა შემდიჯ ზორგზე
მუშა და გლეხს გაწამებულს:
და ვხედავდით გლეხთა ზურგზე
ნოესა და იმის კრებულს.

ამ კრებულის მოსაძებნათ
შორს ნუ წახვალთ, დიდი ვადით:

— ჰ, აქ გახლავთ თავმოყრილი
ნოეს დიდი „ატრიადი“.

და ბიჭები, რა ბიჭები—
ზოგი იქით, ზოგი აქით:
— ზურგს სთელავდენ მუშებისას
წვრილ-ყელრან „აზიაცკით“!

ფული ამათ, ჭამა ამათ,
და ქონებაც მათ იმდენი,
რომ... საზღაპროთ სუქდებოდენ
„ატრიადის“ რაინდები!

მაგრამ მარტვა მათ-ამარა
ვინ მოსწყვეტდა ლხენის იას?
სწორედ მიტომ—მაშველ ძალათ
მოუხმობდენ ძველ გვარდიას.

აბა, შეხეთ მის სურათსაც—
როგორ ამკობს იარაღი!
— უკან თოფი, წინ ხანჯალი
და შუბლზედაც სისხლის დაღი.

მუშა, გლეხი, კაცი, ქალი
ქართველი თუ სხვებიც ყველა:
— ამ ბატონმა—წვირიანი
თავის ფეხით გადათელა!

გადათელა, მაგრამ იგიც
არ დაიდნდვეს, გადათელეს:
— და ბინძური ორფეხები
გაატანეს მღვრია ღელეს.

აბა, დახეთ თქვენ ამ სურათს:
— რა „პარტრეტი“, რა სახეა?
— დღეს ა, ამა რაინდთაგან
ჩვენში ალარც ნასახია!

ნიკოლოზი, მენშევიკი
გვარდიელი, თითონ ნოე—
საქართველოს მშრომელებმა
გადისროლეს, გაოათოიოეს.

და შესრულდა ხუთი წელი
ეს რომ მოხდა—იმ დღეს აქეთ:
— საქართველო ეხლანდელი
თქვენი ორივ თვალით ნახეთ:

— საბჭოთა სოფელს დახედეთ
მიღწევა—რამოდენაა:
ყოველგვარ — ქოხ-სამკითხველო
კოოპერატივი, სკოლაა!

გლეხს ალარავინ აწუხებს,
არც ყმობს, არც ებატონება—
თავისუფლებას შეხარის
დღეს მისი გრძნობა—გონება.

ახლა ქალაქსაც დახედეთ—
ყოველგან—შრომა გუგუნებს,
(ალბათ არ მოსწონს ყველა ეს
დღეს მენშევიკურ უგნურებს)!

ქარხნის პატრონი მუშაა,
ისვეა—ქვეყნის ბატონი,

მიტომ დაღვარა მან სისხლი
მტრებთან ბრძოლაში ამდენი!

მუშა და გლეხი—ორივე
დღეს მთების ლაღი ორბია:
— გული გულს, სოლო ხელებიც
ერთმანეთს გადაჭდობია.

და გადაჭდობილ ხელებში
დროშა უჭირავთ ძლევისა:
— ვიღაა აწი მომრევი
ამ ორ ბუმბერაზ მდევისა!..

ია.

ᲠᲝᲡ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲡ

(რომანსი).

როს ფეხსაცმელებს
ავხედ-დავხედე,
„მეჩისტესაკენ“
ვქენი მე პირი.
იმან გაუსვა
და გამოუსვა,
და მე მივეცი
მას დანაპირი...
აბაზს ჯიბეში
ენახა ბინა.
მაგრად ჩაარჭო
შავ ჩოთქში ჩოთქი:
მე გზას გაუდექ,
და ბატინკები
მიეკრიალებდენ,
რაღაცას მოთქმით...
დღე იყო მშრალი,
როგორც ივლისში.
ავტომობილებს
მოქონდათ მტვერი.
წინ რუსთაველის
იყო გამზირი
და იმას იქით
დაღმართი ელრის..
მზე მამადავითს
ადგა გუშაგათ,
როდისაც დარჩა
გამზირი უკან.
„ზემელთან“ ალთქმულ
ვაგონის ცდაში
ესინჯავდით ყველა
მუშკოოპის დუქანს.
იყო ვაგონი.

იყო შეტევა..
და ფეხსაცმელებს
დაეტყო დაღი....
ისეშ ვიტრინა,
მზე მამადავითს
ვიტრინას იქით—
სუბტროპიკული
ბათომის ბაღი....
ისევ რონოდა,
და ალყა მკაცრი...
დე, იყოს ცრემლი!..
გაფრინდა ჩიტი.
ვიღაც დედაკაცს
თან წაიყვანა
გოგონა სხვისი...
მიჭრის ვაგონი
ვაგონიანი,
თან უიღბლონი
მისდევენ ფიქრით...
ჩაყურყუმალდა
მზე ბაქაყივით,
მამადავითის
ოქროს მთის იქით...
მიქრის. [illegible]ოდა
და დგება ღრუბად.
გზა [illegible]ჩრათ
ურმებით გლოხებს...
გასწი მერანო
მუდამ ერთგულო!..
ისევ დიდებ
საკუთარ ფეხებს!..
მიჭრის მერანი,
გარშემო ნისლი,
გარშემო ნისლი
და რუხი ფეხი.
კირკა. მუშკოოპი.
და მარცხათ „ზაკტპო“,
და ბატინკებზე
არშინი მტვერი...
ისევ „მეჩისტეს“
ერგო აბაზი..
მოვალ და უკან
ტეხს ვიღაც რუსულს...
ფეხსაცმელები
მორწყო „დეორნიკმა“
და თქვა, კამისარს
მიმართეთ, თუ გსურთ...
მიმართეთ, თუ გსურთ...
— არის ბრძანება.—
ნუ გინდათ ღილვა,
ნუ გინდათ ბრაზი!..
სასტიკ კამისარს
მე არ ვესტუმრე,
და კვლავ „მეჩისტეს“
ერგო აბაზი!..

სინტო.

ჩემი გასაჭირი

ასე მახსოვს,—წინად ერთი თუ ორი პრობლემა არსებობდა.

ეხლა კი ისე გამრავლდენ, რომ აღარ ვიცი, რა აღარაა პრობლემა: ნახშირის, მაკრატელის, მატყლის დამზადება, პურის, სოცდაზღვევის, სიმინდის... ერთი სიტყვით, რა ჩამოთვლის ყველას!

ყვეულაფერი, რაც მრავლდება, რა თქმა უნდა მახარებს.

მაგრამ ნამეტანი გამრავლებაც, სახიფათოა; მეშინია: ვაი, თუ ველარ დავტიოთ.

—:—

— როგორ არ გრცხვენია,—მითხრა ერთმა მეგობარმა,—საქმიან ქალალდებს ძველ გაზეთებში ახვევ და ასე დაათრევ. ვინმე, რომ შეგხვდეს, ასე ეგონება გამოცვლილ საცვლებს მოათრევ აბანოდან. იყიდე ერთი

პორტფელი; „ვიდიც“ მოგეცემა და შენთან გავლაც არავის შერცხვება.

რჩევა ჭკუაში დამიჯდა და ვიყიდე.

იმ დღეს ერთი გზობა ზედმეტად ჩავიარე პროსპექტზე და შევნიშნე, რომ მართლაც უფრო ხალისიანად მიკრავდენ თავს.

— ესეც შენი პორტფელის პრობლემა!—გავიფიქრე მე—ხანდიხან ტყავსაც შეუძლია ცოტა ბედნიერება მაინც მომიტანოს!

სახლში, რომ მივედი, ბავშებს ისე ეუცხოვათ და გაეხარდათ, რომ ხან ერთი ათრევდა და აბურთავებდა, და ხან მეორე. ბოლოს შევატყვე, რომ გლახათ იყო საქმე, მამასისხლად ნაყიდ პორტფელს დამისევდენ და აუკრძალე ბავშებს მისი თრევა:

— არ შეიძლება შვილებო, თავი დაანებეთ. შიგ პრობლემა ზის, თითზე გიკბენთ.

უნცროსმა, ალბათ, წარმოიდგინა, რომ დათვი იყო, ან მგელი და უშვა ხელი. უფროსი კი უფრო ჯიუტი გამოდგა და მთელ[illegible] დღეები ტიროდა და ბღავოდა:

— პრობლემა მინდა! პრობლემა მინდა!

—:—

— რა კარგი გიქნია პორტფელი რომ გიყიდია!—სიხარულით შემეგება ოგივე მეგობარი,—აი ეხლა კაცს დაემსგავსე, ნამდვილი ევროპიელი ხარ.



სიამოვნებისაგან გავიღიმე და თავმომწონეთ ხელი გადვისვი ულვაშებზე.

— აი, ეგ კი არ მომწონს,—მითხრა მან,—მეხუთე საუკუნეში ხომ არ ცხოვრობთ? რათ გინდა ულვაშები, რომ მოგიშვია? ეს აზიელობაა და სხვა არაფერი. მეგო-

ბრულად გირჩევ, გაიპარსო... შეხედე, ყველა ულვაშგაპარსული დადის.

მისი პირველი რჩევა სასარგებლო გამოდგა და ვიფიქრე, არც ეხლა მირჩევდა ურიგოს-მეთქი. ბევრი აღარ



ვიცადე, შევდგი თავი პირველ სადალაქოში და შევიპარსე ულვაში.

ცოტა კი მეოცა, როცა სარკეში უყურებდი ჩემს სახეს, მაგრამ რაღას ვიზამდი და შინისკენ გზას გაუდექი.

მივაბიჯებ და ვგრძნობ, რომ რაღაც მაკლია სახეზე, თითქოს მჩატეთაც ვარ. ყველა, ვინც შემხვდავს, ასე მგონია საყვედურს მეუბნება—რაო მოიპარსე ულვაში.

და მალე დავრწმუნდი, რომ ყველაზე უფრო საჭირბოროტო ულვაშების პრობლემა ყოფილა.

ერთ მედუქნესაგან ნისიათ მიმქონდა ყოველთვის პური, როცა სამუშაოდან გავუვლიდი.

— აბა, ესეც მიამატე ნისიას,—უთხარი, როცა ამიწონა და ხელში მომცა.

მედუქნემ გაკვირვებით შემომხედა.

— უკაცრავად, მე თქვენ ვერ გიცნობთ!— მითხრა მან და ხელიდგან გამომაცალა პური.

— ერთმა მეგობარმა გამაბრიყვა, ღიმილით უთხარი მას, ულვაშები გამაპარსია, თორემ მე იგივე კაცი ვარ!

— მაგას ვერ დაგიჯერებ, ჯიუტობდა მედუქნე, ის ასეთ სისულელეს არ იზამდა, დარბაისელი კაცი იყო. უცნობებს კი ნისიათ ვერ მივცემთ.

რამდენი არ ვუმტკიცე, არაფერი გამივიდა და უპუროთ წავედი შინ.

ვინ გნიბავთ? თავაზიანათ მკითხა ცოლმა, როცა დაგაკაკუნე და კარები გამიღო.

— ვერ მიცანი, თუ როგორაა შენი საქმე? უკვე გაჯავრებით მივმართე ცოლს და ოთახში შესვლა დავაპირე.

ჩემს ძალადობაზე ქალმა კივილი გააბა, შევარდა ოთახში და კარები გამოიკეტა.

ქალის კივილზე მოცვივდენ მეზობლები და მალე ჩემი ბინის წინ ქუჩაში ბრბომ მოიყარა თავი.

ვხედავ, ცუდათ წავიდა საქმე, სამოსუდის შემეშინდა. დავტრიალდი გარშემორტყმულ ბრბოში და დავიწყე მტკიცება, რომ იგივე კაცი ვიყავი, მხოლოდ გავბრიყვდი და ამ ნახევარი საათის წინ გავიპარსე ულვაშები.

თითქმის დამიჯერეს კიდეც, მაგრამ ამ დროს ვიღაც მურტალმა იყვირა:

— ქურდია ვიღაც! არ დაუჯეროთ, დაჭარით მაგას!

ეს ითქვა, თუ არა, მომესია ამოდენა ხალხი და დამატრიალეს ჯარასვით. ვგრძნობდი: სიკვდილი მიახლოვდებოდა და მომენატრა თვალი მომეევლო ჩემი ბინის ფანჯრებისათვის. უკანასკნელად მინდოდა დამენახა ბავშები მაინც. ბავშების მაგიერ კი ფანჯარასთან დავინახე ცოლი, რომელიც კმაყოფილებით იღიმებოდა და, ალბათ, უხაროდა, რომ გადაურჩა ავაზაკს.

—:—

არ ვიცი შემდეგ რა მოხდა, მხოლოდ როცა თვალი გავახილე, ჩემს ოთახში ლოგინზე ვეგდე და დამტიროდა ცოლი.

— ჩემი ბრალი არაა, ვერ გიცანი. რა ქენი ეგ?

— ულვაშების პრობლემას ვარკვევდი,—კვნესით მიუგე მე,—ძალიან სახიფათო ყოფილა.

—:—

პრობლემები შემოდგომის სოკოსავით გამრავლდენ პრობლემაც მიუმატე.

და მე მგონია არაფერი დაშავდება იმით, თუ სხვებს ეს ახალის გამოგონება, თქვენთვის მომინდვია.

დალი.

მენშევიკთა გვარდიელი,



რომლის ერთი ფეხედვაც... სიცილს იწვევდა.

ლევარსი როსროსაძე

ამბავი, რომელიც უნდა მოუთხროთ მკითხველს, არის მეტად უმნიშვნელო და სრულიად ჩვეულებრივი.

მაგრამ, მიუხედავად აიმისა, მაინც საჭიროდ ესცანით მისი გაცნობა მკითხველისათვის. ეს იმიტომ, რომ: ამბავი ეხება ჩვენ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რომლის ხუთი წლის თავი სამი დღეა რაც გადავიხადეთ...

კიდევ იმიტომ, რომ: ოცდაერთი წლიდან, ე. ი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა მოხდა ლევარსის ცხოვრებაში ისეთი ცვლილება. რამაც ძირიან-ფესვიანად შესცვალა ლევარსი და მთელი მისი ცხოვრება.

ამგვარად: საქართველოს და ლევარსის ცხოვრებაში ერთსა და იმავე დროს ხდება გადატრიალება. ეს გარემოება ბედისწერას არავინ მიაწეროს

ერთის ცვლილება მეორეს ცვლილებასაც იწვევს. ეს ბუნების კანონია.

საქართველოს გასაბჭოებამ, ე. ი. საქართველოს ისტორიაში პოლიტიკურ ცვლილებამ, თავისი გავლენა იქონია ყველაფერზე და ყველაზე...

და, რასაკვირველია, ლევარსიზედაც.

ეხლა კი ნება გვიბოძეთ გიამბოთ... მაგრამ რაღა ჩვენ გიამბოთ,—წაიკითხეთ ლევარსის დღიური. რომელსაც აქვე ვათავსებთ:

ჩემი დღიური*)

სამშაბათი

...მდა... როგორც სჩანს ომი არის... რა უნდა უყოს კაცმა ახლა ამ ბაღნებს!? ყურებ ასაგლეჯია ყველა... მეფე გადმოაგდეს... ქვეყანას ჩვენ ვეპატრონებითო,—და ახლა კი ძაღლსა და კატასავით გადაეკიდენ ერთმანეთს.

თუმცაღა ცხრაას ხუთს მერე, მაგათი არაფერი მრწამს, მარა ამ ჟორდანიას მთავრობას რომ თიფლისი დაუტოვებია,—ეს კი ვერ უქნია კაი საქმე?!

ყველა ომში მიდის...

ახლა სჭირია შველა...

უწმიოდ ვერაფერს გავხდებით.

ოთხშაბათი

ყველაფერი დაგვირიგეს სოფელში.

— რაც იარაღი კიდევ გესაჭიროებათ, ოზურგეთში ან ნატანებში მიიღებთ—ასე გამოგვიცხადეს.

სახლში დავბრუნდი გადასილაღებული.

ედუკი და დედა შემომეხვიენ.

— მიდიხარ?.. გვტოვებ?—

— ღრინი არ დაბერეთ... რა დროს ცრემლია... სამშობლო გასაჭირშია... ჩემს ძალ-ღონეს თხოულობს,—მეც მივდივარ... დავბრუნდები გამარჯვებით.. ისე არ წავხდები, რომ თითო-თითო საკაბე არ მოგიტანო თქვენ... „ვაინაა“, და ნუ თუ ამას ვერ წავაწყდები სადმე?!

— კი მარა, შენ რომ რაღე დაგემართოს ჩხუბში?—მეკითხებოდა ედუკი.

— გათხოვდი.

— მაგი მეც კი ვიცი; აბა, უქმროდ ხომ არ დავბერდები, მარა მე იმას გეკითხები...

ამდროს ამხანაგებმა გამომიარეს და მე წავედ?

საღამო

ნატანებში ვართ.

მე ცხენი მყავს; მტერს უფრო ადვილად დავეწევი.

სადგურის ბოლოში უკანასკნელ ხაზზე რამოდენიმე საბარგო ვაგონები სდგას. ლიანდაგი მტვრისაგან მიწასთან არის გასწორებული: ალბად ეს ვაგონები დიდი ხანია აქ სდგანან.



ჩემი ცხენი ამ ვაგონებზე მივაბი და ამხანაგებს ძებნა დავუწყე.

ჩვენს გვარდიელებს ლიანდაგის გადაღმა ცეცხლი გაეჩაღებინათ.

— ჯერ-ჯერობით კი ვართ წაგებული, მაგრამ გული არ გაიტეხოთ,—ბოლო კი ჩვენია.—ამბობდა ვიღაც მთავრობის წარმომადგენელი.

— მართლაც, როგორც სჩანს ბოლოკია ჩვენი, სხვა ყველაფერი სიკეთე კი მათი—ჩვენი მტრების.—დავუმატე მე, როცა მთავრობის კაცი წავიდა.

დილა. ხუთშაბათი

— სულოცოდვილო, ისე შემცივდა, რომ ახლა ქი ვიტყვი უარს წასვლაზე... უკეთესი არ იქნებოდა, რომ ცეცხლთან ვიყო მიფიცხებული ეხლა?—

ასე ვფიქრობდი, როცა დილით გამოგვიცხადეს:

—მოემზადეთ... მივდივართ.

მე ცხენისკენ გავიქეცი.

გამიკვირდა: არც ერთი ვაგონი აღარ დამხვდა.

მივიხედ-მოვიხედე... ნაცნობი მიდამო... მიეხდი; ვაგონები წაიყვანეს, მაგრამ ჩემი ცხენი?

ცეცხლმოდებული მივარდი სადგურში და რომელიც პირველად შემხვდა, მას წაუჭირე ყლორჭში ხელი:

— იქ ცხენი მყავდა მიბმული მატარებელზე,—და ჩქარა მითხარი: სად არის ჩემი ცხენი?

*) სამხედრო პირებმა ხშირად იციან დღიურის წერა. ალბად ლევარსიც ბუნებით სამხედრო პიროვნებად იყო დაბადებული, მაგრამ საქართველო ისეთი პატარა ქვეყანაა და აქ, აბა, სად იშოვიდა გასაქანს?! ჯ.

— ალბად მატარებელი ატარებს... ის ვაგონები ჩვენ უკვე გავამგზავრეთ...

—:—

საწყალი ჩიმი ცხენი. ალბად ერთხანს, სანამ ნელა მიდიოდა მატარებელი, ცოცხალი მისდევდა ძუნძულით... მაგრამ როცა მატარებელი სიჩქარეს მოუმატებდა,—იგი ულონოდ დაეცემოდა, ჩამოეკიდებოდა, აღვირით აჩორჩიალებდა მას მატარებელი...

მაგრამ... რა დროს ეს არის... მტერი კარზე მოგვადგა...

ოჰხ! კომუნისტებო, თუ ხელში ჩამივარდით, მე ვიცი თქვენი პატივისცემა.

სასიხარულო ამბავი

დღეები დამავიწყდა; არ ვიცი დღეს რა დღეა.

საჯევახოში ვდგევართ დღეს დილის შემდეგ.

გუშინ აიღეს ბოლშევიკებმა ქუთაისი.

ჩვენთან მოვიდა ერთი სამხედრო პირი და გვახარა:

თბილისი ისევ ჩვენებს ჩაუგდიათ ხელში... ჯარი გვყავდა გადამალული... გორს აქეთ კი კომუნისტები არიან... მაგრამ ოსმალეთს უკვე დაუწყია მათთან ომი და ბორჯომიდან აპირებს შეტევას. საწყლები მომწყვდეულნი არიან ეხლა... ინგლისი და საფრანგეთი გვეხვეწება: დაგეხმარებითო, მარა აწი რაღად გვინდა მათი დახმარება, რუსები თხოულობენ,—ფოთის გზით სახლში დაგვაბრუნეთო, მაგრამ ჩვენი მთავრობა არ თანხმდება,—იარაღის დაყრას სთხოვს... ასე რომ საქმე კარგად არის... გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს... გაუმარჯოს მთავრობას...

ყველამ „ვაშა“ შევსძახეთ...

უძინარი ვიყავით და ამ ამბის შემდეგ იმ საღამოს ტკბილად დაგვეძინა...

როცა გამოგვეღვიძა, ჩაქვში ვიყავით...

სროლა ისმოდა...

გავიკითხეთ ამბავი...

თურმე ოსმალეთი ბათომში შემოსულა... კომუნისტებს ვინ-ღა ჩივა ეხლა... მთავრობა გაპარულა...

კარგი დაგემართოს!

—:—

აქ თავდება ლევარსის დღიური. ალბად, როცა დაინახა, რომ „დემოკრატიული მთავრობა“ სტამბოლისაკენ მიეჩქარებოდა, საპიროდ აღარ სცნო დღურის გაგრძელება.

ამ ტრიკონების დამწერიც ჯარში მსახურებდა მაშინ.

ნატნებიდან (მაშინ რკინის-გზა არ იყო ნატანებ-ოზურგეთს შუა) ოზურგეთისაკენ ფეხით გაუდექით. სამოდე ამხანაგმა ერთად.

მერიის ახლოს დავეწეთ სოფლელ გვარდიელებს.

აჰა მათი საუბარიც:

— არა, ძმაო, ვითომდა ბოლშევიკი და მენშევიკი რამ გაარიგა? ორივე ძმები არ არიან მე და სიპიტოსავით?

— ღვთის წყრომაა და მეტი არაფერი.

— არა, ძმავ, ძალიან მაგარი ბიჭი ვარ, მარა იგი რაცხა პულემიტია, რომ ატიკტიკდა, კინალამ წავხდი კაცი...

— ვინ იცის: შიშით ხომ არაფერი დაგმარითია?— დაუძახა ვიღაცამ.

— არც გასაკვირია, კუტილავ, ერთი რომ მოგხლეს,— მშვიდობით მერე შენი ზიარი ყანა... ჭინჭარი ხომ არ ხარ კაცი, რომ ხელახლა ამოიყარო...

— რომ მცოდნოდა: აგინი გეიმარჯვებდა, ამდენხანს ჩევიწერებოდი ბოლშევიკების პარტიაში.

—აბა რა, კაცო... ვის ჰქონდა ამის მოსაზრება და ქკუა...

— კაცო, ვიღაცამ ბოხი ხმით დაიწყო ლაპარაკი.

— რა იყო ლევარსი—ყველა მას შეაშტერდა...

(აი აქ გავიცანი და ვნახე პირველად მე ლევარსი როზროხაძე, რომელმაც ისე დამაინტერესა, რომ თავს ვიდე მისი ცხოვრების აღწერა).

— მე ქე ვიცოდი, რომ (განაგრძო ლევარსიმ) ჩვენ ვერაფერს გავხდებოდით რუსეთთან. ეს დასაღუპავი რუსები იმდენია, რომ, რაღა გინდა შენ: მგონი ჩიხელიც არ იქნება იმდენი... კაცო, ცხრაას ხუთში, მახსოვს, ნასაკირალზე რომ ხუთი რუსი ჩემი ხელით მოვკალი და ეს ჩემი თვალით დავინახე, მერე, როცა ხელწიფემ გაიმარჯვა და ისევ ზურგზე შეგვაჯდა,—აი ხუთი რუსი მიგ კაკალ ბაზარში შემხვდა ოზურგეთში. თურმე ქი არ გაცოცხლებულან?!! ჰო-და ამის შემდეგ, გამოდი და ებრძოლე შენ ასეთ ხალხს?! არა, ძმაო, ჩვენი მთავრობა ვერ იყო ხეირიანი... ამდენხანს უნდა წასულიყო, სადაც ახლა წავიდა...

ზმუკი.



ფინეთ. რა იყო საბოტაჟიო:

— გაუმარჯოს დემოკრატიულ ნაციონალისტებს!

— ხაშვადო ზეძლიბისა და ფლარიბეს გადაბა ბაგშირა!



— გლეხთა ჩათრევა არჩევნებში!



— ახლო მახეებთან!

ლამარა

მინდია
თორღვაი
პირველი) თორღვაის
მეორე)ამხანაგები
მესამე)
ლამარა.
ხორო.
მილიციელი.

I. რესტორანში.

შელამება. მაგიდას უზის მინდია და ოცნებობს. წინ უდგას ცარიელი ღვინის ბოთლი. მეზობელ მაგიდას უსხედან თორღვაი და მისი ამხანაგები.

მინდია. ცხოვრება ვის არ უნდა. ცხოვრება ტკბილია. ჩიტსაც კი უნდის ცხოვრება. ჩიტის გული ნაზია. ჩიტის გული უნდა შევიყვაროთ!..

თორღვაი. მე მიყვარს ჩიტის გული. მე ქათმის გულიც მიყვარს. მე ქათმის ბარკლებიც მიყვარს. განსაკუთრებით, როცა ერბოშია შემწვარი!..

პირველი ამხ. მე ბატის გულიც მიყვარს... კრკიბაც!..

მინდია. ჩიტის გული ნაზია. როგორც კვირტი. მე ჩიტის გული მეცოდება. მე მიყვარს იგი. იგი ნაზია!..

თორღვაი. მეც მიტომ მიყვარს, რომ ნაზია...

მეორე ამხ. ბარკლებიც არა ნაკლებ ნაზია...

მინდია. ყოველ სულდგმულს სიცოცხლე უნდა. ქვასაც კი სურს სიცოცხლე... ბალახსაც... ყვავილსაც... მე ყვავილები მიყვარს!... მე მიყვარს ყვავილები!..

თორღვაი. მეც მიყვარს ყვავილები. მე ყვავილების მაღაზია მაქვს. ზოგიერთ ყვავილს თუმნათ არ შეველევი. ყველას თავისი ფასი აქვს. ყველას თავისი მუშტარი ყავს. მე მიყვარს ყვავილები. მე ყვავილებით ვცხოვრობ, როგორც ფუტკარი.

პირველი ამხ. ყვავილი პირველი დამხმარეა სიყვარულში...

ეხლა რა არის საკვლევი:

— გაფაფარდოს ხალხთა საკრებულო!

— ეხლო ბახებთან!

— წერა-კითხვის უცოდინარ ბლეხთა ჩათრევა!



— ულარიბეს და საშუალო ბლეხთა კავშირი!

მესამე ამხ. უიმისოდ სიყვარულს არავინ დაგიჯერებს!...

მინდია (მიმოიხედავს გარშემო). რა მშვენიერი ღამეა. რა ფერმკრთალია დღეს ეს მთვარე... მთვარე გულია უიმედო შეყვარებულის. იგი სევდითაა სავსე. იგი სავსეა მწუხარებით. ვარსკვლავებიც ცრემლებია ობოლი. მე მესმის მათი საუბარი. მე მესმის მათი ჩივილი. მე მიყვარს ვასკვლავები!..

პირველი ამხ. მეც მიყვარს ვარსკვლავებიც. კონიაკის ბოთლზე ისინი ხარისხს უჩვენებენ. მეც მესმის მათი საუბარი.

მეორე ამხ. მეც მიყვარს ვარსკვლავები. ვარსკვლავი ფარია ჩემი. რომ ეს ვარსკვლავი არა ჩემს გულზე—ყურადღებასაც არავინ მომაქცევდა. მილიციელსაც არ შეეშინდებოდა ჩემი.

თორღვაი. რომ მთვარე და ვარსკვლავები არა—შეყვარებულნიც არ იკლიდენ ქალაქ-გარეთ შუაღამისას, და არც მე მექნებოდა მაშინ საშუალება ჩემი ძალ-ღონის გამოჩენის.

მინდია. ვარსკვლავები სტირიან გულამოსკვნით. ვარსკვლავები უბინაო ბავშვებია. ვარსკვლავები უნდა შეეიყვაროთ!..

თორღვაი ამხანაგებით ჩვენ გვიყვარს ვარსკვლავები (კარების მინის იქით გამოჩნდება **ლამარა**),

მინდია ლამარა!.. ლამარა!..

ლამარა (შემოდის გრეხვით და კეკლუც ღიმილით გადახედავს ვაჟებს).

ვისი იყო ეს ხმა მწუხარე, რომ ასე ულმობელად დაარღვია ჩემი ნაზი გულის სიმშვიდე?..

მინდია. ლამარა, მოდით ჩემთან!.. ლამარა მიყვარხართ!..

ლამარა შენი მაგიდა ღარიბია. შენს წინ ცარიელია ბოთლი დგას, შენი ჯიბეებიც ალბათ, ცარიელია!..

მინდია. ჩემი ბოთლი ცარიელია!.. ჩემი ჯიბეებიც ცარიელია!.. მე არ მიყვარს ფულები.. მე მიყვარს ყვავილები!.. მე მიყვარს ლამარა!..

„ორება და ერთარსება"

რომელთა არსებობა საბჭოთა სინამდვილემ არყოფნის წიალს გადააბარა!

თორლვაი. მეც მიყვარს ლამარა. ჩემი მაგიდა სავსეა. არც ჩემი ჯიბეებია ცარიელი.

მინდია. მე წავალ მთებში. მე ამოვთხრი მიწიან-ფესვიანათ პირველ იას და შენ მოგიტან. იგი ცოცხალი იქნება კიდევ... იასაც სურს სიცოცხლე!..

ლამარა. მე არ მინდა ია მიწვიან-ფესვიანათ. ჩემი ტანისამოსი გაიკსება მიწისაგან და შენ ვერ მიყიდი მე ახალს!..

თორლვაი. ჩემი მაგიდა სავსეა. ჩემი საფულეც სავსეა. ჩემს მაღაზიაში მრავლად არის შენთვის სუფთა ყვავილები. ლამარა აქეთ!..

ლამარა. მე მიყვარს სავსე მაგიდა. (შეუერთდება თორლვაის კამპანიას).

მინდია (მწუხარებით ჩაეხვევა ცარიელ ბოთლს). ჩვენ ობლები ვართ ორივე. ჩვენ ერთმანეთი უნდა შევიყვაროთ!..

(ცოტა ხნის შემდეგ, ლამარა და თორლვაი ქუჩაში გადიან).

მინდია (სევდით) ლამარა!..

ლამარა (მოაძახებს) მე თორლვაი მიყვარს!..

მინდია (მივარდება კარებს და სასოწარკვეთილებით გასძახის სივრცეში)

ლამარა!.. ლამარა!..

(გაიკრება ქუჩაში).

2 პროსპექტზე

ტროტუარი მოსეირნე ხალხით სავსეა. ჩაივლიან ლამარა და თორლვაი. უკან ბღრძიკით მისდევთ მთვრალი მინდია.

მინდია. ლამარა მიყვარხართ!..

ხორო (შემდგარი უბინაო ბავშვებისა, ქურთების გოგოებისა და უფასო წარმოდგენის მოსურნეებისაგან) მინდი მიდი!... მინდი მიდი!..

მინდია (ხოროს) ჩიტის გული ნაზია, როგორც კვერტი. მასაც სიცოცხლე უნდა. მასაც სიყვარული უნდა... ჩიტის გული უნდა შევიყვაროთ!..

ერთი ხოროდან ჩიტი რაა, ჩიტის გული რა იქნება?..

მეორე ხოროდან. იყოს—არარაობას აჯობებს.

მინდია. (ტრაღიკულ ხმით) ლამარა შენ სასტიკი ხარ!.. ლამარა, ჩიტის გული უნდა შევიყვაროთ!..

მილიციელი (წაავლებს მინდიას კისერში ხელს) წადი ვიდეთ კომისარიატში.. იქ შენისთანა ჩიტები ბევრია.

ხორო. (აღტაცებით) მინდი მიდი!.. მინდი მიდი!..

მინდია. მე ყვავილები მიყვარს.. მე ვარსკვლავები მიყვარს!..

მილიციელი. შენ ღვინო უფრო გყვარებია!.. (აღფრთოვანებულ ხოროს თანხლებით მიათრევს მინდიას კომისარიატისაკენ).

სინემატო.

— დროს ატარებს!

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲪᲘ ᲐᲜᲣ ᲡᲕᲘᲠᲘᲡ ᲚᲕᲘᲜᲘᲡ „ᲢᲠᲘᲜᲢᲘᲡ“
ᲒᲐᲛᲒᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲥᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ

— გლეხებს ხვდება!

— ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲘᲡ!

„სეზონის“ ტანსაცმელი

სიზმარიცაა, სიზმარიც...

საუცხოვოთ სცოდნიათ ჭიათურაში სიზმრების ახსნა.

ასე, მაგალითად—„ტინტრა“ გვწერს:—

1. ფერადი ჩითი, ნახო სიზმარში, კარგია—ჭიათურის ქუჩაზე აუცილებლად იხილავთ სამფინგანიდგან პავლე ჩაჩანიძეს ყელზე ბაკეთებულ არშინ-ნახევრიან „გალსტუკით“.
2. იგივე ჩაჩანიძე და **შავი-ქვის** მუშა ნახოთ, ცუდია—შემურულ მუშას, რომ დაინახავს, ჩაჩანიძე—ტიტიკო ნიჟარაძის უსაქმურ პორტფელივით გაიბერება.
3. ტყავი ნახოთ კარგია—მელითონეთა კავშირის პ.-ბ. შდივანს ნიკოლეიშვილს თეატრში აუცილებლად პორტფელით ნახავთ.
4. **მოძრავი** სურათი ენახოთ, კარგია—მედსანშრომის **თანამშრომელს თამარას** სხვადასხვა კავშირებში ნახავთ სამიჯნუროოთ მოფრინავეს.
5. **სიზმარში გვერდები ტკიოდეს**—ერიდე სიცხადეში მუშათა კლუბში წასვლას, თორემ სიზმარი აგიცხადდებათ და სხვ.

წაიკითხა ტარტაროზმა ხსენებული სიზმრების ახსნა **და** გაოცებით იკითხა:—

— **ბოშო**, აწი ამ ქვეყანას სიზმარეთი ჰქვია—თუ რა?

„კტინტრაქამ“ კი უპასუხა:

— არა, გახლავთ ჭიათურა!

რა უჭირთ ჭიათურლებს, ასეთ წარმტაც სიზმრებში!

„ბემუდარებით, ნაზო ბულბულო“...

გორიდან სარაიონო აგრონომები მწარედ მოსთქვამენ:—

„ხუთი სარაიონო აგრონომი—დიდ გაჭირვებას განიცდის, დროზე ჯამაგირს არავინ აძლევს და ეს მაშინ, როდესაც გორის სამაზრო აგრონომს ნ. **კეჩხუაშვილს** ექვსჯერ იმათზე მეტი ჯამაგირი აქვს და ყოველთვის ახერხებს თავისთვის დროზე ჯამაგირის მიღებას“.

კუჩხუაშვილი უფროსია. სიტყვა **უფროსი** „უფროდან იწყება და რა გასაკვირვალია, თუ **უფროსი** უნცროსზე უფრო ადრე იღებს ჯამაგირს?

გარდა ამისა, ხომ მოგეხსენებათ ანდაზა:

— შენი პერანგი შენ ტანთან უფრო ახლოა, სამაზრო აგრონომიც, სამაზრო სალაროსთან უფრო ახლოა. თუმცა... არც ალმასკომის თავმჯდომარეა კეჩხუაშვილისაგან შორს და. ალბათ, გარკვევს, თუ სად მარხია...—

აგრონომთა მუდარა!

რკ.-გზის სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სამტრედიაში

(შარჟი)

ხასწავლებელი ლაბუხუას „რეჩი“: — მე პატენისი — ვერ უთანხმდები წამოთ მულ აზრებისი მით, რომ ჩვენის უფლება ირღვევისი: საბ-ჭოში პარტ-ნი ნასწავლად უნდა ლაპა. რიკი და არ გეგონოსი თქვენ მუშების კრება. გაუმარჯოს ჩვენ დადგენილე-ბისი.

სანადიროთ წასულიყვენ...

„სანადიროთ წასულიყვენ ამირან და ძმანი მისნი“... არა, უკაცრავათ—ფოთის მონადირეთა კავშირის წევრი **ლათიკო მურესიძე** და **პეტრე ცავა.**

„ვერც მოჰკლეს ხარი, ვერც ფური. ვერცა ირემი რქიანი“

მეზობლის ბატებს ესროლეს. ხორცი აქვთ-მარილიანი.

და, როდესაც დაბრუნდნენ ნადირობიდან, „ეპოსანის“ სიტყვით:

„გზაზე შეხვდა ალექსი კუცია. რომელმაც შეა-ჩერა ისინი და მურესიძეს შესჩივლა:

— რა გიქნია შე ოჯახ დაქცეულო, ჩემი ბა-ტები რად დაგისოციაო.

ბოლოს საქმე საჩივარზე, მივიდა, მურესიძეს გადაახდევინეს 15 მანეთი ფულად და ერთი ბატიც „ნატურით“.

ყველაფერში მონადირეთა კავშირია დამნაშავე:— რატო წესდებაში არ აღნიშნავენ. თუ რა დროსაა სეზონი, მეზობლის ბატებზე ნადირობისა?

„ზრდილი“ ადამიანი.

რკინის-გზის სტატისტიკურ კარტოგრაფის განყოფილებაში შრომა მიზანშეწონილათაა განაწილებული. ხოლო მიზანშეუწონლად, არც სკამებს ანაწილებს განყოფილების უფროსი ოკოევი. მუშკორი „ნაკადული“ ამის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის:

„ერთხელ მოვიდა სკამები
სამოცდაორზე რვა ცალი,
არ იცის ვის-დაურიგოს.
ოკოევსა აქვს ცანცალი.

ბოლოს იფიქრა—კაცები.
მაინც არაფერს მარგია—
ავიღებ, ქალებს გადავსცემ,
ის ყველა ჩემთვის კარგია.

და დაიყვირა:—ქალებო,
თქვენ გქონდეთ ყველა სკამები—
ქალებიც ერთად მოვარდენ
მთლად დაიმტვრიეს თავები:“““

ინგლისელებმაც ასე იციან:—ტრამვაიში პირველ საჯდომს ქალს უთმობენ. მისტერ ოკოევსაც. როგორ შეეძლო მოქცეულიყო.—თუ არ ინგლისურათ?

მართალია კოსტია.

უცნაური ჩვეულება ჰქონია ჩაქვის სახალხო მამულის სამნეო დარგის გამგე **კოსტიას.** „მოყვარულის“ სიტყვებით:

„თუ, რომ „ბატონი არ უთხარ,
ის მიგაბრძანებს გარეთა.
აქედგან გამეცალეო!
თანაც ზედ დაგძენს ყვირილით:
— მე შენ დაგითხოვ მალეო!“.

სწორათ მსჯელობს კოსტია:—დათხოვა მალეც შეიძლება . დაყენებაა ძნელი, ხოლო გადაყენება—მთლად ადვილი, განსაკუთრებით ისეთი „ბატონი“-ს. როგორც ...კოსტიაა, რომელსაც „ცა ქუდათ მიაჩნია“. ხოლო ჩაქვის მამული—ქალამნად!

ვინ მოგვასწრებს...

— **ერთი** კაი თვისება თელავის ელექტროსადგურსაც ჰქონია.

„**მხატვარი**“ ასე გვიხატავს ამ სურათს:

„ჩვენი ელექტრონი დღისით იმდენ ძალას ხარ-ჯავს ბურჟუების გასაშუქებლად. რომ ღამე—დაღლილ-დაქანცულს წამ-და-უწუმ ჩასთვლემს ხოლმე და ისვენებს“.

სურათს აკლია ხაზები:—როგორ იცავენ ელექტროსადგურის გადიები მის ძალასა და მოსვენებას? ნანას ხომ მაინც უმღერიან:

დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო.
შენს განათებას მოგვასწრებს ჩვენ“...

ვნახოთ, მართლაც ვინ მოგვასწრებს მის განათებას?

ფიცი



ქალი — შემომფიცე რომ შემირთავ!

ვაჟი — ჩემ ცოლშვილს გეფიცები, რომ აუცილებლათ!

იურიდიული რჩევა-დარიგება

ეითხვა:—პატივცემულო ტარტაროზო!

მწამს, რომ თქვენს წყალობას არ მომაკლებთ და თქვენებურათ ამიხსნით და გამომიყვანთ ამ მდგომარეობიდან, რომელსაც ავწერ:

— შეუცდომელი არავინ არის, მე ადამიანი ვარ და, მაშასადამე-მეც უნდა ჩამედინა შეცდომა.

ეი, შეცდომები ასეთია:

1. შეუგნებლობით და გაჭირვებით იქამდე მივედი, რომ ერთსა და იმავე ღამეს მოვიპარე 5 უღელი ხარი და საჩქაროთ გავყიდე. ვერ მიპოვნეს.

2. ერთ საღამოზე, ქეიფის გათავების შემდეგ, მთვრალი მივდიოდი და შემთხვევით შემომაკვდა ვიღაც გზაში. მე ვერ მნახეს.

3. შემიყვარდა ქალი, შემდეგ შემძულდა. ქალს შვილიც ეყოლა ჩემს ხელში. ჩივილს აპირებენ მშობლები.

4. ერთხელ ტუსაღი გაუშვი, ყასიდად სროლა ავტეხე. ეშმაკობას ვერავინ მიმიხვდა.

ყველა ამ უბედურების შემდეგ მოგახსენებთ ამბ. ტარტაროზო, რომ თვითეული შეცდომა პირველი და უკანასკნელია, რასაც ვაღიარებ დულახდილად.

გთხოვთ—მომცეთ რჩევა-დარიგება: რომელი მუხლის ძალით მეკუთვნის პირობითი სასჯელი ან რა ხასიათისა იქნება იგი?

უბედური უსაქმოძე.

ტარტაროზის პასუხი: 1. თუ მოპარული ხარები ვერ გიპოვნეს—მილიციამ ბოდიში მოიხადოს და საქმე ამით გათავდება. იმ **პირობით**—თუ არავინ გაიგებს—შეგიძლიანთ ძროხების მოპარვაც. ეს იქნება პირობითი სასჯელის მე-13 მუხლი.

2. თუ შენ ვერ გნახეს როცა კაცი შემოგაკვდა შემდეგ—სამართალს სადღა ნახავენ მსაჯულები; სამართალი ხომ შენზე უფრო პატარაა და თანაც ისეთი, რომ:—არც ტაფაზე შეიწვის, არც ხელით დაიჭირება.

ყოველ შემთხვევაში პირობითი სასჯელის მე-17 მუხლი ჰგულისხმობს მოკვლას და არა შემოკვდომას.

3. ქალი შეგყვარებია, შემდეგ შეგძულებია, ბავშიც გყოლია, მხოლოდ მშობლები ჩივილს აპირობენ—რა ეშველება საქმეს? არაფერი—ადექი და ვალი, არა უკაცრავად, ქალი მშობლებს დაუბრუნე, ხოლო სარგებლათ ბავში გაატანე, ჩვენ ვფიქრობთ—მშობლები დაკმაყოფილდებიან, სასამართლოს შეუძლია თქვენი დასჯა იმ **პირობაში**, თუ **პირობას** დადებთ, რომ ყოველ კეთილ შენაძენ ბავშს ბაბუას ან ბებიას მიუგდებ.

4. ტუსაღის გაშვება აკრძალულია, ყასიდათ სროლა დასაშვებია, ხოლო ეშმაკობას თუ ვერავინ მიგიხვდათ, ეს იმიტომ, რომ ხაშურის ადმინისტრაცია „წმინდა ანგელოზებითაა“ სავსე.

ყოველ შემთხვევაში შენ[illegible] დასჯა იმ პირობით შეიძლება თუ ტუსაღს ჩუმათ გაუშვებ და არც განგებ თოფის სროლით შეუკრთობ მოსვენებას ადმინისტრაციას.

სულ ერთი

პატარაა ოთახი საჭირო თელავსა და სანაინში რევიზორების დასასვენებლად, რომელთაც 24 საათი უხდებათ იქით-აქით ხეტიალი.

თუ რევიზორები თავის სამსახურზე გულწრფელად ფიქრობენ, სათანადო სამსახურმაც საჭიროა იფიქროს რევიზორებზე.

ჯიხაიშელი ვანო.

რაზე უნდა ფიქრობდეს

პროფკავშირის წევრი?

მოსამსახურეთა მდგომარეობაზე?

— სრულებითაც არა:

— მოსამსახურე—მდგმურთა შევიწროვებაზე!

ასე ფიქრობს და ასე ექცევა პროფკავშირის წევრი, მემუხრუჭე ფრიდონიძე თავის მუშა მდგმურებს. ანდრეევის ქ.. სახლი № 94.

„გულწრფელნი" მოკავშირენ-



„ცეცხლულ ხაფრანგეთს აყენებ.

სახლი მართალია მისი საკუთრებაა, მაგრამ გინეზაც საკუთრათ მას ეკუთვნის.

ამბობენ,—ვირის აბანო ამ წვირისაგან ანთავისუფლებს ადამიანსო!

ველით მილიციის მსჯავრს.

გრ.დარელი.

ჯანმრთელობის გაუყოფილების

მე-7 აფთიაქის საქმიანობა ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული. ხშირად ერთი უმნიშვნელო წამლის დამზადებას, ორ დღეს უნდება თანამშრომელი.

აი, შრომის ნაყოფიერება. სწორედ ეს არის:—მომაკვდავს წამალი „სულზე მიუსწრობსო".—როგორც სჩანს. მე-7 აფთიაქზე მართლდება.

ცვადრატი.

რაა საჭირო,

რომ „მაგარი" ორატორი შეიქმნე?

— თქვენ გგონიათ სწავლა. ვაჯკაცობა და სხვა ასეთები?

სულაც არა:

— რაც მეტ ღვინოს დალევთ, ენას უფრო მაგრათ ამოიდგამთ!

არ გჯერათ?

კითხეთ ხაშურის მეარტელე ნიკოლეიშვილს. რომელიც დალევს, თუ არა—მაგრათ იგინება სადგურის ბაქანზე.

როგორც ყოველ კარგ საქმეს—მასაც მიმბაძველი გაუჩნდა—მეარტელე ძამოევი.

ეს ყმაწვილები მეარტელეები არიან და მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირებს ზიდავენ. სასურველია თვით. მათაც ვინმე გადაზიდავდეს ხაშურიდან. ვანო.

ს ურ ა მ შ ი.

სადგურზე „ზრდილი" მოლარეა:

— სიტყვა „ავარები" მგზავრებისადმი ჩვეულებრივი მიმართვაა მისთვის.

ერთ მგზავრს უთხრა:

— ვერ გიცანით. თორემ არ გაგლანძღავდითო!

ალბათ, ვერც მგზავრები იცნობენ ამ მოლარეს. თორემ მას მოლარეს აღარ დაუძახებდენ. არამედ იმ სახელს. რომელსაც ერთი ცხოველი ატარებს.

მუდმივი მგზავრი.

სადგურ მცხეთის

მოლარეებს ხახალეიშვილსა და ლოდეიშჩიკოვს რევიზიამ აღმოუჩინა მრავალი ნაკლი და დანაშაული.

დამტკიცებულია— რიგს გარეშე ბილეთების გაყიდვა და სხვ.

რა ეკუთვნის ასეთ მოლარეებს?

ჩვენის აზრით. ურიგო არ იქნება რიგს გარეშე გახიზნონ სალაროდან ასეთი მოლარენი.

კეტლე.



1-ლი კონდრაბატ.: არ გ ებავთ, პუდრი ლორიკანი?

2 ე კონდრ: მაგადგილას ნამყოფი არც პუდრი მინდა არც ღუნი.

თქვენ ნუ გგონიათ, რომ ჯერ კიდევ საკმაო დროა გაზეთის გამოწერამდე.

არ დაგავიწყდეთ, რომ თებერვალი ოცდარვა თებერვალს თავდება, ასე რომ

უკვე დროა იზრუნოთ გაზეთის გამოწერაზე.

გაზ. "მუშა"-ზე,

მარტისათვის ხელისმოწერა

რომელსაც ყოველ კვირას თან მოჰყვება ჩვენი ჟურნალი

„ტარტაროზი"

უკვე დაიწყო,

ქანტორა: პლეხანოვის გამზირი № 117.

არ დარჩეთ მარტში უგაზეთოდ.



მთავლ. № 230. ტირ. 22,000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა ქალაქ ქ. 68.

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი ორი შაური

კვირა, 7 მარტი 1926 წელი.

ბიბიბილიკი

№ 39

რეა მარტი

— ბატონო შენი ჭირიმე,
დამითმე გოგო პატარა!
— აი მანამდე ეშმაკმა
ჯანდაბამდინაც გატარა!

— ბატონო შენი ჭირიმე,
მომე, ე, გოგო ოხერი!
— ყაზახო იქ წაეთრიე
სიდანაც ეხლა მოხველი!

— ბატონო, გოგოს არ მაძლევ,
სინდისის რათ არ გრცხვენია?
— შენც, შენი ვოგოც, ყველანი
გესმის—ყველანი ჩემია?

ასეთი იყო კანონი
„პირველი ღამის უფლების"
და მადა მემამულეთა
„უსაზღვრო თავისუფლების!"

სად გლეხი და, სად უფლება?
სად მებატონე, და სად ყმა?
— სამართალს ვერ იპოვიდით
თუნდ ზღაპრულ ცხრამთას გადაღმა!

II.

— გოგო ფეხები მომფხანე
ხომ იცი თუ ვარ მე ვინა?
ასე ბრ' ძანებდა ძილის დროს
ღაწვებდაცლილი კნეინა.

— გფხან ჩემო დიდო ბატონო"
უპასუხებდა გოგოცა,
და მართლაც ფხანდა ფეხებსა
ფხჩილით შეეძლო როგორცა.

— შე გასაქრობო გომბიო,
ფხჩილი არ გაქვს თუ რა არი?"
გოგონაც ფეხებს ერთგულობს
რადგან იგი ხომ ყმა არი?

მალხაზი გლეხის გოგონა
ყოველ ღამ, ჯერ დილითა
ფეხს ფხანდა ბებერ კნეინას
გამომჭკნარს ბუასილითა.

კანონი ან სამართალი
განა გლეხისთვის ეწერა?
ამბობდენ:—ბატონს ვახლავართ!
გლეხი—წაიღოს მეწყერმა!

III.

— მომწყინდა, რაღაც ეს ძღაბი—
შენ როგორ იტყვი გოგია:
პელაგოს მგონი ამ ჟამად
კაი მწევარი ჯობია?,

— ხოდა, როგორც ყმა ერთგული
გზას გაუყენე მდევარი—
თავად ჯანდიერს აახლე—
გამომიგზავნოს მწევარი!

— და თუნდა დღესვე მიირთვას
მწევრის მაგივრათ პელაგო,
თუ კმაყოფილი არ იქნეს
უთხარ—პასუხი მე ვაგო!

— აწ რაღათ მინდა გომბიო
ლოგინზე გამოქლექილი,
ფოთლებ შემჭკნარი—ვარდია,
ფოთლებდაცლილი ხეხილი!"

ხშირად ხდებოდა, რომ გლეხი
იყო ბატონის ყევარი:
— გლეხის ქალს ფასი არ ქონდა
მაგრამ ფასობდა მწევარი!

IV.

გლეხი ომში მიდიოდა,
გლეხის ქალი სახლში იყო,
უპატრონოს აწ პატრონათ
მოვლენოდა თავად ნიკო!

— ქალო, შენ თუმც სხვისი ყმა ხარ,
მაგრა თვით გაყმობს ჩემი გული!"
გაისმოდა ხშირად სიტყვა
ამნაირად მოქარგული.

და ესმოდა ქალს მშვენივრად
ნიკოს ენას რა ქარგავდა:
მაგრამ ქალი, გლეხის ქალი—
ნამუსს მაინც არ კარგავდა.

მაშ შენ ნებით არ მნებდები?
ძალით მოგკვეთ გაღლეტილო!
— და რამდენჯერ დაგტეხია
თავს ასეთი—შრომის შვილო!

ქმარი იბრძვის, ბავში ტირის,
დედა კვნესის სიმწრისაგან:
— ყოვლად შემძლევ, დამიხსენი
დღეს ამ მწარე სიზმრისაგან!

„ყოვლად შემძლე" ღმერთი იყო,
ღმერთის ღმერთი ვინღა იყო?
— უწმინდური და გარყვნილი
ოინბაზი თავად ნიკო!

V.

„თებრონე მიდის წყალზედა
კოკა უდგია მხარზედა",
წყალს მოიტანს, ქმარს მოიწვევს
კაი კოხტა სამხარზედა.

გარეთ ბატონს, შიგნით კი ქმარს
მსახურებს და მონობს თებრო:
შენ კი გინდა—კიდევ რაღაც
ამ საბრალოს დააყვედრო!

რას აყვირდი:—უფლება შენ,
თებროსია მხოლოდ ვალი!
„სამღვთო რჯულმაც" დააწესა:
მამაკაცს მონებს ქალი!





— ვერ გადადის მის ნამუსზე.
მებატონე—აზარფეშით!



ახლა თუნდა სახლს დახედეთ



და შეთითხნა სჯულმა, ქმარმა
სამარცხალი ამნაირი:
ქალი დავლურს დაუვლიდეს
უკავია ქმარს თუ სტვირი.

და გადიქცა ქალი მონა:
უსიტყვო და მუნჯი, უხმო
— ყველა მისი ბატონია,
იგი არის თვითონ უყმო!

VI.

დღეს ბატონი წყალს ჩაბარდა
გლეხმაც პირი მოიბრუნა
და თანასწორუფლებრივი
საუბარი ცოლთან უნდა.

ზეხეთ, აი ქარხანაში
ატრიალებს იგი ჯარას
ქმრისთვის, თვისთვის, შვილებისთვის
თავსაც უყრის ცოტა ფარას.
ოჯ'ს ცხოვრებას მარჯვენით სჭედს
მამაკაცებს უდგას ჯვეროში:

რა წესრიგი—წესიერი—
თვალი ხედავს და ვერ სტკბება
ამ სურათის წარმტაც მზერით.

სუფთა ქუხნა, მარჯვე ხელი
სისუფთავე მთელი სახლის.
პირზე თვისით მოდის სიტყვა:
— გაუმარჯოს დიასახლისს!

აქ სკოლაში ვიღაა, რომ
გრძნობით შესცქერს პაწა ნუკრებს?
ვინ არის, რომ მოზარდ ყმაწვილთ
მომავალზე ჩასჭუკჭუკებს?

ის ქალია, შრომის შვილი—
უწინდელი უტყვი მონა—
ხმა სიმართლის—რვა წელია
ოქტომბეომა გააგონა.

არ უყურებს ქვეყნის ორგულთ,
აღარ უსმენს მტრების როშვას
და ამაყად მიაქანებს
ხელში შრომის წითელ დროშას!

უჩარდია.

კუდს მაინც იგძელებს

ბებერი კნეინა (გლეხის ქალს):—ი, მანამ არა ვაშარა შენმა ღრანჭებმა სანამ ჩემი ტოლი არ გახდე!

უწინ გლეხი ეხლა დელეგატი ქალი:—ჩემი ღრანჭები უშენოდაც კარგათ შეეჭცევიან საჭმელს, ხოლო შენ, რომ უჩემოთ ვამა გიჭირს—ეს უკვე შენი შეკრული ღრანჭებიდანაც სჩანს!

„რაც გინახავს—ველარ ნახავ",
რაც ვერ ნახა—ეხლა ნახა!

ერთი ქალი მეოჩრეს:—ქალო, ქა, კნეინა და კალათი?

მეოჩრე:—რას იზავ ძალა-ალმართს ხნავს.

ორი ბანაკი

(8 მარტი).

როგორც ტარიელ მკლავაძეს და ტიტიკო დროიძეს, ერემია წარბას და გიორგი პინტილიანს, ისე დათია ხელმოკლიძეს, სპირიდონ მცირიშვილს და დესპინეს, სონა ბალაძეს და არსენა ოძელაშვილს დღესაც ჰყავთ მემკვიდრენი.

პირველები ზოგი უკვე გაკვაპებულია და ზოგიც ემზადება, ხოლო მეორენი ამათ საწინააღმდეგოთაა დარაზმული და როგორც სიტყვით, ისე სქმით იბრძვის.

რა თავს აქნევ, ჩემო მკითხველო? ჩამოთვლილი სახელები გეუცხოვა?! არა უშავს,—გაიცნობ.

სამრეთე და ჯოჯოხეთი, ეშმაკი და ანგელოზი, ტარტაროზი და მთავარანგელოზი, როკაპი და ჭინკა—ყველა ეს ცხოვრების ანარეკლია. ზემოთ დასახელებული გმირებიც ამ ქვეყნიური სამოთხის და ჯოჯოხეთის გმირთა სახელებია, არა მოცლილი გონების ზღაპრათ შეთითხნილი, არამეთ სინამდვილიდან აღებული და ამ სინამდვილის სარკეში გამოფენილი. ამ სარკეს ჰქვია მხატვრული ლიტერატურა და მათ ავტორებს კიდევ ე. ნინოშვილი, ა. ლალიანი, გ. წერეთელი, მ. ჯავახიშვილი; დასახელებულ ავტორებს, ნახსენებ გმირებს და სხვებსაც რომ გაეცნოთ ძლიერ სასარგებლოა.

ჰო-და, სიტყვა გამიგრძელდა; აი, ამ ორი მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომდგენელნი შეებნენ ერთმანეთს გუშინ—7 მარტს.

— რაო? ქალთა დღეო? რვა მარტიო? თანასწორობაო? ქალის თავისუფლებაო? ჰო, მარტი ქალის დღეა, ხოლო რაც შეეხება თანასწორობას—ეს მოლაყბე ხალხის მოგონილია; თანასწორობა ვაჟთა შორის არ შეიძლება, თორემ ქალი და ვაჟი ღმერთს არ გაუთანასწორებია: პირველი კაცი—ადამი ღმერთმა თიხისაგან გააჩინა და საკუთარი სული ჩაჰბერა, ქალისათვის მიწაც არ გამეტა, არც სული, ადამის გვერდიდან გააჩინა, დავესკათ, საკუთრებათ მისცა. ადამის თავის ძვლის ნაწილისაგან გაეჩინა არ შეეძლო თუ? ტვინი გამოყობაო და ამიტომ გვერდიდან გააჩინა, ჭკუა არ კითხოო. შენ კი რაღაც თანასწორობაზე და თავისუფლებაზე მელაპარაკები.

— შენ უბედურ დღეს გაჩენილო! ეს ზღაპარი შენთვის შეინახე; შენი ღმერთი და მისგან გაჩენილი ქალიცა და კაციც საკუთრა ხოგახმაროს შენმა ღმერთმა. შეხედე ცხოვრების ჭინამდვილეს და თუ გონება გიჭრის—ისე ილაპარაკე: ვინაა დედა, ვინაა მეუღლე. ვინაა აღმზრდელი, ვინაა უჩინარი პოლიტიკური მოღვაწე და მესაიდუმლე თუ არა შენგან და შენისთანებისაგან ათვალისწინებული ქალი?! ქალია კულტურის, წინსვლის, ზნეობის შენისნებისაგან ათვალისწინებული ქალი?! ქალია კულტურის, წინსვლის, ზნეობის და ჯანმრთელობის აკვანი და საფუძველი, ურომლისოთ, როგორც კაცობრიობა მთლიანათ, ისე შენისთანა უქმაძეც გროში არ ეღირებოდა.

— რაო, მესაიდუმლეო? ჰო, ეს კაი თქვი! ქრისტე რომ აღზდგა, პირველათ ქალს ეჩვენა—ქვეყანას გააგებიებსო.

— შე უბედურო! შენი ლოგიკა, შენვე და შენს ღმერთს ურტყამს: როგორ? განა ქრისტეს დასჭირდა აღდგომის გავრცელება და ქალი მოიშველა? ეს თუ მართალია—აქ ხომ ქრისტეა დაჩრდილული და არა ქალი. აქაც, თქვენდა უნებურათ, ქალი გამოგყავთ როგორც აქტიური საქმიანი, პროპაგანდისტი, ამის გამვრცელებელი.

ამ კამათის დროს წითელ თავსაფარიანმა ქალმა საქმიანი ნაბიჯით ჩამოიარა და... ბნელეთის მოციქულმაც უცბათ შესწყვიტა ხმა და მიიმალა. ნეტავი რა გუნებაზეა დღეს?!

ჰ. როკაპი.

საეკლესიო — დღესასწაულები

(ქალთა დღის გამო.)

შობა.

... და გაჰყვნენ ვარსკვლავმრიცხველნი ვარსკვლავსა მას და მიადგენ გამოქვაბულს ბეთლემისას, სადაც ქალწული მარიამისაგან იშვა ყრმა იგო იესო".

ასე მოგვითხრობს „სამღვთო ისტორია" ქრისტეს შობაზე.

იგივე წყაროები მოწმობენ, რომ მარიამი იყო უბიწო, ხოლო იესო შთაისახა ღვთთ.

ღმერთი, როგორც მოგეხსენებათ, უჩინარია, ხოლო უჩინარი არსისაგან, როგორ გაჩნდა არსი არსებული—ამაზე არაფერია ისტორიაში ხოლო ტერტერა ტერ-დავითმა კი, აი რა აზრი გამოსთქვა ერთ ქორწილში.

მას შეეკითხენ:

— ტერ-დავით, რამდენ უბიწო ქალწულისათვის დაგიწერია ჯვარი—მამა გიცხონდა დაუფარავათ სთქვი?

— ვა, ადამიანო, რამდენისათვის დამიწერია ჯვარი ამას რას კითხულობ, შენ ის იკითხე თუ რამდენი მამინათლავს!

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ქალისაგან და ისიც შვილიანისაგან—ხორციელ უბიწოებას ვერ მოითხოვთ.

შემდეგ, რატომ მაინცა და მაინც ბეთლემის გამოქვაბულში უნდა იბადებოდენ წმიდანები?

ამას ახალი აღთქმა ბრძანებს ასე, ხოლო უახლოესი დროის გაზეთებმა აი, რა გვაუწყეს:

„— მატარებელში ფეხმძიმე დედაკაცს ასტკივდა მუცელი. რკინის-გზის მომსამსახურეთა დახმარებით ზესტაფონის სადგურს მოსთხოვეს საკაცე, მასზე დააწვინეს ავადმყოფი დედაკაცი და ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს. **ადგილის უქონლობის გამო მელოგინე ქალს მიდებაზე უარი უთხრეს.** უკან დაბრუნებულმა ქალმა ზესტაფონის სადგურზე მოილოგინა".

ეს გახლავთ თანამედროვე

„შობა".

არც დედა და არც არავინ არ უარყოფს, რომ ბავშვი ხორციელი მამის მიერ იყო ჩასახული. მიუდავათ ამისა,—იგი არის თუ არა წმინდანი?

რასაკვირველია კი:

— რომ წმინდანი არ ყოფილიყო, მას ზესტაფონის საავადმყოფოს უწმინდური ორფეხები როგორ მოერიდებო-

დენ!

ამ სინამდვილის სურათიდან ყველა გაიგებს ვინ როგორ ისახვის, როგორ იბადების, ვინ წმინდაა, ვინ უწმინდური, მაგრამ ესეც არ კმარა, საჭიროა ისიც გაიგოთ თუ:

— სადგურზე მოლოგინებულ დედას—რა ფასათ უზის თავისი მართლაც ზნეობრივი უბიწოების ნაყოფი და... პატივი სცეთ მას!

ეს პატივისცემა იქნება სწორედ მოვალეობით უალრესათ დატვირთული დედაკაცის უფლებრივათაც აღჭურვა და თავის მეუღლესთან უფლებრივათ გათანასწორება!

II

„ა ღ დ გ ო მ ა“.

... და აღსდგა მესამესა დღესა მკვდრეთით... ასე ამბობს "სამღვთო სჯული" ისეთ ნაზარეველზე.

ტერ-დავითს, რომ კითხეს რამდენათ სწამს მას ქრისტეს აღდგომა, მან ირონიულათ ჩაილაპარაკა:—

— კაცო, ე, რა სისულელეს მელაპარაკები: რასაკვირველია რომ ადგებოდა—მწამს, მაგრამ, რომ მკვდარი არ ყოფილა და მხოლოდ ეძინა—ესეც მწამსო!

შეიძლება იესო მთვრალიც იყო და სამ დღეს მიტომ ეძინა?

ვინ იცის, მაგრამ ერთი რამ აუცილებლათ ვიცით:

— ბევრი ლოთი მამაკაცი, ღვინით გალეშილ-გამსკდარი, ქუჩაზე გდია და ვერ ადგება თუ სხვამ არ ააყენა.

ახალაც, ხშირად ხვდებით აი. ასეთ

„აღდგომას“.

— ხომ გრწამთ ამ სურათის სინამდვილე? მაშ ისიც იწამეთ, რომ ასეთი მამაკაცისაგან დიდი ტანჯვა აქვს დედაკაცს:—მის დედას, მეუღლეს, ასულს...

და როდესაც ქალთა განთავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ქალი განთავისუფლებულ იქნეს მამაკაცთა ასეთი „სადღესასწაულო“, მაგრამ ყოველდღიური ჭირისაგანაც.

III

„ფერისცვალება“.

... და ამდგარი მკვდრეთით სხვა სახით და ფერნაცვალი მოევლინა ნაზარეველი მცხოვართ“...

ასე ბრძანებდა „სამღვთო ისტორია“.

ტერ-დავითს, რომ კითხეს, მან ამ საკითხის შესახებ ასე თქვა აზრი წარმოსთქვა:

— ვა,მამაოხერო, რაღა ქრისტეს ერთი ფერისცვალება გიკვირთ, ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი დღეში ათჯერ იცვლიან ფერსო.

ჩვენ არ ვიცით—ვინ ყავდა მხედველობაში ტერ-დავითს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ფერს ქალებით ხშირად იცვლიან, განსაკუთრებით როცა პუდრი და ფერუმარული იყენებენ.

მაგრამ არის სხვა ფერისცვალება, რომელიც გაცილებით უფრო მძიმე ასატანია:

— ფერისცვალება შიშით გამოწვეულია. აი, თუნდ ასეთი

„ფერისცვალება“.

ქმარი იპარავს. ჩეკა იჭერს,—აბა მადლობას ხომ არ ეტყვის სახელმწიფო ქონების გაფლანგვისათვის?

გამფლანგველი ზის და შინიდან კიდევ გამსახლში შემწყარ ქათმებს მოითხოვს, მაშინ, როდესაც მრავალშვილებით გარშემორტყმული დედაკაცი უცეცხლოთ იწვის გაჭირვების ტაფაზე.

ადვილი ასატანია ქალისათვის ყველაფერი ეს?

— არა, ფულის გაფლანგვაზე გაცილებით უფრო ძნელი და, მაშასადამე, თუ გსურთ ამ ძნელი პიროებებისა და უბედურობისაგან ქალის განტვირთვა, იგი უდანაშაულო ქმარის დანაშაულობაში პასუხისმგებლობიდანაც უნდა განტვირთოთ და გაანათვაისუფლოთ!

IV

"სული წმინდის მოფენა“.

... და გადმოვიდა სული წმინდა მოციქულთა ზედა“, ამბობს „სამღვთო“ მეისტორიე სულიწმინდის მოფენაზე.

ტერ-დავითის აზრით აქ ყველაფერი საჭვეო:

— შესაძლებელი იყო უწმინდური სუნი, ხოლო შეუძლებელი იყო სულის მოფენა, რადგან სული კაცს ამოძრავებს და სული მოციქულებისათვისაც იმდენათ ტკბილი იყო, რომ მას საქვეყნო მოსაფენათ არ შეელეოდენო“.

ამ შამთხვევაში მართალია ტერ-დავითი, მით უმეტეს, რომ დღესაც ჩვენი საეკლესიო მოციქულების მხრით ხშირია აი ასეთი

„სულიწმინდის მოფენა“.

ეს უუწმინდურესი ორფეხნი კიდევ ბევრგან აუწმინდურებენ სოფელს და საჭიროა მათ წინააღმდეგ რკინის ცოცხი.

ამ შემთხვევაშიაც, ამ ცრუ მოციქულთა გაცოხცხვაში მშრომელ ქალსაც დიდი მონაწილეობა შეუძლია მიიღოს და სწორედ ამიტომ 8 მარტს და 8 მარტს შემდეგაც —ეს მათ არ უნდა ავიწყდებოდეთ!

V

„ა მ ა ღ ლ ე ბ ა“

... და ამაღლდა ზეცად და გაქრა ღრუბელთა შორის და განისვენა გვერდით მამა მეუფისა“.

ასე ამბობს „სამღთო სჯული“ მაცხოვარზე.

ტერ-დავითის აზრით ეს სურათი შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ:

— ამაღლება სკამზე შედგომითაც შეეძლო— ქრისტეს, მამა მეუფესთან მოსვენება უსკამოთაც, ხოლო ღრუბლებშიგაქრობა არ შეეძლო, ალბათ ის ღრუბელი კი არა, თამბა ქოს ბოლი იქნებოდა,—დასძენს ტერ-დავითი.

ჩვენ არ შეგვიძლია ამ შემთხვევაში არ ვერწმუნოთ ტერ-დავითს, მაგრამ ისიც უნდა გვერწმუნოს იმაში, რომ ამაღლება არა მარტო სკამზე, ქართულ ემიგრანტთა ზურგზედაც შეიძ ება. ერთი სიტყვით შესაძლებელია აი ასეთი

„ამაღლებაც“.

როდესაც გადახვეწილ მენშევიკებს და ნაციონალ-დემოკრატებს ნიკოლაი ნიკოლაიჩის ფული ჯიბით დაადგთ, ნიკოლაი ნიკოლაიჩი ხელით დაყავთ და არარსებულ მეფის ტახტზე აყავთ!

რამდენათ მისაღებია ასეთი „ამაღლება“ მშრომელთა საქართველოსათვის და კერძოთ მშრომელთა ქალებისათვის?

დღეს, 8 მარტს, ესეც უნდა გაიხსენოს მშრომელმა ქალმა!

ამ გვარ ორფეხთა ამაღლებით—დამდაბლდება ცხოვრება, თავისუფლება, ყოფა-ცხოვრება ყველა მშრომელებისა და მათ შორის მშრომელი ქალისაც.

აი, ეს სინამდვილე ცხვირწინ უნდა გვედვას ყოველთვის, რომ გონების თვალიც ხშირად ხედავდეს მას.

VI

„მ ი რ ქ მ ა“.

... სიმეონმა აიყვანა პატარა იესო, აღაპყრო თვალნი ზეცად და ღაღადყო:—აწ განმიტევე მეუფეო მე მონა შენი!“.

მეტს არაფერს ლაპარაკობს ქრისტეს მირქმაზე „სამღვთო წერილი“, ხოლო ტერ-დავითი ასეთი კომენტარიებს უკეთებს აღნიშნულ ამბავს:

— რაკი იესოს დაბადებისას მამა არ გამოსჩენია, იგი გასაზრდელათ უშვილო სიმეონს გადასცეს, რომელსაც პატარა თმაქუჩუჩა ბიჭი ძალიანაც მოეწონა და სიხარულით წარმოსთქვა:—აწ განმიტევე მონა შენიო, ე. ი. სიმეონს ამით უნდოდა ეთქვა:—შემიძლია გულდამშვიდებით მოვკვდე, რადგან ჩემ ქონებას სიკვდილის შემდეგ მემკვიდრე ეყოლებაო“.

რამდენათ სწორია ტერ-დავითის კომენტარიები ჩვენ არ ვიცით! ხოლო სიმეონსებური მაგალითები ეხლაც ბევრი ხდება და ხშირია, ეხლაც აი ასეთი

„მირქმა“.

რომელ სიმეონს სურს გადასცეს ამ „ჯენტლმენმა“ მისი პირმშო?

ალბათ მოძებნის რომელიმე უშვილო ვაჭარს, მაგრამ უკაცრავად, ვაჭრებს ახლა აღარ ანებებენ თუნდა უკანონო ბავშვებს, დღეს მათი მირქმა ბავშთა სახლებში ხდება, სადაც მათ მომვლელებათ და აღმზრდელებათ მრავალთ უჩნდება დედები მშრომელ ქალთა სახით.

„უკანონოთ შობილნი“ კანონით გათანასწორებულნი არიან და ეს გათანასწორება უმეტესათ ქალთა: სარჯზე ხდება.

სწორედ ამიტომ დღეს, 8 მარტს, მშრომელი ქალი უნდა დაფასდეს, როგორც დედა, რომელიც დედობრივი სიყვარული და სითბოთი პატრონობს ყოველ ობოლს და უპატრონო ბავშს.

VII

„ნათლის ღება“.

... და როდესაც ქრისტემ იორდანეში ნათელიღო იოანესაგან, ციდან გამოჩნდა წმინდა სული მტრედის სახით“.

ასე ლაპარაკობს „სამღვთო ისტორია“ ქრისტეს ნათელღების შესახებ.

ტერ-დავითის აზრით აქ საეჭვო არაფერია:

— შეიძლებოდა ნათელღება, მდინარე იორდანეში დგომაც, მაგრამ შეუძლებელია იორდანე ღრმა ყოფილიყო, რადგან ქრისტე აუცილებლად დაიხრჩობოდაო—„ამბობს ტერ-დავითი“.

ჩვენც სადავო არაფერი გვაქვს გარდა ერთისა:

— ნათლისღება შეიძლება უფრო ღრმა წყალშიაც.

ამ ქეშმარიტებას სავსებით მოწმობს აი თუნდა შავ ზღვაში მენშევიკთა ამგვარი

„ნათლისღება“.

მტრედის გამოჩენაც შეიძლებოდა, რადგან იოანეს დროს მტრედის მეტი არაფერი ყოფილა, ხოლო ეხლანდელ დროს, მტრედი ნამგაალმა და ჩაქუჩმა შესცვალა, რომელმაც ბევრ მშრომელს მიანიჭა სინათლე, მაგრამ გადახვეწილ მენშევიკთა ბნელ გოგოაში ჯერ სავსებით ვერ შეაშუქა.

შეაშუქებს?

რასაკვირველია, და ამ მხრივ საჭირო დამსახურება დასჭირდება მშრომელ ქალთაც, როგორც წევრთ მშრომელთა საერთო ოჯახისას.

VIII

„ნ ი ნ ო ბ ა“.

ეს დღესასწაული უკვე თანამედროვეა. იგი წარმოსდგა იქიდან, რომ მეფე მირიანს ტყეში შემოაღამდა და სანამ ნინო არ მიეშველა არ გათენებია.

ტერ-დავითის აზრით უფრო შესაძლებელია შემდეგი რამ:

ნინო იმდენათ ლამაზი ქალი იყო, რომ მირიანს მასთან ტყეში შეიძლება შემოღამებოდა და თავზე დათენებოდა კიდეც.

ტერ-დავითის აზრი სრულიად სარწმუნოა, თუ განსაკუთრებით მხედველობაში მივიღებთ, რომ ეხლაც ხშირია აი ასეთი

„ნინობა“.

მშრომელი ქალი ასეთ ფუქსავატობასაც უნდა ებრძოდეს და იცოდეს, რომ:

— პატიოსანი დედაკაცი სხვებთან იცვამს, ქმართან—იხდის, ქარხანაში აღამებს, ოჯახში ათენებს.

ამდროის მირიანებთან უდროვო დროს მტლაშამტლუში და ცხოვრების მიზნათ ამის დასახვა—არავის შეფერის.

ხშირია ასეთი მაგალითები?

ხშირია!

მაშასადამე ყოველი 8 მარტის შემდეგ იგიც უნდა შემცირდეს!

მორიელი.

ლევარსი როხროხაძე

— ლევარსი, ეს წვერ-ულვაში რომ გაგიშვია,— მოვდლობა ხომ არ გინდა ამ სიბერის ჟამს?

— მოვდლობა კი არა. იგი არ გინდა! „კომსომოლიეს“ საკინლად გავიხდი თავის თუ?

— აბა, რატომ გაგიშვია წვერ-ულვაში?

—მგლოვიარედ ვარ, ყმაწვილო, მგლოვიარედ...

— ცოლი ხომ... ხომ არ... ხომ ცოცხალია?!.

— ხე-ხე-ხე... შენ გგონია დავქვრივდი?.. ცოლის სიკვდილისათვის ახლა თავის შეწუხება ღირს?.. მგლოვიარედ ვარ, ყმაწვილო, იმიტომ, რომ: ჩვენი ქვეყანა ბოლშენიკებმა გააბოლშენიკეს...

— კი მარა. ეს წვერ-ულვაში რომ...

— ჰო-და ამ წვერ-ულვაშს არ გავიპარსავ, სანამ ბოლშენიკები იქნებიან ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი,—მორჩა და გათავდა... ჩემიანს არც ქორწილს და ნათლობას დავანებებ...

— მაშ ისე გაგეზრდება მაგი წვერ-ულვაში, რომ მიწას დასწვდება...

— ტყვილა გგონია... ხუთმეტს დღეს კი გაუძლებ და მერე გავიპარსავ, რადგან ამ ბოლშენიკებს ხუთმეტს დღეში რაცხა კი დაემართებათ ისეთი საჯაყი საქმე, რომ აქედან კუდ-ამოძუებული გაიქცევიან...

—:—

და, მართლაც ლევარსი არც წვერ-ულვაშს იპარსავდა და არც თმას იკრეჭდა.

მგლოვიარედ იყო ყაცი.

მისმა გვარდიელობამ ვერ უშველა ჩვენს ქვეყანას, რომელსაც „ბოლშენიკები“ დაეპატრონენ.

ლევარსის იმედი ჰქონდა რომ: „დღეს თუ ხვალ“ ისევ ყოფილი მთავრობა დაბრუნდებოდა.

ამიტომაც იყო, რომ: წვერ-ულვაშს არ იპარსავდა, ცოლის-დის გათხოვებაც კი არ დაანება სიმამრს, არც ბავშის ნათლობა თავის დას.

— რა დაგემართათ? ქვეყანა ხომ არ იქცევა? მოიცადეთ ერთი-ორი კვირა... „დღეს თუ ხვალ“ გაიპარებიან „ბოლშენიკები“ და მერე ქენით რაც საქნელი გაქვთ... ხომ ხედავთ: წვერ-ულვაშს არ ვიპარსავ მაგათ წასვლამდი...

—:—

მაგრამ დღეები მიდიოდა... და არ მართლდებოდა ლევარსის სიმღერა:

გაზაფხულზე მოვა ია
მას მოჰყვება ყორდანია...

ნაბდვილი და...

ლევარსი წვერს არ იპარსავდა

გაზაფხულიც მოვიდა და წავიდა, და არა ერთხელ და ორხელ,—მრავალხელ, მაგრამ იას მაინც ვერ მოჰყვა—ეს, ვის მოსვლასაც ასე ელოდა ლევარსი.

კეკი ისევ განაგრძობდა მჭადის ცხობას ჩვეულებისა-მებრ თავისებურად: ხან ცომი, ხან კი დამწვარი.

ამან გამოიწვია თავდაპირველი კინკლაობა და უსიამოვნობა რძალსა (ედუკის) და სიდედრ—დედამთილს (ელპიტის) შორის.

ასეთ მდგომარეობას კიდევ ის გარემოება ამწვავებდა, რომ ელპიტამ ერთხელ თვალი მოჰკრა ედუკის, რომელიც ერთს მახლობელ მეზობელს „რაღაც სხვანაირად“ ელაპარაკებოდა და უცქერდა.

მართალია: ლევარსის ეს ამბავი მაშინვე არ გაუმხილა, მაგრამ, როცა მეორეხელ წისქვილში ედუკისთან დაინახა ისევ ის მეზობელი, რა ექნა, ვალდებული იყო და „ნელ-ტკბილად“ ასე განუცხადა შვილს გულისტკივილი:

— მე იმას კი არ გეტყვი, შვილო, რომ ედუკი გლალატობს-მეთქი, არა... მარა მე ჩემი თვალით დავინახე, რომ მას საყვარელი ჰყავს,—და თვალყური ადევნე.

და ერთს მშვენიერს დღეს (მშვენიერს იმით, რომ დიდი ხნის წვიმის შემდეგ მზიანი დღე გათენდა) რძალსა და სიდედრს შორის ხელჩართული ომი გაიმართა.

ლევარსი ამოეფარა ხეს და უთვალთვალებდა; თუ რო-



...ნეთის კავშირი

გორ ლაზათიანად სცემდა ედუკი ელპიტის.

— მაგათი შერიგება მე კი არა, ვილსონსაც *) არ შეუძლია... ვუყურებ სეირს...

და მართლაც ლევარსიმ სრული ნეიტრალობა დაიცვა.

ოჯახში ასეთ უსიამოვნებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ელპიტი საცხოვრებლად გადავიდა გათხოვილ ქალიშვილთან.

— ედუკისაც ეს უნდოდა: განთავისუფლებულიყო ჩემს თვალ-ყურიგდებისაგან, რომ თავის კუროსთან დრო ატაროს...

ასე ეუბნებოდა ელპიტი გათხოვილ ქალიშვილს, რომელსაც დიდათ არ სიამოვნებია დედის მუდმივი სტუმრობა, რადგან სარჩენი მიემატა ოჯახს.

—:—

— ბებიამ სამოგითვალა, ბიძია, რომ ამღამ აქ მოდიო, ჩემი ნენაა ავათ და ღამე უნნდა უთიოო...—ეს ამბავი მოუტანა ლევარსის დისწულმა.

— ედუკი, მატრონა (ლევარსის გათხოვილ დის სახელია) ყოფილა ავათ და ჩემთვის მოსვლა შემოუთვლიათ... მარა შენ მარტო რაფერ დაგტოვო სახლში? არა-და არ წამოხვალ, რადგან დედაჩემს ემდური...

— შენ წადი, ლევარსი... მე რიხი მეშინია, დავიკეტ კარებს და ქრისტიან კაცს არ შემოვუშვებ..

ედუკის კიდეც გაუხარდა...

—:—

როცა საღამომ მოაწია, ლევარსი დასთან წავიდა...

— როგორ არის ცეცაი?—ეს იყო ლევარსის პირველი სიტყვა, როცა კარებში დედა შემოხვდა.

— როგორ იქნება... კარგად არის—და ლევარსი სახლში შევიდა; მისი და მატრონა მშვიდს აცხობდა.

— არა, რაზე დაგჭირდათ ჩემი მოტყუილება—ეკითხებოდა ლევარსი.

— მომენატრე, შვილო, და იმიტომ შემოგითვალე.

*) ამერიკის პრეზიდენტს ვილსონს, რომელიც ამჟამად იმ ქვეყნად განისვენებს, ყველა იცნობდა, როგორც მეზაველს ე. ი. მოჩხუბრების შემრიგებელს. ზ.

ასე, თორემ ისე ედუკი არ გამოგიშობდა...

ვახშმად დაჯდენ...

— ჰო-და, იმას გეუბნებოდი, რომ ამ ბაღანას მონათვლა მინდა. აი ბოლშენიკები ჯერ კიდევ არ ფიქრობენ, მგონი, წასვლას და თუ მე მაგათ წასვლას ვუყურე,—ბაღანა მოუნათვლავი დამრჩება... მოუნათლავი კაცი ხომ ურიაა და ურიას სახლში ყოლა არ არის ქრისტიანური—ასე ეუბნებოდა სიძე ლევარსის.

—კაცო, მე გეუბნები რომ ერთს თვეში მაინც აგინი აქანე ალარ იქნებიან... ჩვენი მოავრობიდან ცნობა მივიღეთ, რომ საქმე კარგად არის—

ერთი სიტყვით, ლევარსიმ კიდევ გადაადებინა ნათლობა.

ივახშმეს... კარგა ხანი გავიდა. მთვარესაც უკვე ეკახშა და ამოვიდა.

— შვილო, ედუკის შეეშინება,—და ბარემ წადი ამღამ სახლში...

მენატვრებოდი და ქე გნახე... წადი შვილო—

—:—

ლევარსი დაემშვიდობა და სახლისკენ გზას გაუდგა.

— აბა ვნახოთ... ახლა თუ იმ დაწყეველილ ედუკელას თავისი კურო არ ეყოლება სახლში, თავი ქათამსავით წამაგდებინე... იგი შენ... ხომ კარგად მოვაწყე... მივა და აწყაწყდება... ხომ დაინახავს თავის თვალებით, რომ ცოლი ღალატობს... გიამოს ედუკელავ ზურგზე ბრიგინი... საწინდე მატყლსავით მოგთელავს ლევარსი—

ასე ფიქრობდა მთელს ღამეს ელპიტი, რომელსაც ასეთ ფიქრებში ძილი გაუტყდა და არ ეძინა.

—:—

ლევარსი სახლში მივიდა.

ცალი კარი ღია იყო. მთვარის სინათლე შედიოდა ღია კარებში. ლევარსის კიდეც გაუკვირდა, რომ კარი ღია იყო.

სახლში შევიდა.

ედუკიმ ხელად შეამჩნია და საბანში გაეხვია...

— რატომ არის კარი ღია, ედუკი? შეეკითხა ლევარსი.

— ნავთი გამოლეულა, ლამპა არ არის, ბნელში მეში-

ნოდა და კარები გავაღე, რომ მთვარის სინათლე შემოსულიყო სახლში...

თანაც უქეიფოდ ვარ: თავი მტკივა და იქით დაწევი, ფეხებთან... ფეხები გამითბე, მცივა...

ლევარსიც ასე მოიქცა.

დაწვა და ჩაიკრა გასათბობად ფეხები...

მაგრამ ლევარსის გაუკვირდა: ოთხი ფეხი იყო ლოგინში...

მრავალჯერ დაითვალა... ოთხია... ექვი შეეპარა.

— ედუკი—დააპირა კითხვა, მაგრამ ედუკიმ თითქოს შეატყო თუ რას ეკითხებოდა ლევარსი, დატუქსა:

— სუ... დაიძინე... გაჩერდი... რა დროს ის არის... ხომ ხედავ ავათ ვარ...

—არა, ედუკი... მე სხვას გეკითხები...

— ენა დააჩუმე... არ მაქვს შენთან ლაპარაკის თავი... სიცხე მაქვს—

— ედუკი მეთქი, მე იმას გეუბნები, რომ ლოგინში ოთხი ფეხია და ვისია ნეტა?

— ოი, შე ჩერჩეტო, ორი ჩემია და ორი შენი.. დაჩუმდი, კიდევ არ გამელაპარაკო, თორემ ამ წიხლებს ისე მოგაყრი ცხვირპირში, რომ მაშინ ნახავ...

ლევარსის კიდევ შერცხვა... თუ როგორ შეცდა კაცი და ვერ იანგარიშა, რომ მას და ედუკის ორივეს ოთხი ფეხი აქვს. მაგრად ჩაიკრა ფეხები უბეში და თბობა დაუწყო.

— ნუ გეშინია, ვერ მიხვდა, როცა დაეძინება, ადგები და წახვალ—ანუგეშებდა ედუკი თავის გვერდში მწოლარე საყვარელს, რომლის გულს შიშისაგან ბაქი-ბუქი გაჰქონდა.

— ედუკი, ვის ელაპარაკები?—შეეკითხა ლევარსი, როცა ჩურჩული მოესმა.

— ა? რაო?.. ჰო.. სიცხე მაქვს და რაღაც მომელანდა, წამაბოდვა... დაიძინე, კაცო, და მეც დამეძინება...

— კი გენაცვალე, კი—და მალე ლევარსიმ ისეთი მაგარი ხვრინვა ამოუშვა, რომ არა თუ დაძინება, დაძინებულსაც კი გამოაღვიძებდა...

— ისე დაეძინა, რომ ახლა მის ყურთან ზარბაზანი ისროლო, მაინც არ გაიღვიძებს.—გადაულაპარაკა ედუკიმ საყვარელს.

—:—

მართლაც ლევარსი ღრმა ძილში იყო და არც ისე იოლად გაეღვიძებოდა, რომ მის ცხვირპირში ედუკის საყვარელის ფეხებს ჩქარი, აღელვებული მოძრაობა არ დაეწყო, თითქოს უნდაო მოსრესოს პირისახე. ამას ედუკის ფეხების ფართხალიც დაემატა და,—

ლევარსი ზეზე წამოვარდა...

— ჰაიტ, რა ამბავია?.. ვინ არის?!

ლევარსი დაეძგერა უცხოს. ეკლესიტიც ზეზე წამოვარდა. თითქოს თანაბარიაო, ვერც ერთი ვერ სჯობნიდა ერთმანეთს.

ედუკი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: არ იცოდა ვისი მხარე დაეცვა: ქმრის თუ საყვარელის... მაგრამ იმის შიშმა, რომ: შემდეგ ლევარსი მას პასუხს აგებინებდა ღალატისათვის, ქმარს მიემხრო.

— ლევარსი, კვანტი უქენი, და წააქცევ... კვენტი გამოჰკარი, ლევარსი, კვანტი—ასწავლიდა ედუკი.

— უკვანტო საკვანტოდ გამიხადე და ახლა მასწავლი ქკუას?.. მარა, ნუ გეშინია, ედუკი, რაც ხანია ვსდღავებ მიწაზე—და, მართლაც, ლევარსიმ თავისი მოწინააღმდეგე მიწაზე დაანარცხა...

— ახლა ხომ დაგახრჩობ ძაღლსავით—და ლევარსიმ ყელში ხელი სტაცა...

მაგრამ, როცა ედუკიმ დაინახა, რომ ქმარი ახრჩობდა საყვარელს, ვეღარ გაუძლო ამ სურათს და ლევარსის ისეთს სათუთს ადგილზე მოუქირა ხელები, რომ თითქოს ეს არის აპურისიბსო... ლევარსის სული დაეკმა,—და ხელი გაუშვა მოწინააღმდეგეს, რომელმაც დრო იხელთა და გარედ გავარდა სამშვიდობოზე...

ედუკიმ თავი მოიკატუნა: თითქოს გული წაუვიდა; ლევარსი წყალით მიეშველა და გაამხნევა:

— ნუ გეშინია, გენაცვალე, საკმაოდ მაინც გაელახე... ისე მაგრად დავანარცხე, რომ ერთს კვირას ეტკივება წელი... ისე მე ხომ კი გეუბნებოდი: ოთხი ფეხებია-მეთქი?

— მე ჩვენი ფეხები მეგონა... რა ვიცოდი, თუ სხვა იწვა კიდევ ჩვენ ლოგინში.

ზმუკი.

საინფორმაციო მოხსენება

„ტარტაროზის“ საგარეო პოლიტიკის შესახებ

ბურჟუაზიულ ქვეყნებთან დამოკიდებულება დამაკმაყოფილებელია.—საბჭოთა კავშირთან მდგომარეობის გამწვავება. შემოტევა ყველა ფრონტზე. გაჩუმების პოლიტიკის უარყოფა. ინციდენტი ამ.-კავკ. რკინის-გზებზე.—ქუთაისი ჩვენს ხელშია.—გამარჯვება სადგურ რიონზე.—ინციდენტის მოგვარება.—საჭიროა მეტი სიფხიზლე და დ. კავირვება.—სადღესასწაულო ლოზუნგები.—საერთო დასკვნა.—ტაში და ოვაციები.

აძხანაგებო და მოქალაქენო!..

როდესაც ჩვენ მოხსენებას ვიწყებთ, ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, თუ რაოდენ პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენს თავზე, მაგრამ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ იგი შესაფერისს ნაყოფს გამოიღებს და გამოცდილების კიდევ ერთ საგანძურს შეგვძენს ჩვენ.

გამოცდილება კი, ერთი ადამიანის თქმის არ იყოს, ათი ათასი მანეთიც რომ დაგიჯდეს კაცს, თუნდაც ხაზინის ფულებით, მაინც ნაღდია. რადგან ამ ათი ათასს მანეთს სულერთია მაინც სხვა შესწამს, გამოცდილება კი, გამსახლიდან რომ გამოხვალ სამარის კარამდე მიგყვება.

აი ამ ნუგეშით ვიწყებთ ჩვენ ამ მოხსენებას.

თუ ერთის შეხედვით გადავავლებთ თვალს ჩვენს ხანმოკლე სიცოცხლეს და მიუდგომლად მივუდგებით მას, უნდა აშკარად ვაღიაროთ, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა ვერ იდგა იმ დონეზე, რა დონეზედაც უნდა მდგარიყო.

რა თქმა უნდა, მიზეზები ბევრი იყო, მაგრამ მთავარი ამ მიზეზთა შორის იყო და არის ის, რომ „ტარტაროზი“ საბჭოთა ხელისუფლების ჟურნალია.

დიახ, ეს იყო მთავარი მიზეზი.

დღიდან ჩვენი გაჩენისა, ჩვენ დარწმუნებით ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ დაუძინებელი მტერი იქნებოდა ჩვენი, რასაკვირველია, იმ ხაზზე, სადაც ჩვენი და მისი ინტერესები ერთმანეთს შეეჯახებოდენ, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვქონდა იმის ფიქრი, რომ ჩვენს შორის ურთიერთ დამოკიდებულება ასე მალე გამწვავდებოდა, და ეს იმ დროს, როცა ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ჩვენი დამოკიდებულება ისეთია, რომ უკეთესის სურვა შეუძლებელია.

ბრიანი, ჩემბერლენი, კულიჯი, შტრეზემანი, მუსოლინი და ევროპის სხვა პოლიტიკური მოღვაწენი ჩვენი უდიდესი ბურჯნი არიან. ჩვენ შესაფერისად ვაფასებთ მათ, და არავითარ საშუალებას არ ვერიდებით, რომ მათ სახელს სულ ახალი და ახალი დიდება და რეპუტაცია შევძინოთ.

ერთად-ერთი ქვეყანა, რომლისაგან ჩვენ არაფერს საეიროს არ მოველით—ეს საბჭოთა კავშირია. იგი არაფერს იმეტებს ჩვენთვის. პირიქით, რაც აქამდისინ ნებაყოფლობით უნებებია, მასაც კი ხელიდან გვლეჯს.

სწორედ ასეთი ზრახვები ედო სარჩულად ერთ-ერთ ინციდენტს, რომელიც ამ ახლო ხანებში ამ.-კავკ. რკინის-გზებზე დატრიალდა ჩვენსა და საბჭოთა ხელისუფლების შორის.

დიდი დავიდარაბისა და მიწერ-მოწერის შემდეგ ეს ინციდენტი შემდეგ მოგვარებულ იქნა და ჩვენც სრულებით გავმჩუმდებოდით მასზე და დავიწყებას მივცემდით მას, რომ საბჭოთა ხელისუფლება დღესაც არ განაგრძობდეს თავის ძველებურ მოქმედებას და სწორედ იმ ნიადაგზე, რა ნიადაგზედაც ეს ინციდენტი დაიწყო.

გარდა ამისა, ჩვენ საკმაო ცნობები მოგვეპოება, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ კმაყოფილდება ამით და სხვა მიმართულებებითაც აპირებს ჩვენზე გამოლაშქრებას, და მხოლოდ მოხერხებულ დროს ეძებს ამისათვის.

არ არის დღე, არ არის საათი, არ არის წუთი, რომ საბჭოთა ხელისუფლებ რმიმე ახალ ხრიკს არ გვიმზადებდეს, და ყოველივე ეს იძულებულ გვხდის ჩვენ გაჩუმების და მოთმინების პოლიტიკას თავი დავანებოთ და საბჭოთა ხელისუფლების ყოველი უსამართლო ნაბიჯი ჩვენს ... ალმდეგ გადადგმულ საზოგადოებრივ აზრის სამსჯავროზე გამოვიტანოთ.

ჩვენი მთავარი ყურადღება ეხლა აქეთ უნდა იყოს მიმართული.

დასასურათებლად იმისა, თუ რა ხერხებს ხმარობს საბჭოთა ხელისუფლება რაიმე ახალ ხრიკს არ გვიმზადებ-მოგვეცოთ ცოტა ხნით ამ ინციდენტზე შეეჩერდეთ.

საქმე შემდეგში იყო:

ამასწინად ჩვენმა რედაქციამ წინადადება მისცა ერთ ჩვენს თანამშრომელს, აეკრა ბარგი და დაუყოვნებლივ დასავლეთ საქართველოსკენ გამგზავრებულიყო, ადგილობრივი ჩვენი შინაური მდგომარეობის გამოსარკვევად.

ჩვენმა თანამშრომელმა აღარ დააყოვნა, სიხარულით აიღო პატარა, ყვითელი ფიცრის ჩემოდანი,დეზერტირკაზე, რომ მანეთ-ნახევრად იყიდება, და ერთ მშვენიერ საღამოს მხიარული ღიღინით სადგურისაკენ გაეშურა.

საფიქრი და სადარდელი თითქოს არაფერი იყო. სუსხიანი ცივი ქარი ქროდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ასეთ დარში ჩვენი მტრები ვერაფერს გაბედავდენ, მაგრამ საუბედუროთ ჩვენი მოსაზრება არ გამართლდა.

როდესაც პირველი ზარი დაკრეს, ჩვენი თანამშრომელი თავისუფლად გასულა ბაქანზე, ასევე თავისუფლად შესულა ვაგონში და წარმოიდგინეთ, დასაჯდომი ადგილიც თავისუფლად ეშოვნა.

ნუ დაგავიწყდებათ, ამხანაგებო და მოქალაქენო, რომ მატარებელი იყო საფოსტო და მაშასადამე უპლაცკარტოც.

ჩვენს თანამშრომელს პირველად თურმე სიზმარში ეგონა თავი, მაგრამ როდესაც თითზე მაგრათ ეკბინა, მაშინ ნათლად დარწმუნებულიყო, რომ ფაქტის წინაშე იდგა.

ეხლა ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, მოასწავებდა თუ არა ასეთი დასაწყისი რაიმე სახეიროს და იყო თუ არა ეს ნიშნები ბრძოლის დაწყებისა?..

ჩვენ ვამბობთ, რომ ... თუ ნიშნები, ეს იყო უკვე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ერთი წუთითაც კი არ სწყვეტს ჩვენს წინააღმდეგ მუხანათურ, პარტიზანულ—ომს, და არ უშვებს არც ერთ შემთხვევას ად არ იშურებს არაფერს ოღონდ კი კუდზე ფეხი დაგვაჭიროს.

კუდის უქონლობას კი ვერავინ დაგვწამებს.

ჩვენ რედაქციაში ვისხედით და ერთა ლიგის შესახებ

ზედმეტი ჯავრით

ცოლი:—შე ოჯახკეტიანო, ბავშვი სულთმობრძავია და შენ კიდევ გამსკდარ-გალეშილი ბრუნდები?

ქმარი:—სწორეთ მეც მაგის ჯავრმა დამალევინა

უიმედო იმედი

ავადმყოფი: —მაშ არც მაგრე ცუდათაა ჩემი საქმე ექიმო?

ექიმი: —დიახ, საშიში არაფერია: ცოტა გემჩნევათ სისხლნაკლებობა, ფილტვების ჭლექი, გულის მოძრაობის აშლა, სიგანიერე გაქვთ ,წყალმაკი, მალიარია და ნაწლავის ანთება, მაგრამ საერთოდ, სერიოზული არ არის რა და მალეც განიკურნებით!..

მგზავრი და მეეტლე

— მეეტლევ, მალე მივალთ დანიშნულ ადგილზე?

—თითქმის მივედით, უკვე სამი ვერსი გვაქვს გავლილი, სულ რაღაც სამოციოდე ვერსიღა დაგვრჩა გასავლელი!..

მხიარული კამათი გვქონდა, რომ უეცრად ოთახში შიკრიკი შემოიჭრა და ჩვენს წინ საჩქარო დეპეშა დააგდო.

ჩვენ მოველოდით, რომ ინგლის-საფრანგეთმა ერთმანეთს დასცხეს-თქო, ან და ამერიკამ ორივეს ერთად, და სრულებით-იმის აზრი არ გვქონდა, რომ თვით ჩვენ გვიკაკუნებდა უბედურება კარზე.

გავხსენით დეპეში და სიტყვა-სიტყვით ასეთი საშინელი ცნობა წავიკითხეთ:

„ვილუპებით. უდიდესი საგანძური განსაცდელშია ბაქანზე თავისუფლად გავედი. ვაგონშიც თავისუფლად შევედი. დასაჯდომი ადგილიც თავისუფლად ვიშოვე. ფრონტი ირღვევა. მდგომარეობა სერიოზულია“.

გავფითრდით.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

კუთხიდან ვიღაცას თავშეკავებული ქვითინი მოისმა.

როდესაც პირველ წუთებმა განვლეს, ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

პირველი ჩვენი სურვილი იყო, ქუჩაში გამოვარდნილიყავით, გვექირავა ერთი დამტვრეული კერძო ავტომობილი და პროტესტის გასაცხადებლად რკინის-გზის სამმართველოსკენ გავქანებულიყავით, მაგრამ, როდესაც საათს დავხედეთ, ვნახეთ, რომ ჩვენს განკარგულებაში კიდევ ათი წუთი იყო.

განრიგების მიხედვით მატარებელი ჯერ კიდევ არ იქნებოდა გასული.

ავიღეთ საწერკალამი და საჩქაროთ ასეთი ინტრუქცია გაუგზავნეთ ჩვენს თანამშრომელს:

„გნიშნავთ მთავარსარდლათ ამ ფრონტზე. პასუხისმგებელი ხართ როგორც თქვენი საკუთარ თავით, ისე მთელის ქონებით და ცოლშვილით. წინადადება გეძლევათ გაუვეთ მატარებელს და სავსებით გამოარკვიოთ მდგომარეობა“.

რამდენიმე საათს ჩვენს რედაქციაში ისეთი სიწყნარე იყო, რომ კაცი „ჯაყოს“ ოდენა ჭრომანს დასწერდა ხელშეუშლელად, მაგრამ ჭრომანისათვის ვის ეცალა.

ჩვენ ნათლად გვქონდა შეგნებული მომენტის მნიშვნელობა. ჩვენ მოწამე ვხდებოდით უდიდესს ისტორიულ აქტის. ჩვენ თვალწინ იშლებოდა ისტორიის ახალი ფურცელი, და ვინ იცის რას გვიქადდა მომავალი დღე.

ბოლოს როდის-როდის, უდიდესს სულიერ წამების შემდეგ მოფირნდა შიკრიკი და ასეთი დეპეში გადმოგვცა:

„ყველა [illegible]ადგურებზე დანიშნულ დროზე ვართ. არ[illegible]სად ჩხუ[illegible]ვიდარაბა . არ გადაგვიჭრია არც ერთი [illegible]ისარი. [illegible] ლვიყოთ დროს ერთი ნამცეცი ყამ[illegible]

შემოჭრილა ვაგონში. ფანჯრებში ყველგან მინებია. სინათლე საუცხოვო. მდგომარეობა უიმედოა. გთხოვთ გადამაყენოთ და ნება დამრთოთ უკანვე დაბრუნების“.

თქვენ მიხვდებით, თუ რა ბოღმა უნდა დატრიალებულიყო მაშინ ჩვენს გულში.

რედაქტორი ჯუნგლებიდან გამოვარდნილ ლომივით ქუხდა.

ჩვენს თავში ელვის სისწრაფით გაირბინა ახლო ხანებში მომხდარმა მსგავსმა ამბავმა, როდესაც ჩან-ზო-ლინმა მანჯურიის რკინის-გზების ჩაგდება მოინდომა ხელში და თავის საკუთრებათ გამოცხადება.

ნათლად გაგვხასენდა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ატეხილი მაშინ აურ-ზაური და აღშფოთებული ყვირილი სამართლიანობაზე და კანონიერობაზე.

გაგვახსენდა ყველაფერი ეს და გესლიანმა ღიმილმა გადაგვირბინა ტუჩებზე.

— ხა... ხა... ხა!.. საშინელ ხარხარით გადაისარხარა რედაქტორმა და ტელეფონს ეცა, რომ ამ.-კ. რკინის-გზების რწმუნებული შალვა ელიავა გამოეძახებია და უკმეხად განეცხადებია მისთვის, რას ვვიშვები, კაცო, გვღუპავთ... მიწასთან გვასწორებთ!..., მაგრამ მიუხედავათ ყოველი ცდისა ეს არ მოხერხდა.

ტელეფონმა ჯერ რაღაც დაახუვლა, შემდეგ დაიფშტვინა, დაიზუვლა და შემდეგ მრევლისაგან მიტოვებულ ეკლესიის დუმილი გამეფდა შიგ.

ეს რა თქმა უნდა, თვით ჩვენი სატელეფონო ნაწილის თანამშრომლის მიერ იყო მოწყობილი.

ასეთი მოვლენა ჩვენთვის მუდამ სასიხარულოა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ჩვენი საკუთრების ერთ- ერთ ნაწილის ბედ-ბეწვზე ეკიდა, თანამშრომლის ასეთი საქციელი არ იყო მოსაწონი.

საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ რაც სხვებისთვის მისაღებია, ის ჩვენთვის არაა მისაღები.

თუ მაგალითად სხვა დაწესებულებებში ტელეფონი ისე გაჯიუტდება ხანდისხან, როგორც მშიერ მღვდლის მშიერი ჯორი, ჩვენი რედაქციისთვის ეს სრულებითაც არაა მისაღები.

თუ მაგალითად სხვა დაწესებულებებში უცხოს ისე ბრაზიანად შეხვდებიან, რომ გულს გადაუბრუნებენ, ეს რა თქმა უნდა , ჩვენს რედაქციაში არ უნდა იყოს, როგორც მარცხნით, ისე მარჯვნით, და ისე პირდაპირ.

(გეოგრაფიულად და არა პოლიტიკურად).

თუ მაგალითად ზოგიერთ დაწესებულებებში ჯამაგირს სამი თვის შემდეგ არიგებენ, არც ჩვენმა კანტორამ უნდა უთხრას უარი ჩვენს თანამშრომელს დეკემბრის გონორარზე თებერვლის ბოლოში ან და მარტში და ასე შემდგომ.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი.

წვრილმანების აყოლის დრო აღარ იყო, და რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს თანამშრომელს ასეთი დეპეშა დავადევნეთ უკან:

„გამოიჩინეთ მეტი დაკვირვება და სიმამაცე. თქვენ ხართ ჩვენი „ივანოვი“. არავითარი დათმობა. მთელი რედაქცია თქვენ შემოგცქერით, გაჩსოვდეთ, რომ ჩვენი პროლეტარული სამშობლო „ტარტაროზი“ განსაცდელშია. თქვენ იცით და თქვენმა ახალგაზრდობამ“.

მიუხედავათ ასეთი ბრძანებისა, ჩვენ უკვე აღარაფრის იმედი გვქონდა.

ჩვენ ერთად-ერთ საზრუნავ საგანს შეადგენდა ეხლა დანარჩენ ნაწილების დაცვა, როგორც მაგალითად: ტრამვაის მიმოსვლა ყოველდღე სამი-ოთხი კაცის გატანა, ღამ-ღამობით ხულიგნების სულირად და ხორციელად გართობა-თარეში და სხვა ბევრი რამე, მაგრამ არაფერზე გული არ მიგვდიოდა.

ჩვენ ვგრძნობდით, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა გვაწვებოდა კისერზე თანამშრომლებისა და მკითხველების წინაშე.

უკვე გვესმოდა მათი აღშფოთებული ყვირილი:—ახია თქვენზე რაც მოგვივიდათ, ახი!.. რისთვის აწარმოებდით საგარეო პოლიტიკას საიდუმლოდ, რატომ არ იქნა ჩატარებული დემოკრატიული დისკუსიები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხების შესახებ და სხვა ამ გვარი დამსახურებული თუ დაუმსახურებელი საყვედურები.

საჭირო იყო მდგომარეობის გამოსწორება.

უიმედოთ დარჩენილნი უკვე თავთავიანთ ბინებისაკენ ვაპირებდით ტაშლას, რომ შიკრიკმა ოთხად დაკეცილი ქაღალდი შემოგვიტანა.

შიკრიკის მხიარული, თუ დამცინავი სახე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს მან (შიკრიკმა) უკვე იცოდა ყველაფერი და მაშასადამე, მთელ ქალაქსაც ეცოდინებოდა ეხლა ჩვენი სირცხვილი.

მაგრამ გაბრაზების თავი აღარ გვქონდა, სულერთია ადრე თუ გვიან ყველაფერი მაინც გამოირკვეოდა და დაკეცილი ქაღალდი გავხსენით.

ეს იყო „პოჩტოგრამა“ ჩვენს განწირულ თანამშრომლისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ანდერძი დაწერილი დაღუპვის წინ.

ჩვენ უკვე მზად ვიყავით მწუხარე ხმით „შენ მსხვერპლი გახდი“... შემოგვეძახებია, რომ ერთმა ჩვენგანმა გვანიშნა, დავჩუმებულიყავით და ანდერძი მოგვესმინა. ჩვენც ყურთასმენად გადავიქეცით.

„პოჩტოგრამაში“ მოკლედ ეწერა:

რიონიდან ქუთაისამდე დაწესებულ 25 წუთის ნაცვლად ვიმგზავრეთ ერთი საათი. მცირე დათვალიერების შემდეგ, გამოვარკვიე, რომ ქუთაისი დაწყებული „მწვანეყვავილით“ და გათავებული „გოჭოურით“ ჩვენს ხელშია. მდგომარეობა უმჯობესდება. საღამოს ვბრუნდები უკან“.

ღამე კიდევ ამნაირი დამატებითი ცნობა მივიღეთ:

„ოთხი საათია სადგურ რიონზე ვწყდებით. ბათომიდან მომავალი მატარებელი კამეჩს დაჯახებია და გადაბრუნებულა. მეორე ვარიანტის მიხედვით, ვითომდა თხას დაჯახებია და იმას გადაუბრუნებია. ყველას უფრო მეორე ვარიანტი მიაჩნია შესაძლებლად. როგორც კამეჩის, ისე თხის ჯიშის გამორკვევა ჯერ-ჯერობით ვერ შეეძელი“.

ერთი საათის შემდეგ კიდევ ასეთი ცნობა მივიღეთ:

„ისევ რიონზე ვართ. სდგურის ზალა მშვენივრადაა გალამაზებული. კედლებზე ჩვენი რევოლიუციონერი ბელადების სურათებია. მამაკაცთა საპირფარეშოს კარებს ზევით დახატულია ფილიპე მახარაძე, ხოლო დედაკაცთა საპირფარეშოს კარებს ზევით როზა ლიუქემბურგი. გენიალურ მხატვრის გენიალური „მიხვედრილობა“. შიგ ბუფეტში ერთის მხრით დახატულია მარქსი და მეორეს მხრით ლენინი. მხატვარს ისეთი ზეგარდმო ნიჭით გამოუყვანია მათი ცქერა, რომ ორივენი მათ წინ დადგმულ მრავალნაირ არაყით სავსე თაროებს დასჩერებიან. მარცხნით დახატული არიან მიხა ცხაკაია და ენგელსი. ესენი, როგორც უკვე მცხოვანნი—მათთვის უფრო „შესაფერისს“ პონჩიკებს და სდობნებს დადგომიან თავზე. დანარჩენი ბელადები კი, როგორც მაგალითად: ტროცკი, ჯაფარიძე, ლიბკნეხტი, შაუმიანი და სხვები ულუკმაპუროდ არიან დატოვებული. ტროცკიზე ახია, მაგრამ დანარჩენებმა რა დაუშავეს ამის თქმა ძნელია.

მატარებლების განრიგების ცხრილი ისეთ სიმაღლეზეა დაკიდული, რომ გარდა რიონ-ქუთაისის და თბილისს-ნავთლულის ცხრილისა, ყველაფერი მსოფლიოს სივრცეში იკარგება. გაჭირვების დროს საჭიროა ასტრონომიული „ტრუბა“. მიუხედავად მიღებულ ზომებისა ასტრონომიული „ტრუბა“ ვერ აღმოვაჩინე. საერთოთ მდგომარეობა კარგია“.

ამნაირად, ბოლოსდაბოლოს გამარჯვება მაინც ჩვენს მხარესკენ იხრებოდა, მიუხედავათ იმისა, **რომ** საბჭოთა ხელისუფლებამ რკინიგზელების მთელი არმიით გამოილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ.

დღესდღეობით, თუ მთლად არა, ამ.-კავკ. რკინიგზების უმეტესი ნაწილი მაინც ჩვენს ხელშია, **და** მომხდარი ინციდენტი თითქმის მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, როგორც ეს მოხსენების თავშიდაც ვთქვით, ჩვენ არ ვუცქერით მომავალს ოპტიმისტურად, რაც იმითაც მტკიცდება, რომ ამ ინციდენტს საქვეყნოდ ვაცხადებთ.

ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგებს, ფრთხილად იდგენ თავიანთ სადარაჯოზე და ნუ მოგვაკლებენ თავიანთ დახმარებას.

მდგომარეობა სერიოზულია. ერთი წუთითაც კი ნუ დაივიწყებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაუძინებელი მტერია ჩვენი. მომხდარი ინციდენტი საკმაოდ ცხადყოფს ამას.

— ერმალოზ, კაცო, რა არის, რომ ამ ბოლო ხანებში სულ პორტფელით დაიარები, შენც სპეცად ხომ არ გამხდარხარ?..

— დიახ, ჩემო ვანო, უკვე ჩამრიცხეს სპეც-საქმის მწარმოებლათ და სპეც-ჯამაგირიც დამინიშნეს!..

დღეს რკინის-გზა მოინდომეს გამოეგლიჯათ ჩვენს ხელებიდან და სად არის გარანტია, რომ ხვალ თბილისის ტრამვაიზე და ტელეფონზე არ შემოგვედავებიან. სად არის იმის გარანტია, რომ ხვალ ისეთ ხრიკს არ მოგვიწყობენ, რომ დაწესებულებებში ბიუროკრატიზმის ჭაჭანებაცკი აღარ იქნება.

მეტი სიფრთხილე და დაკვირვება.

დღეს ჩვენი მორიგი ლოზუნგი უნდა იყოს, ღდინში **საბჭოთა ხელისუფლებას!..**

მიუდგომლათ და კეთილშობილურად, როგორც ეს შეგვშვენის ჩვენ, ვამხილოთ მისი ყოველი უარყოფითი წვრილმანი, და შემდეგ პირდაპირი შეტევით შევუტიოთ ამ მიმართულებით.

ჩვენ ვიცით, რომ ბრძოლა იქნება სასტიკი და ულმობელი, მაგრამ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი თანამშრომლები არ გაექცევიან მას და თავგამოდებით იბრძოლებენ უკანასკნელ მელნის წვეთამდე, ან და უფრო გრამატიკულად რომ ვთქვათ, მელნის უკანასკნელ წვეთამდე!...

(ველით ტაშს და მხურვალე ოვაციებს).

სტენოგრაფიულ ანგარიშთან
სწორია: **სინემატო.**

ᲣᲠᲘᲒᲝ ᲠᲘᲒᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

როცა ურიგო ადგილკომს ირჩევენ, მუშა-მოსამსახურეებმა უნდა იცოდენ, რომ ურიგო ადგილკომი რიგს გარეშე ჩაიდენს სიგლახეს. ეს არ ცოდნიათ ფოთის რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებს და ამიტომ დამართიათ ისეთი ამბავი, როგორსაც „თარაზო“ იწერება.

„როგორც იქნა ფოთის მუშა-მოსამსახურენი ვეღირსეთ კბილის ექიმს, რომელიც თვენახევრით გვეწვია და ვაგონში ცხოვრობს. ბევრი ჩაეწერა რიგში.

15 თებერვალს მუქარით შევარდა ვაგონში გალეშილი სალიანდაგო სამსახურის მე-2 უბნის ნადიხთავი ᲜᲝᲔ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ, მოითხოვა რიგს გარეშე მიღება და თან ასეთი სიტყვებით მიმართა ექიმს:—მე ადგილკომის წევრი ვარ, რიგს გარეშე მიწამლე, თორემ სეირს გაჩვენებო“...

ამ სეირს და სასეიროს ვის რაღას უჩვენებდა ლიპარტიანი არ ვიცით, ხოლო ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ზოგიერთ ადგილკომის წევრს არა თუ კბილის საექიმო კაბინეტიდან, ადგილკომიდანაც რიგს გარეშე უშვებენ.

იქნებ ლიპარტიანსაც შეეწიოს „ღმერთი“ ვინ იცის! აი, სეირიც მაშინ იქნება!

ᲡᲮᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲜᲣ ᲒᲐᲐᲛᲮᲔᲚᲗᲘ!

ქუთაისის მაზრის, სოფელ **აბაშაში** გაჩენილია... ვინმე **აპალონა კუტალაძე.**

— იქნებ არც იცით, ვინაა ეს კაცი?

აბა, ყური დაუგდეთ „ტანკა“-ს:

თქვენ უბრალო არ გეგონოსთ
აპოლონე კუტალაძე,
ჩვენი სოფლის „გმირი“-გახლავთ,
ვერვინ სჯობნის გალახვაზე.
მან ახალ წელს—ძველი სტილითა—
გადავიდა შეტევაზე,
სასიკდილოთ დააშავა
ბენედიკტე კუტალაძე“...

ახლა ხომ გაიგეთ ვინც ყოფილა **აპოლონა?**

„მალადეც“ პავლია!

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ქუთაისის მაზრაში გამოჩინებულის თემი ბევრი რამით გამოჩინებულია, მაგრამ ყველაზე გამოჩინებული ამ თემის მეწისქვილეებია, რომლებიც ისე გულწრფელად შედიან გლეხთა ძდგომარეობაში. რომ დასათქვავათ მოტანილ ფქვილს უმჩატებენ (ეცოდებათ. სიმძიმემ გლეხს წელი არ მოსწყვიტოს!) და გამესამედებულს ატანენ სახლში.

ამ გამოჩენილ ხალხში კიდევ ყველაზე უფრო გამოჩენილი-ყოფილა **პავლია უჩანეიშვილი,** რომელსაც ასე ახასიათებს გლეხკორი:

„პავლია ვაჩეიშვილისა
ვერვინ სჯობია გვარშია;
ორ ფუთ სიმინდს, რომ მიუტანთ—
ერთ ფუთს გაგატანთ სახლშია,
შე წყეულო პავლრა,
შენი საქმე რაშია,
ვაი ჩვენო სიმინდებო
ყრიხარ სხვისა დახლშია“...

— მართლაც შე წყეულო პაველია, შენი საქმე რაშია? ნუ თუ არ გსმენია:—ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო!—შენ ხომ წყალი ქათამზე ახლო გაქვს—აიღე, ჩახეთქე რამდენიც გინდა—იქნებ ასე უღმერთოდ აღარ გაქურდო გლეხები, თორემ:

— ორ ფუთ სიმინდს, რომ მოგიტანს
თუ ერთ ფუთს ატან სახლშია—
ამოსაწყვეტი ყოფილხართ
ჩემო პავლიავ გვარშია!

შენს „ბალაღეს“ ჩვენი ბიჭტორი

— კოლუბმა ამერიკა აღმოაჩინა!

დიდი საქმე ყოფილა სწორეთ: ამერიკის აღმოჩენას რა დიდი ჭკუა უნდოდა?

აი, ასეთი რამე აღმოაჩინოს ვინმემ, რაზედაც აქ ლაპარაკი და სანაძლეოს ვიღებთ, რომ ამერიკაში კი არა, მას თვით საჯევახოში მისცემენ მოლარეობას.

საქმე შემდეგშია:

„საჯავახოდან ღირს ბილეთი 1 მ. 72 კაპ., ხოლო თუ საჯევახოდან ბათომს მიდიხართ, ამ ბილეთში გაბდევინებენ 1 მან. და 80 კაპ. ერთმა გლეხმა ჰკითხა მოლარე ბიჭტორს:

— რატო ახდევინებთ მეტს ხალხს? მე დღეს ბაღომეიდან ამოვედი—1 მ. 70 კაპ. გადავიხადე ბილეთშიო.

ბიჭტორმა მრისხანეთ მიუგო:

— ეგ იმიტომ, რომ აქედან აღმართია და მატარებელს უჭირს წასვლაო!“

ბიჭტორის რისხვა ნუ გვაქვს—მატარებელს მაინც უჭირს ბათომის აღმართითვ წასვლა, მაგრამ, რომ თვითონ ბიჭტორს გაუადვილოთ წასვლა საჯევახოდან, საჭიროა მას სამტრედიის დაღმართით აქნევინონ პირი. დარწმუნებული ვართ ბიჭტორი ხტომით დაეშვება თავდაღმართზე და მისი გამგზავრება რკ.-გზის სამმართველოსაც შეუმსუბუქებს ხარჯებს!

იქნებ ხელოვნებაზე

მუშკორი „კიკოლიკა“ უცნაურ ამბებს იწერება ხაშურის მიკიტნებსა და მათ მუშტრებზე.

მისი წერილი ჩვენ ცილიწამებით მიგვაჩნია, თორემ, ბატონ ვის უნახავს, რომ მიკიტანს მუშტრები დაეთოროს? მუშტარს ღვინო ათრობს, ხოლო მიკიტანს ამით მხოლოდ თავის გართობა შეუძლია. ყოველ შემთხვევაში „კიკოლიკასაც“ მოუსმინოთ:

„ხაშურისა მიკიტნები
დიდი მადლობის ღირსია:
—ღვინოს ნაღდზედაც ჰყიდიან,
არც ეზარებათ ნისია!
დაუზარებლათ ტრიალებს
მიკიტნის ყველა მსახური:
—გვიბრძანეთ, თუ რას მიირთმევთ:
სვირი გინდათ თუ კახური?

მუშტართა რიცხვიც მატულობს,
მათთვის ღიაა კარები,
ისე მოდიან სუფველა
ვითარცა დანაბარები!“
აქ არის მუდამ სიმღერა
შეუწყვეტელი ლხინია;
—ყველა შევწირე კახურო;
ოჯახი, ცოლი, შვილია!“

სწორედ ახირებული კაცია კიკოლიკა:—ადამიანო, მიკიტანი ზრდილობიანია—ხომ ზრდილობიანია? მიკიტანი ნაღდზედ კი არა, ნისიათაც იძლევა სარჩევათ კახურსა და სვირულს. ხომ იძლევა? კარები ღია აქვს სტუმრებისათვის, ხომ ღია აქვს? აბა მუშტრებს რაღამ დაუბრუნა და დაუკეტა გონების კარი, რომ მიკიტნური „ზრდილობის“ კარებზე არახუნებენ შუბლს?

ადგილად წარმოსადგენი „წარმოდგენა“

ჩოხატაურში გამოუკრავთ აფიშა:

19 თებერვალს, ადგილობრივ თეატრში წარმოდგენილი იქნება:—„სოფლების გმირები“.

აფიშა გამოკრულია „სოფლის გმირებზე“. ეხლა გავიცნოთ „ბეჟან ხლუსტის“ დახასიათებით—სცენის გმირებიც:

„გამოხტა ვიღაც სცენაზე,
როგორც ლილოზე კვიცია,
ვიფიქრე—ალბათ იწყება
პირველი რეპეტიცია“...

როგორც ხედავთ—კვიცები მრავლად ყოლია ჩოხატაურის სცენას. ახლა გადავიდეთ „ბედაურებზე“.

„არა გავს სპირიდონ—სპირიდონს,
არც ტარიელი—ტარიელს
არც თანამხლები მოკცევით
აზნაურს—ჯიბე ცარიელს“.

როგორც ხედავთ სპირიდონი და ტარიელი სპირიდონს და ტარიელს არ გვანებია, ალბათ თმა შეკრეჭილები და ადგილობრივი დალაქისაგან წვერ შეპარსულები ყოფილან, მაგრამ სხვაბი კი... ამ სხვაბზე მოვისმინოთ ქვევით:

„დედა“ დაიბნა საბრალო
ლამის დაგვიხრჩო „ანიკო“—
ვერ მოახერხა ლოგინთან
ერთი, რომ ჩამომჯდარიყო“.

რა უყოთ, უსაქმო დგომას და ჯდომას ერთი ღასი აქვს, თუ სხვა მხრით მაინც იყო რამე საჭეირო. მაგრამ დავუყვეთ კიდევ ქვეით:

„ნათლად მოსჩანდა:—შერჩევით
ვერ გამოეყოთ როლია,
ცეცხლში ჩავარდა საწყალი,
ეწამა—სუფლიორია!“..

საჭირო იყო ისიც მოეწერა მუშკორს:—ცეცხლში ჩავარდნილი სუფლიორი ისევე ხომ არ ყოფილა დაუზღვეველი, როგორც ჩოხატაურის გლახა წარმოდგენებისაგან?

„ბენზინიშვილის“ ხალხი

დიდია ფოთის „მუშკოოპის“ სატრანსპორტო მიღწევანი. თანამედროვე ტეხნიკა ზედმიწევნით მაღლა სდგას. „მგლის“ გადმოცემით:

„ფოთის „მუშკოოპმა“ ხარჯების შესამცირებლად ცხენები ვირებით შეხცვალა. „მუშკოოპის“ ტრანსპორტის ციმძიმე ვირებს გადაპქვთ“...

ფოთის გარდა სხვაგან სად მიხვდებოდენ ხარჯების ასეთ „ეკონომიას?“

მხოლოდ ფოთის „მუშკოოპს“ აღმოუჩენია, რომ:

— „ერუსალიმს ვირი კიტრათ ღირს!“

კიდევ კარგი თუ ასეთი ღირებულების არაა „მუშკოოპის“ კოოპერატიული საქმიანობაც!..

ნაყოფიერი მუშაობა







— ნამდვილათ-კი აქ ბრძანდება!

(„კრას. პერეცი").

მთავლ. № 230. ტირ. 23.000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კაბოს. ქ. 68.